ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

სამშაბათი, 31 მაისი, 2016 №127 (7053) ფასი: 50 თეთრი

## გია ხუხაშვილი: „რატომ გვატენის ივანიშვილი ნაციონალებს?“



გვ.4

„ოცნება“ და ყოფილი ხელისუფლება ერთგვარ სიმბიოზად ჩამოყალიბდა“

31 მაისიდან

სომერსეტ მოემი

მთვარე და ექვსპენიანი

ოქროს ბიბლიოთეკა

ტომი 5

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი



# „მთელ ჩემს რესურსს გამოვიყენებ, რომ ნაციონალებმა დროის უკან შემობრუნება ვერ შეძლონ“



გვ.2

ბიძინა ივანიშვილის ღია წერილი თანამოქალაქეებს

## ქუმსიშვილი: „ყველა ციფრი, რომელიც ბიძინა ივანიშვილის წერილშია მოყვანილი, ასახავს იმ რეალობას, რომელიც დღეს გვაქვს“







გვ.7

როგორ გამოეხმაურნენ ივანიშვილის ღია წერილს პოლიტიკოსები



გვ.4

## თამაზ მექიაური თბილისში მაჟორიტარად იყრის კენჭს

„მთავრობას, ჯობდა, ჯენიფერ ლოპესი ან კიმ კარდაშიანი ჩამოეყვანა“



გვ.10

## ჯონდი ბაღათურია: „კორცხელში ივანიშვილმა და სააკაშვილმა სპექტაკლი დადგეს“

„ნაციონალებს და „ქართულ ოცნებას“ ერთმანეთი სჭირდებათ“

კავკასუს ონლაინი

მაგთიკომი MAGTICOM

## შპს „მაგთიკომის“ და შპს „კავკასუს ონლაინის“ ერთობლივი განცხადება

გვ.3



გვ.10

## ვახტანგ გომელაური: „რისკის ან საფრთხის შემცველი ნებისმიერი კერა და ობიექტი კონტროლდება“

ISSN 1987-9385

9 771987 938006

## მამუკა გიორგაძე: „ქართულ ოცნებაში“ ნახევარი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელია“



გვ.11

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა

# ქართული იდეა



გვ.5

# „მთელ ჩემს რესურსს გამოვიყენებ, რომ ნაციონალებმა დროის უკან შემობრუნება ვერ შეძლონ“

## ბიძინა ივანიშვილის ღია წერილი თანამოქალაქეებს



ახლახან ჩატარდა „ქართული ოცნების“ ყრილობა, რომელმაც ახალი თავმჯდომარე აირჩია და პარტიის შემდგომი გეგმები გამოაცხადა. ამით დასრულდა ერთი ეტაპი, რომელიც 2011 წლის ოქტომბერში დაიწყო და ახალი საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადებას შევუდექით.

როგორ ვაპირებ საარჩევნო პროცესში ჩართვას და პირადად რა მონაწილეობას მივიღებ, ამაზე წერილის ბოლოს ვისაუბრებ, ახლა კი მოკლედ შევაჯამებ და შევაფასებ გასულ ოთხწელიწადნახევარს – რა გზა გამოვიარეთ, სად ვართ და საით მივდივართ.

მინდა, მოსახლეობას ანგარიში ჩავაბარო, ვინაიდან 2011 წელს სწორედ საქართველოს მოსახლეობის წინაშე ავიღე პასუხისმგებლობა და, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო თანამდებობაზე არ ვარ, ამ პასუხისმგებლობას დღემდე ვგრძნობ.

ვფიქრობ, უახლოესი წარსული ჯერ არავის დავიწყებია, თუმცა, დასაწყისში მაინც უნდა გავიხსენო, რამ გადამაწყვეტინა პოლიტიკაში მოსვლა.

### საღ ვიყავით

**რამდენიმე ნაწყვეტი 2011 წლის 7 ოქტომბერს გამოქვეყნებული ღია წერილიდან, რომლითაც მივმართე ხელისუფლებას, პოლიტიკურ პარტიებს, მასმედიას და საქართველოს მოქალაქეებს:**

● „მიხეილ სააკაშვილის მიერ ხელისუფლების ტოტალურმა მონოპოლიზებამ და ჩატარებულმა კონსტიტუციურმა ცვლილებებმა ცხადი გახადა სააკაშვილის სურვილი, ყველანაირი კონსტიტუციური ვადის ამოწურვის მიუხედავად, შეინარჩუნოს ძალაუფლება და დარჩეს ხელისუფლების სათავეში.“

● „საგადასახადოს, პროკურატურის და სასამართლოს გამოყენებით ქართულ ბიზნესზე ისეთი გაუგონარი ძალადობა განხორციელდა, რომ საქართველოში, პრაქტიკულად, თავისუფალი ბიზნესი აღარ არსებობს.“

● „ნორმად იქცა დემონსტრაციების აგრესიული დარბევა, მონაწილეების დაუზოგავად, უმოწყალოდ ცემა და დევნა, ხოლო 26 მაისის აქციის დარბევის შემდეგ, არიან მოკლულები და დაკარგულები.“

● „საოცრად გამარტივდა ხალხის დაჭერა და ეგრეთ წოდებული საპროცესო გარიგებით ფულის გადახდის შემდეგ გამოშვების პროცესი. დაჭერების ამ მეთოდმა საქართველოს მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი უკიდურესად დააშინა და არნახული სიღარიბის ზღვართან მიიყვანა.“

● „დამთრგუნველია ყველა იმ სიცრუის მოსმენა, რაც საინფორმაციო საშუალებებიდან მოედინება. ყოველდღიური ტრაბახი და ტყუილების კორიანტელი სააკაშვილის მიღწევების შესახებ უაღრესად შეურაცხმყოფელია.“

● „სიცრუის მანქანა მთელი ძალით მუშაობს ადამიანთა ტვინების გამორეცხვაზე და მოდელირებული ვირტუალური ფსევდორეალობის რეალობად და სინამდვილედ წარმოსაჩენად. ძნელია, გაარჩიო, ვინ ტყუის და ვინ ამბობს სიმართლეს!“

● „სიცრუის ქსელში ჩართულმა ფსევდოოპოზიციურმა პოლიტიკოსებმა, პარტიებმა და საინფორმაციო საშუალებებმა ისეთი გარემო შექმნეს, რომ საზოგადოების პოლიტიკურად ყველაზე აქტიურ ნაწილსაც კი პოლიტიკის მიმართ უნდობლობა გაუჩინეს და საბოლოოდ დააკარგინეს არჩევნების გზით რაიმეს შეცვლის იმედი.“

● „ხელისუფლების ძალისხმევით ეგრეთწოდებულ ექსპერტთა, პოლიტოლოგთა, ანალიტიკოსთა, სოციოლოგთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი და მობილური ჯგუფი ჩამოყალიბდა, რომელიც ხელისუფლების მიერ დაწერილ სცენარს ახმოვანებს და უტიფრად ასაღებს შავს თეთრად და პირიქით.“

* * *

ქვეყნის ყველა გულშემატკივარი მოქალაქე დამეთანხმება, რომ ამ შეფასებებში არაფერი იყო გადაჭარბებული. პირიქით, მაშინ ბევრი რამ ჯერ კიდევ არ ვიცოდით. რეალური სურათი იმაზე ბევრად მძიმე აღმოჩნდა, ვიდრე წარმოგვედგინა!

ერთ დიდ ციხედ გადაქცეული მთელი ქვეყანა, ასეულობით ათასი პატიმარი და პრობაციონერი იმას ნიშნავდა, რომ ლამის მთელი მოსახლეობა პატიმრების ჭირისუფლად იყო ქცეული და ციხის კარს შეჰყურებდა. ტოტალური მოსმენები, თვალთვალი, ფარული გადაღებები, დასმენა და შანტაჟი ჩვეულებრივ მოვლენად აღიქმებოდა.

ხელისუფლება სრულად აკონტროლებდა მედიას და ისიც ამბობდა და აჩვენებდა მხოლოდ იმას, რასაც კარნახობდნენ. ქვეყანას მძიმე ტვირთად აწვა ელიტური კორუფცია, ერთ პატარა ჯგუფს ყველაფრის უფლება ჰქონდა, დანარჩენს – არაფრის. ადამიანები დაშლილ ტელეფონებს მალავდნენ და საკუთარ ოჯახებშიც კი ჩურჩულით საუბრობდნენ. ვისაც ხელისუფლების მიმართ კრიტიკულ დამოკიდებულებას შეატყობდნენ, სამსახურებიდან აგდებდნენ, ქონებას ართმევდნენ, ცემდნენ, აპატიმრებდნენ, ციხეში სასტიკად აწამებდნენ და თუ საჭიროდ მიიჩნევდნენ, კლავდნენ კიდეც!

ორმაგი სტანდარტით მართავდნენ ქვეყანას – სინამდვილეში სულს ხდიდნენ ადამიანებს, სხვების დასანახად კი, დემოკრატიის შუქურად მოჰქონდათ თავი.

ამ უსამართლობასა და განუკითხაობას აგვირგვინებდნენ დაქირავებული მეხოტბეები, რომლებიც ტაშის კვრით ხელისგულებს იტყავებდნენ და „მიშა, მიშას!“ გაჰყვიროდნენ.

ძალაუფლებით გათავხედებული სააკაშვილის კლანი განუსაზღვრელი ვადით გეგმავდა ხელისუფლებაში დარჩენას. ისინი ღიად ქადაგებდნენ ქართველი კაცის ძირისძირობამდე გარდაქმნისა და რაღაც „ახალი ადამიანის“ ჩამოყალიბების აუცილებლობის შესახებ, რაც სინამდვილეში ადამიანებისთვის ტვინების გამორეცხვას და ყველაფრის მკადრებელ ზომბებად გაწვრთნას ნიშნავდა. ისინი არავის ინდობდნენ, ვისი ავტორიტეტიც ამ მიზნის განხორციელებაში ხელს უშლიდა და ამიტომ ებრძოდნენ ასე თავგამოდებით პატრიარქსაც და მთლიანად ეკლესიას.

უიმედობის გაჩენას ყველაზე მეტად ის უწყობდა ხელს, რომ არჩევნები ტოტალურად ყალბდებოდა, ხელისუფლება არავითარ მორიდებას და პასუხისმგებლობას აღარ გრძნობდა მოსახლეობის წინაშე.

მმართველი კლანი დიდი რაოდენობით ნაძარცვ ფინანსებს იყენებდა ზოგიერთი პოლიტიკოსის თუ ლობისტური ჯგუფის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად თუ მათთვის მცდარი შეხედულების შესაქმნელად.

* * *

„სიცრუის მანქანამ“ ისე ჩაითრია საერთაშორისო ორგანიზაციების ზოგიერთი ადგილობრივი წარმომადგენელი, რომ მათი კონტროლი ცენტრალური ოფისებიდანაც კი უჭირდათ. ზოგჯერ, საქმე იქამდეც მიდიოდა, რომ ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ შეფასებებს, უცხოელების ნაცვლად, ნაციონალური მოძრაობის ხელმძღვანელები წერდნენ. სამწუხაროდ, ასეთი რეციდივები ახლაც შეიმჩნევა.

„ენდიაის“ და „აირაის“ ჩვენი ქვეყნისთვის ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი აქვთ განხორციელებული, რისთვისაც მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის, თუმცა, დასამალი არ არის, რომ ბევრ ეჭვს ბადებს სოციოლოგიური გამოკითხვები, რომლებსაც ეს ორგანიზაციები ნაციონალურ მოძრაობასთან მჭიდრო კავშირში შემჩნეული ადგილობრივი სპეციალისტების მეშვეობით ატარებენ.

ყველას გვახსოვს, უახლოეს წარსულში ეს კვლევები როგორ მკვეთრად იყო აცდენილი რეალობას – 2012 წლის არჩევნებამდე ჩატარებული გამოკითხვების მონაცემებსა და არჩევნების შედეგებს შორის ძალიან დიდი სხვაობა დაფიქსირდა. ამგვარი კაზუსები მთლიანად კვლევით ორგანიზაციებში მომუშავე ნაციონალური მოძრაობის აქტივისტების სინდისზეა, რომლებიც ახერხებდნენ და თავიანთ სიცრუეს თავს ახვევდნენ საერთაშორისო ორგანიზაციებსაც კი.

სააკაშვილის გუნდი განუწყვეტლივ საუბრობდა დასავლეთთან ინტეგრაციაზე, თუმცა, მათი მიზანი არასდროს ყოფილა ქვეყნის ევროპეიზაცია, რაც, უპირველესად, განვითარებულ დემოკრატიას და თავისუფალი ადამიანებისგან შემდგარ სამოქალაქო საზოგადოებას გულისხმობს.

სინამდვილეში, სააკაშვილის მართვის სტილი იყო სრულიად ანტიევროპული და ადამიანების დათრგუნვა-დამორჩილებას ისახავდა მიზნად. სწორედ ამ ფსევდოევროპელობამ და ფასადურმა დემოკრატიამ შეუწყო ხელი საზოგადოების ერთ ნაწილში ანტიდასავლური და ანტილიბერალური განწყობების გაღვივებას, რაც ძალიან სახიფათოა ჩვენი ქვეყნისთვის.

ჩვენს გულგატეხილ თანამოქალაქეებს უნდა ავუხსნათ, რომ რასაც სააკაშვილი სჩადიოდა, იმას საერთო არაფერი აქვს არც დასავლეთთან, არც დემოკრატიასთან და არც ლიბერალიზმთან.

* * *

2011 წლის ბოლოს აღმოვჩნდით იმ ფაქტის წინაშე, რომ ხელისუფლებამ ძალადობის, ჭორების გავრცელების, მოსყიდვის და გადაბირების მეშვეობით დაქსაქსა და გაანეიტრალა ოპოზიცია, ხოლო ლიდერების გარეშე დარჩენილი ხალხი შეშინდა, დაიბნა, და სამზარეულოებში ჩურჩულზე გადავიდა – საპროტესტო ტალღა ჩაქრა; ნათელი გახდა, რომ საზოგადოებას მოჯადოებული წრის საკუთარი ძალებით გარღვევის რესურსი აღარ ჰქონდა დარჩენილი და მეც მძიმე არჩევანი დამიდგა: ან იმ რეალობას უნდა შევგუებოდი, რომ ჩემი სამშობლო, ჩემი ხალხი ათწლეულებით ამ კოშმარში დარჩებოდა, ხელი ჩამექნია, წავსულიყავი და თავი უცხოეთისთვის შემეფარებინა, ან უნდა დავრჩენილიყავი და მებრძოლა.

არ დავმალავ, რთული იყო გადაწყვეტილების მიღება, რადგან პოლიტიკური საქმიანობა არასდროს მაინტერესებდა და, ამასთან, არსებული რეჟიმის ხასიათიდან გამომდინარე, ეს ძალიან სახიფათო იქნებოდა, ჩემთვის და, რაც მთავარია, ჩემი ოჯახისთვის; თუმცა, საბოლოოდ, სწორედ ოჯახმა, ჩემმა უახლოესმა ადამიანებმა გადამაწყვეტინეს ქვეყანაში დარჩენა და ბრძოლის დაწყება. ჩემი მაშინდელი განწყობის გადმოსაცემად ისევ გავიხსენებ რამდენიმე ნაწყვეტს 2011 წლის წერილიდან:

● „ბევრი სვამს კითხვას და ბევრს უკვირს, მე, წარმატებულმა ბიზნესმენმა, ყოველმხრივ უზრუნველყოფილმა ადამიანმა, რატომ შევაგდე ყველაფერი სასწორზე და რატომ გადავწყვიტე პოლიტიკაში მოსვლა? ამ კითხვაზე პასუხი ძალიან მარტივია. იმიტომ, რომ ვხედავ, სამშობლო მეკარგება, ხოლო როდესაც სამშობლო გეკარგება, არაფერს არ აქვს ფასი, არც ქონებას, არც ფულს, არც პრივილეგირებულ მდგომარეობას.“

● „შეცდომა იყო, საქართველოდან წასვლა რომ დავაპირე. წასვლა ერთია, მაგრამ მერე რა პირით უნდა დაბრუნდე უკან, როცა შენს ქვეყანას იმ დროს მიატოვებ, როცა ძალიან უჭირს. როცა დაბრუნდები, დაგხვდება კი აქ ქვეყანა?!“

● „ჩემმა უახლოესმა ადამიანებმა დამარწმუნეს, რომ ვცდებოდი, თუმცა, არც იმის უთქმელობა ივარგებს, რომ ჩემი ოჯახიც, სხვა ქართული ოჯახებივით, ორი წლის განმავლობაში ჩურჩულით ველაპარაკებოდით ერთმანეთს, მაგრამ ერთმანეთის იმედით და თანადგომით შიში ვძლიეთ.“

აი, ასეთი ვითარება და განწყობა სუფევდა მაშინ ქვეყანაში და, რასაკვირველია, ჩემზე გაცილებით მძიმე მდგომარეობაში იყო ძალიან ბევრი ჩემი თანამოქალაქე.

ვითარების ანალიზი მიჩვენებდა, რომ პირადი მონაწილეობის გარეშე საჭირო შედეგს ვერ მივიღებდით, ამიტომაც გადავწყვიტე, გარკვეული დროის განმავლობაში, თავად გამეწია კოორდინაცია პოლიტიკური პროცესებისთვის და სიტყვა მივეცი ჩემს თანამოქალაქეებს, რომ აუცილებლად დავამარცხებდით უსამართლობას.

* * *

აქვე მინდა გავიხსენო ის დაპირებები, რომლითაც ჩავები ბრძოლაში და, შემიძლია ვთქვა, რომ მათი დიდი ნაწილის შესრულება შევძელი.

**2011 წელს მე ჩემს თანამოქალაქეებს დავპირდი, რომ:**

● ჩემ მიერ შექმნილი ახალი პოლიტიკური პარტიისა და ჯანსაღი პოლიტიკური ძალების გაერთიანებით 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებს აბსოლუტური უმრავლესობით მოვიგებდით.

● პრემიერის ან პარლამენტის თავმჯდომარის რანგში მონაწილეობას მივიღებდი ახალი მთავრობის ჩამოყალიბებაში და ბოლომდე აღმოვფხვრიდით ელიტურ კორუფციას.

● დავიწყებდით დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის შექმნას და ამას შეუქცევად პროცესად ვაქცევდით.

● პერსპექტიულს გავხდიდით აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე ქართული სახელმწიფოს იურისდიქციის აღდგენას.

● შევქმნიდით საინტერესო საინვესტიციო გარემოს და ერთი ჯგუფის მიერ მონოპოლიზებული ბიზნესის ნაცვლად, საფუძველს ჩავუყრიდით თავისუფალ ბიზნესსაქმიანობას.

● ბოლომდე მივიყვანდით სოფლის მეურნეობის აღორძინების პროექტს.

● საბოლოო სახეს მივცემდით მნიშვნელოვან პროექტს, რომელიც გულისხმობს ტექნოლოგიური უნივერსიტეტის დაარსებას და მაღალტექნოლოგიური სამუშაო ადგილების შექმნას.

● დავიწყებდით რუსეთთან ურთიერთობის დალაგებას.

● გავაღრმავებდით აშშ-სა და ევროკავშირთან მეგობრობასა და ინტეგრაციას.

● ჩემი აზრით, ზემოჩამოთვლილი საკითხების გადაჭრას დაახლოებით ორი-სამი წელი დასჭირდებოდა, რის შემდეგაც მე ვაპირებდი პოლიტიკიდან წასვლას, რათა ქვეყნის

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა მიმეღო.

ეს იყო ძირითადი ნაწილი ჩემი დაპირებებისა, რომლებითაც მოვედი პოლიტიკაში და სწორედ მათი შესრულებით უნდა დაწყებულიყო იმ ნიადაგის მომზადება, რომელსაც დაეფუძნებოდა ქვეყნის შემდგომი განვითარება.

კიდევ ერთი – ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო და დღესაც არის, საზოგადოებაში არსებული დაძაბულობის განელება და სახელმწიფოს წინაშე მდგარ სტრატეგიულ საკითხებთან დაკავშირებით ეროვნული თანხმობის მიღწევა.

მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ეს მოსაზრება კრიტიკის ქარ-ცეცხლს იწვევდა და იწვევს, მე ამ გზიდან არასოდეს გადამიხვევია და არც გადავუხვევ, ვინაიდან, სწორედ ეროვნული თანხმობა არის გზა ღირსეული მომავლისკენ. პირველივე დღეს განვაცხადე და სულ ვიმეორებ, რომ საქართველოს დასაკარგი და მოსაკვეთი არავინ ჰყავს, მთავარია, ადამიანი დროზე მიხვდეს ჩადენილ შეცდომებს, მოინანიოს და სიკეთისკენ გადადგას ნაბიჯი.

## სად ვართ

მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილმა ყველა აკრძალული ხერხი გამოიყენა, კალაპოტიდან მაინც ვერ ამოგვაგდო, ვერცერთ პროვოკაციაზე ვერ წამოგვაგო და წინასაარჩევნო პროცესი მთლიანად ჩვენი სცენარით წარიმართა. არჩევნების წინ თბილისში მანამდე უპრეცედენტო მასშტაბის აქცია გაიმართა, ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი გამოვიდა ქუჩაში და ყველაფრის მკადრებელ და ყველაფერზე წამსვლელ რეჟიმს ძალაუფლება უსისხლოდ დავათმობინეთ.

უპასუხისმგებლო და მოძალადე მთავრობის ნაცვლად ჩამოვაყალიბეთ მოსახლეობის მიმართ ანგარიშვალდებული მთავრობა, რომლის საქმიანობაც მაქსიმალურად გამჭვირვალეა. სრულად აღმოვფხვერით ელიტური კორუფცია. დღეს ყველაზე რადიკალური ოპონენტებიც კი ვერ უარყოფენ ამ ფაქტს და ვერ გვაბრალებენ კორუფციის მფარველობას.

ამ ოთხ წელიწადში ჩავატარეთ სამაგალითო – 2013 წლის საპრეზიდენტო და 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნები და ბოლო მოვუღეთ მოქალაქეებისთვის ხმების მოპარვის დანაშაულებრივ პრაქტიკას. დარწმუნებული ვარ, მომავალი საპარლამენტო არჩევნებიც ასევე ყველაზე მაღალი სტანდარტებით ჩატარდება.

მიუხედავად კრიტიკული განწყობებისა, ხელისუფლებამ მიიღო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება და სასამართლო სახელისუფლო წნეხისგან გაათავისუფლა. შეიძლება, არ მოგვწონდეს ზოგიერთი გადაწყვეტილება, ან ესა თუ ის მოსამართლე, მაგრამ მთავარია, რომ დღეს სასამართლო დამოუკიდებელია. მოქალაქეებს საკუთარი სიმართლის დამტკიცებისთვის კანონიერი გზა და შესაძლებლობა გაუჩნდათ. აზრი მიეცა ადვოკატის საქმიანობას.

მოვახდინეთ პოლიციის დეპოლიტიზაცია და მას ველარავინ გამოიყენებს პოლიტიკურ ოპონენტებთან ანგარიშსწორებისთვის; გავაუქმეთ სოდი და კუდი, რომლებიც მოქალაქეების დაშანტაჟებით და ბიზნესების წართმევით იყვნენ დაკავებულები. სახელმწიფო უშიშროების სამსახური ჩამოვაშორეთ შსს-ს.

მედია სრულად გათავისუფლდა ხელისუფლების კონტროლისგან. თვალსაჩინო ფაქტია, რომ საქართველოში არასდროს ყოფილა ამდენი ტელევიზია, რამდენიც დღეს არის და, სხვათა შორის, ვერც იმას გაიხსენებს ვინმე, რომ მთავრობის მისამართით ასეთი დაუნდობელი კრიტიკა და ლანძღვა მოესმინოს; თანაც, პირველად დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, მთავრობას საკუთარი ტელევიზია არ გააჩნია.

ბიზნესმა მოიშორა სახელისუფლო წნეხი. ყველაზე კრიტიკული მედიაც კი ვერ საუბრობს ბიზნესის შევიწროებაზე.

ახალი მთავრობის პრიორიტეტი გახდა ისეთი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა, რომლის შედეგიც ხელმისაწვდომი იქნება მოსახლეობის ყველა ფენისათვის.

ფაქტობრივად ყველას, ვისაც ამის სურვილი და საფერმერო მეურნეობის ჩამოყალიბების რეალური პროექტი აქვს, სახელმწიფო უზრუნველყოფს გრძელვადიანი უპროცენტო სესხებით. ამავე დროს, ეხმარება პირუტყვის შერჩევასა და შეძენაში, უფასო თესლის, ნერგის, საწვავისა და სასუქის მომარაგებაში. აღნიშნული პროგრამების ფარგლებში 26 ათასზე მეტმა ბიზნესპროექტმა ისარგებლა დაფინანსებით. ქვეყნის მელიორაციაში სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული ინვესტიციების შედეგად 133%-ით გაიზარდა ირიგაციით უზრუნველყოფილი მიწების ფართობი. სოფლის მეურნეობის სფეროში საერთო ინვესტიციების მოცულობამ 1 მილიარდ ლარს გადააჭარბა.



წინა ხელისუფლების დროს სამედიცინო მომსახურება ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ შეძლებული პაციენტებისთვის, ჩვენი მოქალაქეები ახლობლების გადასარჩენად იძულებულნი იყვნენ, სახლ-კარი გაეყიდათ და სესხები აეღოთ, ამის ნაცვლად ჩვენ შემოვიღეთ საყოველთაო დაზღვევა და ყველასთვის ხელმისაწვდომი ჯანდაცვის სისტემა. დღეს უფულობის გამო ადამიანი ბედის ანაბარად აღარაა მიტოვებული, აუცილებელი ოპერაციისა და მკურნალობის გარეშე არავინ რჩება. ხორციელდება მსოფლიოში უნიკალური პროგრამა და ცე ჰეპატიტისგან უფასოდ განიკურნება ათასობით ჩვენი თანამოქალაქე.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჯანდაცვის სფეროში ჩვენი ძალისხმევის შედეგად უამრავი ადამიანი გადარჩა. ეს პროექტი არამარტო სოციალური თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი არამედ სწორედ ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში მხარდაჭერა მიიღო 1 მილიონ 600 ათასმა ადამიანმა.

## ვალების ეკონომიკიდან ინვესტიციების ეკონომიკისკენ

ჩვენი ხელისუფლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს მიღწევას წარმოადგენს ქვეყნის გადაყვანა ვალების ეკონომიკიდან ინვესტიციების ეკონომიკაზე.

2013-2016 წლებში (2016 წლის პროგნოზის გათვალისწინებით), პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 62%-ით მეტია, ვიდრე 2009-2012 წლებში.

საქართველოს მთლიანი ვალი ყველაზე ნაკლებად 2013-2015 წლებში გაიზარდა. 2007-2009 წლებში საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი 5 მილიარდ 34 მილიონი დოლარით გაიზარდა, 2010-2012-ში 4 მილიარდ 453 მილიონით, ხოლო 2013-2015 წლებში მხოლოდ 1 მილიარდ 686 მილიონი დოლარით, ანუ წინა სამ წელთან შედარებით 2,5-ჯერ ნაკლებით.

2013 წელს დასრულდა პრაქტიკა, როცა ქვეყანა სავალუტო დეფიციტს მასშტაბური ვალის აღებით აბალანსებდა და პირიქით, ვალის აქტიურად დაფარვა დაიწყო.

2013 წლიდან საგარეო ვალის ზრდით მიღებული ეკონომიკური ზრდის იმიტაციის ნაცვლად ჩამოყალიბდა ინვესტიციებზე დამოკიდებული კონკურენტუნარიანი გარემო, ამის დასტურია, რომ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის კონკურენტუნარიანობის გლობალურ რეიტინგში 2006-2007 წლებში 87-ე ადგილზე ვიყავით, 2011-2012 წლებში 88-ე ადგილზე დავქვეითდით, ხოლო 2015-2016 წლებში 66-ე ადგილზე გადავინაცვლეთ და ევროკავშირის რამდენიმე ქვეყანას გადავუსწარით. ეს არის რეიტინგი, რომელიც ყველაზე კომპლექსურად ასახავს ქვეყნის ეკონომიკურ კონკურენტუნარიანობას.

სავალუტო ფონდის მიმდინარე წლის აპრილში გამოაქვეყნებული კვლევის თანახმად საქართველოში 2016 წელს ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტი პირველად გადააჭარბებს 10 000-ს საერთაშორისო დოლარს (მშპ მსყიდველუნარიანობის პარიტეტის მიხედვით), რაც 25%-ით აღემატება 2012 წლის დონეს.

იმავე კვლევის მიხედვით, 2017-2021 წლებში საქართველოს ეკონომიკა ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 46.4%-ით გაიზრდება და 2021 წელს 14 663 საერთაშორისო დოლარს მიაღწევს, ხოლო ზრდის ტემპი 11.9% გახდება. თუ ასეთი ზრდის ტემპს შევინარჩუნებთ, რაც სრულიად რეალურია, 2030 წლისთვის მშპ-ს მაჩვენებელი გაოთხმაგდება და 40.000 საერთაშორისო დოლარს გადააჭარბებს.

ეს ციფრები ახლოს არის ევროპის წარმატებული ქვეყნების დღევანდელ მონაცემებთან და ჩვენი მოქალაქეებისთვის სტაბილური კეთილდღეობის გარანტიას წარმოადგენს.

მსოფლიო ბანკმა გასული წლის ოქტომბერში გამოაქვეყნა 17 ანალიტიკური ცენტრის შემაჯამებელი კვლევა, რომლის მიხედვით, ბოლო 18 წლის განმავლობაში საქართველოს ყველაზე მაღალი მაჩვენებლები 2014 წელს დაფიქსირდა. 200 ქვეყანას შორის, სადაც კვლევის მიხედვით მმართველობის 6 ჯამური ინდიკატორია მოცემული, საქართველოს პოზიციები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ეს ინდიკატორებია: მთავრობის ეფექტიანობა, კანონის უზენაესობა და კორუფციის კონტროლი, გამოხატვის უფლება და ანგარიშვალდებულება, რეგულაციების ხარისხი, პოლიტიკური სტაბილურობა და ძალადობის/ტერორიზმის არარსებობა.

* * *

დღეს მთავრობის ეფექტიანობის რეიტინგით საქართველო რეგიონში ლიდერია და, გარდა ამისა, მთელი რიგი მაჩვენებლებით უსწრებს ევროკავშირის წევრ ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა ესპანეთი, პოლონეთი, იტალია, საბერძნეთი, ლატვია, ლიტვა და სხვა.

ყოველგვარი პოლიტიკური დათმობების გარეშე შევძელით ქართული პროდუქციისთვის გაგვეხსნა რუსული ბაზარი და, ამავე დროს, 2015 წელს ქართული პროდუქციის ექსპორტი ევროკავშირში 2012 წელთან შედარებით გაორმაგდა.

2013-2015 წლებში წლებში დასაქმებულთა საერთო რაოდენობა კერძო სექტორში 55.000 ადამიანით გაიზარდა. მაშინ როდესაც 2006-2012 წლებში 23.000-ით შემცირდა.

2013-2015 წლებში რეალური ხელფასი გაიზარდა 175 ლარით, 2010-2012 წლებში კი – მხოლოდ 78 ლარით; პენსიების რეალურმა ზრდამ (მსყიდველთუნარიანობის გათვალისწინებით) შეადგინა 24,1%.

2013-2015 წლებში საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებულმა წმინდა შემოსავალმა 4 მილიარდ 520 მილიონ დოლარს მიაღწია, რაც ორჯერ აღემატება 2010-2012 წლების ანალოგიურ მაჩვენებელს. ზრდა შთამბეჭდავია მიმდინარე წელსაც. იანვარ-აპრილში ჩვენი შეფასებით ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი, დაახლოებით, 17%-ით გაიზარდა და შეადგინა 505 მლნ აშშ დოლარი.

2013-2015 წლებში 2010-2012 წლებთან შედარებით მშენებლობის მოცულობა მთელი საქართველოს მასშტაბით გაიზარდა 56%-ით, მათ შორის, თბილისში 63%-ით, ხოლო აჭარაში – 76%-ით (გაცემული ნებართვების მიხედვით).

**მნიშვნელოვნად გაიზარდა ენერგეტიკული პროექტების მოცულობა:**

- 2013-2015 წლებში ენერგეტიკაში 2 მილიარდ 506 მილიონი დოლარის ინვესტიცია განხორციელდა. უკვე შევიდა ექსპლუატაციაში 523 მილიონი დოლარის ღირებულების 14 ჰიდრო და 1 თბოელექტროსადგური.
- უახლეს მომავალში ექსპლუატაციაში შევა კიდევ ექვსი ჰიდროელექტროსადგური, მათ შორის – 416 მილიონი დოლარის ღირებულების „შუახევჰესი“. დაიწყო „ნენსკარაჰესის“ მშენებლობა, რომლის საინვესტიციო ღირებულებაც 1 მილიარდი დოლარია.
- გაფორმდა მემორანდუმები 104 განახლებადი ენერგიის პროექტის განხორციელების შესახებ, რომელთა საერთო ჯამური დადგმული სიმძლავრე 2800 მეგავატს აღემატება, ხოლო საინვესტიციო ღირებულება 6 მილიარდი დოლარია.

საგრძნობლად იმატა ინფრასტრუქტურული მშენებლობის ტემპმა. მაგალითად, წელიწადში საშუალოდ 2,5-ჯერ მეტი ავტობანი შენდება, ვიდრე – წინა ხელისუფლების დროს.

* * *

აღნიშნული პოზიტიური ტენდენციები განსაკუთრებით აღსანიშნავია იმ ფონზე, როცა რეგიონის თითქმის ყველა ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისი მოხდა, რაც, ბუნებრივია, მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო საქართველოსათვისაც.

მოვლენების ამგვარი განვითარების გარეშე, რასაკვირველია, უფრო მეტის მიღწევა შეიძლებოდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ 2004-2012 წლებში საქართველო ეკონომიკური ზრდის ტემპით ლიდერი არ ყოფილა. სომხეთს, ბელარუსს, აზერბაიჯანს ეკონომიკური ზრდის უფრო მაღალი მაჩვენებლები ჰქონდათ. 2013-2015 წლებში კი, საქართველოს, მეზობელ ქვეყნებთან შედარებით, ყველაზე მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპი აქვს.

დასკვნით ფაზაში შევიდა ტექნოლოგიური უნივერსიტეტის დაარსების პროექტი. რამდენიმე დღის წინ საქართველოში ჩამოვიდნენ მსოფლიოს წამყვანი მეცნიერები, რომლებიც დაესწრნენ მაღალი ტექნოლოგიების სამეცნიერო ცენტრის მშენებლობის დაწყებას, ხოლო სექტემბერში ქუთაისში საუნივერსიტეტო კომპლექსის მშენებლობას შევუდგებით.

* * *

განსაკუთრებული ზრუნვის საგნად რჩებიან ადამიანები, რომლებიც რუსეთის აგრესიისა და საპასუხო გაუაზრებელი პოლიტიკის შედეგად საკუთარ სამშობლოში დევნილებად იქცნენ. მთავრობამ დაიწყო დევნილთათვის ბინების აშენება, სახლების შეძენა და ფართების დაკანონება.

მოქალაქეები ეჩვევიან პოლიტიკურ თავისუფლებებს, მათ აღარ ეშინიათ საკუთარი კრიტიკული აზრის თუ უკმაყოფილების გამოხატვისა. ადამიანები შრომითი უფლებების დაცვის მოთხოვნით გაფიცვებსაც კი აწყობენ, რაც, დამეთანხმებით, ადრე წარმოუდგენელი იყო.

გაგრძელება მე-8 გვერდზე

კავკასუს ონლაინი

შპს „მაგთიკომის“ და შპს „კავკასუს ონლაინის“ ერთობლივი განცხადება

მაგთიკომი MAGTICOM

მოხარულები ვართ გაცნობოთ, რომ შპს „მაგთიკომსა“ და შპს „კავკასუს ონლაინს“ შორის მიმდინარე წლის 30 მაისს ხელი მოეწერა **საოპერაციო აქტივების ნასყიდობის ხელშეკრულებას.**

კავკასუს ონლაინის კორპორაციული და საცალო მომსახურებისთვის საჭირო საოპერაციო აქტივების მაგთიკომისთვის გადაცემის პროცესი სავარაუდოდ დაიწყება 2016 წლის 1 აგვისტოს, რამდენიმე თვე გაგრძელდება და მიმდინარე წლის ბოლომდე დასრულდება.

მომხმარებლებს წინასწარ ვაცნობებთ თარიღს, თუ როდიდან გაუწევს მათ მაგთიკომი საკაბელო ინტერნეტის, ინტერნეტტელევიზიის და ფიქსირებული ტელეფონიის მომსახურებას.

ინტეგრაციის პროცესში მომხმარებლებს შეუფერხებლად, უწყვეტ რეჟიმში მიეწოდებათ მომსახურება.

მაგთიკომი საქართველოში პირველი და ერთადერთი ოპერატორია, რომელიც სრულ ოთხმაგ სერვისს შესთავაზებს მოსახლეობას:

1. მობილური ტელეფონია
2. ფიქსირებული ტელეფონია (რადიო და საკაბელო)
3. ინტერნეტი (მობილური და საკაბელო)
4. ტელევიზია (თანამგზავრული და IPTV)

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# გია ხუხაშვილი: „რატომ გვატენის ივანიშვილი ნაციონალებს?“

## „ოცნება“ და ყოფილი ხელისუფლება ერთგვარ სიმბიოზად ჩამოყალიბდა“

შორენა მარსაგიშვილი



რა შეცდომებს უშვებს ივანიშვილი, ვინ და რატომ „გვატენის“ ნაციონალებს, რა იქნება ამომრჩევლის პასუხი? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ექსპერტი **გია ხუხაშვილი** ესაუბრება.

***– თითქმის 2 კვირაა საზოგადოება ბიძინა ივანიშვილის წერილის გამოქვეყნებას ელოდა. უმეტესობას ეგონა, რომ ის სკანდალურ განცხადებას გააკეთებდა. თქვენ რა მოლოდინი გქონდათ და გაამართლა თუ არა მისმა წერილმა თქვენი იმედები?***

– ამ წერილში დიდ სკანდალებს არ ველოდებოდი. მართალია, ოდნავ განსხვავებული მოლოდინები მქონდა, მაგრამ არა – პრინციპული. რაც შეეხება საკუთრივ წერილს, მისი ძირითადი ნაწილი ეთმობა წარსულის აღწერას და შეგვახსენებს, თუ რას გადავრჩით. ამ მიმართულებით მის მოსაზრებებს ძირითადად ვიზიარებ, მაგრამ 2016 წელს ამაზე ძირითადი აქცენტის გაკეთება არასწორად მიმაჩნია.

***– რატომ არის 2016 წელს ამ თემებზე საუბარი გაუმართლებელი?***

– იმიტომ, რომ ჩვენ ეს ყველაფერი ვიცით და მეტიც, ეს ყველაფერი 9 წლის მანძილზე საკუთარ ტყავზე გამოვცადეთ. მან ამ საშინელი რეჟიმის დამარცხებაში უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა, მაგრამ გამუდმებით წარსულზე საუბარი არ შეიძლება.

არც ის მომეწონა, რომ ის დღესაც ქვეყნის განვითარების პროცესს „ქართული ოცნების“ და ნაცმოძრაობის დაპირისპირების პრიზმაში განიხილავს. ივანიშვილი ამ წერილით კიდევ ერთხელ გვეუბნება, რომ მისი ალტერნატივა არის მხოლოდ ნაციონალური მოძრაობა და მათი უკან დაბრუნება არ უნდა დავუშვათ. ეს ივანიშვილის პრინციპული და ფატალური შეცდომა გახლავთ.

დიდი ხანია, ქართულ საზოგადოებაში ჯამურად „ოცნება“ და ნაციონალები უმცირესობაში არიან. ამ ქვეყნის ამომრჩევლის უმეტესობა ეძებს ახალ ძალას. ივანიშვილის შეთავაზება ქართველი ამომრჩევლისთვის წარსულის არჩევანია. ივანიშვილის ხედვა, რომ არჩევანი გაკეთდეს ცუდსა და უარესს შორის, ქვეყნის განვითარებისთვის ძალიან ცუდია. ის ცდილობს, მოსახლეობა ბუათი შეაშინოს და ეუბნება, მე თუ არ ამირჩევ, მოვა ნაციონალური მოძრაობა.

***– შეაშინებს ბუა ამომრჩეველს?***

– არა მგონია. მოსახლეობისთვის მისაღები არც მოქმედი ხელისუფლებაა და არც – ყოფილი. თავისი წერილით ივანიშვილს მოსახლეობისთვის ახალი არაფერი უთქვამს. სამწუხაროა ისიც, რომ წერილში არ არის არსებული ხელისუფლების კრიტიკა.

წერილის ეკონომიკურ ნაწილს რაც შეეხება, აქაც ფორმალისტურ მიდგომას აქვს ადგილი. მას უნდა სტატისტიკით დაგვიმტკიცოს, რომ ქვეყანაში ყველაფერი მიდის კარგად. ამის დიდოსტატი იყო მიხეილ სააკაშვილი, ასეთ საქმეებში მას ბადალი მართლაც არ ჰყავდა, მაგრამ ისიც კი ვერ ახერხებდა სტატისტიკის მოშველიებით რაღაცების დამტკიცებას.

ადამიანი თავის კეთილდღეობას ქაღალდზე დაწერილი ციფრებით კი არ ზომავს, არამედ საკუთარი მაცივრით. ამ მხრივ ამ ხელისუფლებას ჯერჯერობით დასაკვეხნი ნამდვილად არაფერი აქვს.

წერილში ის შედარებით ანალიზსაც აკეთებს და ამბობს, რომ ევროპაში ერთ სულ მოსახლეობაზე კეთილდღეობა საქართველოსთან შედარებით ექვსჯერ მეტია. იქვე პროგნოზს აკეთებს, რომ 15 წელიწადში ეს ყველაფერი გასწორდება.

***– თქვენ არ გჯერათ, რომ ამ მხრივ ვითარება გამოსწორდება?***

– ეკონომიკური ზრდის ტემპები ამის შანსს ნამდვილად იძლევა. უახლოეს მომავალში ეკონომიკური ზრდის ტემპები თუ არ გაიზარდა, უახლოეს 10-15 წელიწადში ჩვენი კეთილდღეობა ევროპელებისას ვერ მიუახლოვდება. საინტერესოა ისიც, რის ხარჯზე უნდა მოხდეს ეს ზრდა, ივანიშვილის გზავნილებში ამის რეცეპტები საერთოდ არ ჩანს.

***– ამ წერილის დანიშნულება საერთოდ რა იყო? სიახლე არაფერი უთქვამს, ნაციონალები რომ ცუდები იყვნენ, ამას ხალხი იმაზე ადრე ამბობდა, სანამ ივანიშვილი პოლიტიკაში მოვიდოდა.***

– მეც არ ვიცი, რა დანიშნულება ჰქონდა ამ წერილს. ამაზე პასუხი თავად ბიძინა ივანიშვილს ექნება.

***– წერილიდან გვამცნობს, სატელევიზიო გამოსვლებიც მექნებაო. ეს შეცვლის რამეს?***

– ამ გამოსვლებშიც თუ იმაზე ილაპარაკებს, რომ არჩევანი მხოლოდ „ოცნებასა“ და ნაციონალებს შორის უნდა გაკეთდეს, არაფერიც არ შეიცვლება. იმაზე საუბარი, რომ შუა უნდა გაიკრიფოს, წარსულში ჩარჩენილი აზროვნებაა. ყველა გამოკვლევა ცხადყოფს, რომ ერთიც და მეორეც უკვე წარსულია და მაინტერესებს, რატომ გვატენიან ამ არჩევანს. ჩვენ სიახლე და სისტემური ცვლილებები გვინდა.

***– ხალხისთვის მოქმედი და ყოფილი ხელისუფლებაც წარსულიაო, ამბობთ და მათ შორის საერთოდ განსხვავება არ არის?***

– კი ბატონო, არის. „ქართული ოცნება“ წინამორბედს სჯობია. ახლა ქვეყანაში თავისუფლად სუნთქვა შეიძლება, მაგრამ „ქართული ოცნება“ სახელმწიფოს წინაშე არსებულ გამოწვევებს ვერ პასუხობს.

***– რატომ გვატენის „ოცნება“ ყოფილ ხელისუფლებას?***

– ეს პოლიტტექნოლოგიის საკითხია. თუ შენ არ შეგიძლია გახდე კარგი და წინ წახვიდე, მაშინ ამომრჩეველს არჩევანი უნდა დაუტოვო შენსა და შენზე უარეს ძალას შორის. ეს პოლიტტექნოლოგიაა, მაგრამ ადამიანების მიმართ სამართლიანი მიდგომა არ არის.

***– რას იტყვით ზვიად ძიძიგურის განცხადებაზე, რომელიც ამბობს, რომ მომავალ პარლამენტში მთავარი ოპოზიციური ძალა ისევ ნაციონალური მოძრაობა იქნება.***

– ეს არის პრობლემა, რომელიც მარტო ივანიშვილს კი არა, მთელ „ქართულ ოცნებას“ აწუხებს. ისინი ასე ხედავენ მომავალს და მიაჩნიათ, რომ მათსა და ნაციონალებს შორის სხვა არავინ არსებობს. ისინი ერთგვარ თვითკმარ სიმბიოზად ჩამოყალიბდნენ და მიაჩნიათ, რომ სამყაროს ჭიპს წარმოადგენენ.

# ვახტანგ ძაბირაძე: „პოლიტიკურ ასპარეზზე ივანიშვილის წონის ლიდერი ჯერ არ ჩანს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ყოფილი პრემიერის, ბიძინა ივანიშვილის მიერ გამოქვეყნებულ წერილზე საუბრობს.

**ვახტანგ ძაბირაძე:**

– გულწრფელად გითხრათ, მოლოდინი უფრო მეტი მქონდა, ვიდრე წერილის გაცნობის შემდეგ შემექმნა. ვფიქრობდი, უფრო ღრმა ანალიზი იქნებოდა. წერილი მიმოხილვითი ხასიათისაა, ვიდრე ანალიტიკური. საუბარი უფრო წარსულზეა, ვიდრე მომავალზე. წარსული როგორი იყო, ვიცით, შეიძლება მოსახლეობისთვის საჭიროა მისი შეხსენება და ეს წინასაარჩევნოდაც იქნება ალბათ გამოყენებული, მაგრამ ამაზე აპელირება არცთუ მომგებიანი შეიძლება იყოს, რადგან მოსახლეობას წარსული ისედაც კარგად ახსოვს.

***– წერილში წარსულზე საუბარია იმ კონტექსტში, რომ იქ არ უნდა დავბრუნდეთ.***

– ეს აბსოლუტურად გასაგებია და მესმის, ვეთანხმები, რომ წარსულში არ უნდა დავბრუნდეთ, მაგრამ მე ვსაუბრობ იმაზე, რომ საჭიროა მომავალზე მეტი აქცენტირება. ზოგადი ფრაზეოლოგიით საუბარი საკმარისი არ არის. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის 4 წლიანი პერიოდი, გარდა ჩამონათვალისა, თუ სად რამდენი ინვესტიცია განხორციელდა, გაანალიზებული არ არის. არ არის საუბარი, თუ რა პრობლემები იყო, რა გაკეთდა და რისი გაკეთება შეიძლება მომავალში. როგორც ჩანს, უკმარისობის განცდა თავადაც აქვს ავტორს, რადგან უფრო დეტალურ ანალიზსა და გეგმებს სექტემბრისთვის დაგვპირდა.

***– 4 წლის განმავლობაში არსებული შეცდომების გაანალიზებას ელოდით?***

– ოთხწლიანი მოღვაწეობის დეტალურ ანალიზს ველოდი ყველა მიმართულებით. შეიძლება საუბარი შეცდომებზეც ყოფილიყო და არც ყოფილიყო. ფართო ანალიზი მოგვცემდა იმის შესაძლებლობას, რომ გაგვეანალიზებინა, თუ რის გაკეთებას აპირებს არჩევნების შემდეგ ხელისუფლება.

***– აქცენტი ეკონომიკაზე, მის ზრდაზეც არის, გარკვეული ციფრები აქვს მოყვანილი ყოფილ პრემიერს. ეს რამდენად იქნება მოსახლეობისთვის სარწმუნო?***



– ეკონომიკურ ზრდაზე არის საუბარი, მართლაც არის მოყვანილი ციფრები, მაგრამ ამას მე დიდად ვერ ვიზიარებ, რადგან გარკვეული სკეფსისი მაქვს, განსაკუთრებით, როდესაც გრძელვადიან პერსპექტივებზე არის საუბარი.

ჩემი სკეფსისი უკავშირდება მხოლოდ იმას, რომ მთელი ცხოვრება მესმოდა, რომ 5 წელიწადში, 10 წელიწადში უკეთესობა იქნება, მაგრამ ეს ვერა და ვერ იქცა რეალობად. ეკონომიკა შეიძლება მართლაც კარგად ვითარდება და ამ მიმართულებით მართლაც შეიძლება პერსპექტივები გვქონდეს, მაგრამ მნიშვნელობა ციფრებში კი არ არის, მნიშვნელობა აქვს, ამ პერსპექტივას როგორ გრძნობენ ადამიანები.

***– ბიძინა ივანიშვილი ყველა რეგიონში აპირებს არჩევნების წინ ჩასვლას და მოსახლეობისთვის მიმართვას. გამოდის, ის არჩევნებში აქტიურად ჩაერთვება. ამომრჩეველი კვლავ დაუჯერებს ივანიშვილს?***

– ეს წერილი თავისი არსით, პათოსით უფრო საარჩევნო მიმართვა იყო მოსახლეობისთვის. გზავნილი ცალსახაა: თუ არ აგვირჩევთ ჩვენ, მოვა ნაციონალური მოძრაობა და იქნება ისევ ის, რაც იყო. როგორც ჩანს, ხელისუფლება შეეცდება, მოსახლეობა ამაში დაარწმუნოს და ნაციონალური მოძრაობით შეაშინოს.

***– რამდენად რეალურია, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ შეძლოს ხელისუფლებაში დაბრუნება?***

– ეს სულაც არ არის უსაფუძვლო. ამიტომ ვამბობ, რომ ხელისუფლების მხოლოდ პიარის ნაწილი კი არ არის ის გზავნილი, რომ ნაციონალური მოძრაობა მობრუნდება, თუ არ აგვირჩევთ, ეს რეალურიც არის. ნაციონალური მოძრაობა ოდნავადაც კი არ შეცვლილა და თუ ხელისუფლებაში დაბრუნდება, როგორ დაბრუნდება, გასაგებია.

***– ამ არჩევნებზე მთავარი ლოკომოტივი ისევ ივანიშვილი იქნება?***

– რასაკვირველია. ბიძინა ივანიშვილი არის ავტორიტეტი, თუ მიხეილ სააკაშვილი არის ავტორიტეტი, არ მესმის, ბიძინა ივანიშვილი რატომ არ უნდა იყოს. პოლიტიკურ ასპარეზზე ივანიშვილის წონის სხვა ლიდერი ჯერჯერობით, უბრალოდ, არ ჩანს. მიიღებს თუ არ მიიღებს ივანიშვილი ამ არჩევნებში მონაწილეობას, 8 ოქტომბრის არჩევნები და „ქართული ოცნება“ მაინც ივანიშვილთან იქნება ასოცირებული.

მოსახლეობას დღეს აქვს ორი არჩევანი: ან ნაციონალურ მოძრაობასთან დაბრუნება, ან იმ ვითარების არჩევა, რაშიც დღეს იმყოფება იმ მოლოდინით, რომ იქნება რაღაც მაინც გამოსწორდეს. ეს არის იძულებითი არჩევანი. ამ ვითარებაში ივანიშვილი სწორედ ამის პედალირებას ცდილობს.

ნაციონალური მოძრაობა „ქართულ ოცნებაზე“ არ საუბრობს, მისი მთავარი სასაუბრო თემა ბიძინა ივანიშვილია. მისი სამიზნე არის ივანიშვილი, რამდენად ეფექტურად არის შერჩეული სამიზნე, ეს სხვა საკითხია, მაგრამ ნაციონალების მთავარი მიზანი ივანიშვილია და არა – „ქართული ოცნება“.

***– მთავარ ოპონენტს ივანიშვილში ხედავენ და არა – „ქართულ ოცნებაში“?***

– დიახ, სწორედ ასეა და ამას არც მალავენ. მთელი წინასაარჩევნო პერიოდიც სწორედ ამ დაპირისპირებაში ჩაივლის.

# თამაზ მეჭიაური თბილისში მაჟორიტარად იყრის კენჭს

## „მთავრობას, ჯობდა, ჯენიფერ ლოპესი ან კიმ კარდაშიანი ჩამოეყვანა“

შორენა მარსაგიშვილი



უხვპარტიული საქართველო კიდევ ერთი პარტიის შექმნის მოლოდინშია. პარტიის შექმნას ამჯერად დეპუტატი თამაზ მეჭიაური აპირებს. ჟურნალისტებთან საუბარში მან განაცხადა, რომ ამ საკითხზე მოლაპარაკებებს აწარმოებს, თუმცა ვისთან, არ დაუკონკრეტებია.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პარტიის პრეზენტაციას 2 კვირაში გეგმავს, სავარაუდოდ, გუნდი უკვე ჰყავს. „ახალი თაობა“ წერდა, რომ მის გუნდში ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრები შევლენ. ერთადერთი, ვინც ახალ პარტიაში შესვლის შესახებ ინფორმაცია დაადასტურა, დეპუტატი ომარ ნიშნიანიძეა.

– ჯერჯერობით კონსულტაციები მაქვს მთელ რიგ პოლიტიკოსებთან, სხვადასხვა კერძო პირებთან, რომელთაც პოლიტიკაში მოსვლის ინტერესი აქვთ. საბოლოოდ, ეს კონსულტაციები არ დამთავრებულა. გარკვეულ ნაწილთან უკვე გვაქვს შეთანხმება. ალბათ, ეს ერთ კვირაში, მაქსიმუმ ორ კვირაში მიიღებს საბოლოო სახეს, რასაც ჩვენს მოსახლეობას გავაცნობ, – განაცხადა თამაზ მეჭიაურმა.

გარდა იმისა, რომ პარტიის შექმნას აპირებს, ის მაჟორიტარობასაც უმიზნებს. დეპუტატი თბილისის ერთ-ერთ რაიონში აპირებს ძალების მოსინჯვას.

ბოროტი ხმები ამბობენ, რომ მეჭიაურის პარტია ასე თუ ისე მაინც ივანიშვილთან იქნება დაკავშირებული.

ამ თემაზე მეჭიაური არ საუბრობს. მიიჩნევს, რომ ივანიშვილის პოლიტიკაში ჩართულობას აუცილებლად ექნება ეფექტი, ოღონდ არა ისეთი, როგორიც 2012 წელს. მეჭიაურს არ მოსწონს ყოფილი პრემიერის საგარეო კურსი და ვერ ხვდება, რატომ არის ის ასე ოპტიმისტურად განწყობილი.

თანაკურსელის ოპტიმიზმის საფუძველს მეჭიაური ივანიშვილის უსტარშიც ეძებდა, მაგრამ ვერ მიაკვლია.

– სურვილის მიუხედავად, ვერ ვეთანხმები ბიძინა ივანიშვილის მოსაზრებას საგარეო კურსთან დაკავშირებით. კიდევ უფრო მკვეთრად გამოხატავს თავის მხარდაჭერას ევროატლანტიკური კურსისადმი და ძალიან ოპტიმისტურად უყურებს, თუმცა იქ მე ვერ ვნახე დასაბუთება ან ოპტიმიზმის საფუძველი, – აღნიშნა უმრავლესობის დეპუტატმა.

ნაპრემიერალის ეპისტოლარული მიმართვის დანარჩენი ნაწილის მიმართ მეჭიაური უფრო ლოიალურად არის განწყობილი. საპარლამენტო უმრავლესობის სხვა წევრებისგან განსხვავებით, ის არ ამტკიცებს, რომ ქვეყანაში ყველაფერი იდეალურად არის.

– წერილში საუბარი იყო მიღწევებზე ადამიანის უფლებების კუთხით, სიტყვის თავისუფლების, ჯანდაცვის მიმართულებით. სამუშაო ადგილებს რაც შეეხება, მინდა ვთქვა, რომ ნაწილობრივ სადღაც შემცირდა, სადღაც მეტი შეიქმნა, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ მთლიანობაში ამ კუთხით ვითარება მკვეთრად დადებითად შეიცვალა, – განაცხადა თამაზ მეჭიაურმა.

დეპუტატი თანაკურსელის გააქტიურებას იმ შედეგით ხსნის, რომელიც მეორეხარისხოვან არჩევნებზე დაიდო. საუბარია ცოტა ხნის წინ ჩატარებულ შუალედურ არჩევნებზე.

– ყოფილი პრემიერ-მინისტრის რეკომენდაციები რიგ კანდიდატურასთან დაკავშირებით ვერ გამართლდა, ამიტომ მხოლოდ მისი მხარდაჭერა ამა თუ იმ პიროვნებას არჩევნებში გამარჯვებაში ვერ დაეხმარება, – მიაჩნია დეპუტატს.

ის მედიის თავისუფლების ხარისხით კმაყოფილია, თუმცა სასამართლოს თავისუფლების ხარისხი არ აკმაყოფილებს.

– მედია ზომაზე მეტად თავისუფალია, სასამართლო ხელისუფლების ჩარევისგან თავისუფალია, მაგრამ არ არის თავისუფალი ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ზეწოლის განხორციელებისგან, – აცხადებს მეჭიაური.

ახალი პარტიის შექმნით დაკავებულ მეჭიაურს არც რობი უილიამსის კონცერტი გამორჩენია მხედველობიდან. მართალია, კონცერტს არ დასწრებია, მაგრამ ამცნეს, რომ მომღერალმა დინამო არენაზე სხეულის ერთი ნაწილი გამოაჩინა.

დეპუტატის მოსაზრებით, ალბათ მმართველ გუნდს სურდა, რომ მომღერალ რობი უილიამსის კონცერტი აქტივში ჩაეწერა.

დეპუტატის მტკიცებით, ხელისუფლებამ ამ კონცერტით რამდენიმე ლგბტ ამომრჩევლის გული მოიგო, სამაგიეროდ, ბევრი გადაიმტერა.

– ალბათ, მმართველ გუნდს ეს კონცერტი აქტივში უნდოდა ჩაეწერა, მაგრამ თუნდაც ერთი უკანალის ჩვენებით ამდენი მილიონი უკუღმა შემოუტრიალდა. რამდენიმე ლგბტ ამომრჩეველი შეიძლება მათ დაემატათ, მაგრამ სამაგიეროდ სხვა ხმები დააკარგვინა.

სწორი მენეჯმენტი რომ ჰქონოდათ, ალბათ, ჯობდა, ჯენიფერ ლოპესი ან კიმ კარდაშიანი ჩამოეყვანათ. მართალია, იქ ლგბტ-ების ხმები შესაძლოა დაეკარგათ, მაგრამ, სამაგიეროდ, ასეთი ვაჟკაცების (აგერ, ოპერატორები რომ დგანან) ხმებს ნამდვილად მოიპოვებდნენ. ათეული მილიონი ასეთი იაფფასიანი შოუების მოსაწყობად ნამდვილად არ ღირდა, – აღნიშნავს უმრავლესობის წევრი.

ქართული იდეა

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა

№4

„ქართული იდეის“ გვერდი იხილეთ ყოველ სამშაბათს

# ძვირფასო თანამემამულენო!

საქართველოს უახლესი ისტორია ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული და ტკივილიანი ფურცელია ჩვენი ერის მატიანეში. საბჭოთა იმპერიისგან დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარმა ქართველობამ და მისმა ეროვნულმა მოძრაობამ დროშად წარიმძღვარა სულმნათი ილიას ამაღორძინებელი იდეოლოგია – **„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს“**, მაგრამ დღემდე ვერ მივაღწიეთ ჭეშმარიტ თავისუფლებასა და ნამდვილ დამოუკიდებლობას. თავისუფლებისათვის ბრძოლაში არ გვაკლდა სიყვარული, მაგრამ გვაკლდა ერთგულება (რაზეც მეტყველებს ეროვნული მოძრაობის თითქმის ყველა ლიდერის ტრაგიკული აღსასრული), არ გვაკლდა მეგობრობა, მაგრამ გვაკლდა ერთობა, არ გვაკლდა თავდადება, მაგრამ გვაკლდა აღმსარებლობა... მოკლედ, გვაკლდა ყველაზე მთავარი – **ეკლესიური ცნობიერება, ქრისტეში ერთობა.**

ჩვენი უბედურების უმთავრეს მიზეზად დღესაც რჩება ის, რომ **საქართველოს პოლიტიკური ელიტის უმრავლესობა ღვთის ნაცვლად უცხოელ პატრონებზე ამყარებს იმედს. ხელისუფლებაში მყოფი ადამიანებისათვის მისაღები ხდება არა ის, რაც სასარგებლოა საქართველოსთვის, არამედ ის, რასაც საქართველოსათვის „სასარგებლოდ“ უცხოეთში მიიჩნევენ.** არავინ ამბობს, რომ მსოფლიოში რეალურად არსებულ გავლენიან ძალებს ანგარიში არ გავუწიოთ, პირიქით, უნდა გავუწიოთ, ეს ბუნებრივი და აუცილებელიცაა, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი პოლიტიკა ავანტიურისტულ ხასიათს შეიძენდა. უბრალოდ, ქართველ პოლიტიკოსთა უდიდეს ნაწილს არ გააჩნია მყარი მსოფლმხედველობა, ეროვნული ღირსების განცდა და მუდამ სხვისი იდეოლოგიური ნასუფრალის შემყურედ რჩება. სანამ ასეთი მიდგომები იარსებებს, ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, არავინ გაუწევს ანგარიშს.

პირველი ოქტომბრის არჩევნების შედეგად პარლამენტში 40 %-ით მოხვედრილი ნაცმოძრაობის დამნაშავე რეჟიმის თუ ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტს ამოფარებული ურეიტინგო პარტიების წარმომადგენელთა უმრავლერსობა არ გამოხატავს ქართველი ერის ნება-სურვილსა და ინტერესებს. **ქვეყნის ღირსეული განვითარებისათვის გადაუდებელ ამოცანად გვესახება არჩევნების გზით საკანონმდებლო ორგანოს დაკომპლექტება ახალი, გაუსვრელი სახეებით – საქმის მცოდნე ეროვნულ-ეკლესიური ცნობიერების მქონე ღირსეული მამულიშვილებით.**

გადაუდებელ ამოცანად გვესახება მედიის გათავისუფლება უზნეო და ანტიქართული თავსმოხვეული პროპაგანდისტული წნეხისაგან.

უმთავრესი პრიორიტეტი უნდა იყოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, ქვეყნის მმართველობის იურისდიქციაში აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დაბრუნება. ამ მიზნით, უნდა აღდგეს დიპლომატიური ურთიერთობები რუსეთთან და სასწრაფოდ დაიწყოს უმაღლეს დონეზე მოლაპარაკებები. ეროვნული უსაფრთხოებიდან გამომდინარე საგარეო-პოლიტიკური ვექტორი მკვეთრად არ უნდა გადაიხაროს რომელიმე სამხედრო ბლოკის მიმართულებით. მაგალითისთვის რუსეთის მოსაზღვრე ფინეთიც გამოდგება, რომელიც არ არის გაერთიანებული ნატოს სამხედრო ბლოკში, თუმცა ევროკავშირის და ყველა ევროპული სტრუქტურის წევრია, ინარჩუნებს სტაბილურ ურთიერთობას მეზობელ რუსეთთან და წარმოადგენს ეკონომიკურად წარმატებულ, განვითარებულ ქვეყანას. ასე, რომ ჩვენი ქვეყნის ტერიტორია არ უნდა ვაქციოთ დესტაბილიზაციის კერად, ნატო-რუსეთის დაპირისპირების ახალ პოლიგონად და მეორე სირია-უკრაინად.

კონფლიქტების მოგვარების დარგში მომუშავე კომპეტენტურ და პატიოსან ადამიანებთან ერთად უნდა მოხდეს ოსურ და აფხაზურ საზოგადოებასთან დიალოგის განახლებისა და შერიგების პროცესის წარმართვა. ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში რეალიზებული უნდა იყოს სახალხო დიპლომატია, შერეული ოჯახები და რაც მთავარია, საქართველოს ეკლესიისა და ჩვენი (ქართველების, ოსების, აფხაზების და სხვ.) კათოლიკოს-პატრიარქის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის – ილია II-ის დიდი ავტორიტეტი.

პოლიტიკური და კულტურული თვალსაზრისით ეს იქნება არა ორიენტირებული, არამედ – დაბალანსებული, თვითმყოფადი ქვეყნის თვითმყოფადი პოლიტიკა. ისტორიულად სწორედ ასეთი გამოცდილებაა საქართველოსთვის ყველაზე წარმატებული და გასაზიარებელი: ავთენტური და არა – მკვეთრად გამოხატული დასავლური, აღმოსავლური თუ ჩრდილოური ორიენტაციები; არა – მკვეთრი გადახრა რომელიმე მიმართულებით, არამედ – ბუნებრივად განსაზღვრული გეოპოლიტიკური და გეოკულტურული ხიდის როლის შესრულება; არა – ადაპტირება, არამედ – თვითმყოფადობა; შემეცნება და არა – გადმოღება. სწორედ ასეთი პოლიტიკა შექმნის საუკეთესო პირობებს ჩვენი ტერიტორიული მთლიანობისა და ეროვნული ინტერესების დაცვისათვის, რაც უნდა წარმოადგენდეს ქართული სახელმწიფოებრივი განვითარების უმთავრეს პრიორიტეტს.

სულ რაღაც თხუთმეტიოდე წლის წინ საქართველო იყო რეგიონში ერთმანეთთან დაპირისპირებული სახელმწიფოების დელეგაციათა სამშვიდობო ფორმატში შეკრების ადგილი. თბილისის საკონფერენციო დარბაზებში ერთმანეთს ხვდებოდნენ სომხეთისა და თურქეთის, აზერბაიჯანისა და რუსეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის დელეგაციები და ჩვენ ერთგვარ გეოპოლიტიკური და გეოკულტურული არბიტრის როლს ვასრულებდით, მაგრამ საგარეო ვექტორის მკვეთრად გადახრამ სწორედ ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია დააკარგვინა ჩვენს სახელმწიფოს. ჩვენი ამოცანა გახლავთ ამ ყველაზე მნიშვნელოვანი (რეგიონში გეოპოლიტიკური და გეოკულტურული მშვიდობის ხიდის) ფუნქცია დავუბრუნოთ ჩვენს ქვეყანას.

საქართველოს სახელწიფოებრივი წინსვლა დამოკიდებულია ქვეყნის იდეოლოგიისა და სახელმწიფოებრივი მოწყობის სწორ განსაზღვრასა და შემუშავებაზე. ცივილიზებული მსოფლიოს თვალში არაფერი ისე არ აამაღლებს ქართველი ერის ღირსებას, როგორც აწმყოში კეთილგონივრულად გაცოცხლებული წარსული.

უაღრესად მშვიდობიანი და ჰუმანური იდეოლოგიით ქვეყნის მართვა ნიშნავს იმას, რომ მთელი ჩვენი ყოფა გამსჭვალული და გამდიდრებული იქნება მრავალსაუკუნოვანი ქრისტიანული ტრადიციებით, რაც ხელს შეუწყობს ოჯახის (სახელმწიფოს ქვაკუთხედის) აღორძინებას, მრავალშვილიანობას, ერის გამრავლებას, სიყვარულითა და პატივისცემით მოპყრობას ნებისმიერი ეთნო-რელიგიური კუთვნილების მქონე ადამიანის – როგორც მოყვასის, მიმართ.

არსებობს ფასეულობები, რომელთაც ადამიანის უფლებებზე დაბლა ვერ დავაყენებთ, ესენია: ღმერთი, სამშობლო, ოჯახი, ზნეობა, ღირსება, სიწმინდეები. როდესაც ეს ფასეულობები და ფსევდოლიბერალური გაგებით ადამიანის უფლებათა განხორციელება ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის, სახელმწიფო, საზოგადოება და კანონი მათ ჰარმონიულ თანაფარდობას უნდა უზრუნველჰყოფდეს. ამ კუთხით, მზად ვართ ვითანამშრომლოთ კეთილი განზრახვის მქონე ნებისმიერ უფლებადამცველთან.

დასასრულ, თუ გვსურს, რომ ჩვენი სახელმწიფო იყოს რეალურად დამოუკიდებელი, თავისი მიწა-წყლის პატრონი და გამგებელი, გავერთიანდეთ სამშობლოს საკეთილდღეოდ და გულისხმავჰყოთ ჩვენი სულიერი მამის, კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის მოწოდება: **„საქართველო კვლავაც აუცილებლად გადარჩება და გაბრწყინდება, მაგრამ ამას განახორციელებს ის თაობა, რომელიც იქნება ღვთის მცნების დამცველი და მისი ნების აღმასრულებელი, ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. მაშ, გავხდეთ უფლის ნების აღმასრულებელნი და დიდი საქართველოს თანაშემოქმედნი“.**

**ლევან ჩაჩუა,**
„ქართული იდეის“ თავმჯდომარე

# არა თავისა თვისისათვის მხოლოდ, არამედ სიყვარულისათვის მამულისა!

ქვეყანას რომ ეშველოს, უნდა ავირჩიოთ ისეთი დეპუტატები, რომლებიც პარლამენტში იმოღვაწებენ „არა თავისა თვისისათვის მხოლოდ, არამედ სიყვარულისათვის მამულისა“.

ჩვენ სრულიად ხელგვეწიფება მსოფლიოში დასაქმებულთა 90%-ის დამსაქმებელი მცირე მეწარმეობის, ანუ დასაქმებისა და სახელმწიფოს მიზეზით დაზარალებულთა ზარალის ანაზღაურების, ანუ სამართლიანობის აღდგენის ორი უდიდესი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის მოგვარება და ამას აუცილებლად გავაკეთებთ „სიყვარულისათვის მამულისა“.

25 წელიწადია ვიბრძვით სხვადასხვა მოწვევის პარლამენტარებსა და მთავრობის წევრებთან, რომლებიც ამ ორ პრობლემას „აგვარებდნენ“ მხოლოდ „თავისა თვისისათვის“. ისინი მცირე მეწარმეობის, ანუ მოსახლეობის დასაქმებისათვის, ბიუჯეტიდან გამოყოფილ სახსრებს და, რაც მთავარია, საზღვარგარეთიდან საქართველოსათვის გამოყოფილ ასობით მილიონი დოლარის გრანტებს, დახმარებებს, შეღავათიან კრედიტებს, მცირე მეწარმეების აბსოლუტური იგნორირებით, მოიხმარდნენ მხოლოდ „თავისა თვისისათვის“ ჯერ შევარდნაძე-ბასილიასა და შემდეგში სააკაშვილი-ნოღაიდელის დუეტური კლანების შეხედულებებისა და მადის მიხედვით.

1999 წელს მოვახერხეთ ამ მადის შემცირება, როდესაც ჩვენი დიდი ძალისხმევით მივიღეთ „მცირე საწარმოთა ხელშეწყობის“ კანონი, რომელთანაც მიბმული იყო „მცირე საწარმოთა განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრის“ (შემდეგში „ცენტრი“) დაარსება დაახლოებით 40-კაციანი შტატითა და 10-მილიონიანი საინვესტიციო ფონდით. სააკაშვილის ფინანსთა და შემდეგში პრემიერ-მინისტრი ნოღაიდელი ვერაფრით ვერ ინელებდა, რომ 10 მილიონი ლარის ინვესტიციები მთავრობის მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად რეალურად ხმარდებოდა საქართველოში მცირე მეწარმეობის განვითარება. მან ყოველწლიურად დაიწყო როგორც „ცენტრის“ შტატების (ჩამოიყვანა 14 შტატამდე), ისე ამ ინვესტიციების შემცირება, ხოლო **როცა ეკონომიკის სამინისტროსთან შევათანხმეთ ჩვენს მიერ დამუშავებული მცირე მეწარმეობის 5-კანონპროექტიანი ახალი პაკეტი, სადაც მთელი მცირე მეწარმეობა 100%-ით გადადიოდა ფიქსირებულ გადასახადებზე და „ცენტრს“ უნდა გადაცემოდა მცირე მეწარმეობის განვითარებისათვის ქვეყანაში შემოსული ყველა გრანტის, დახმარების, შეღავათიანი კრედიტის, აგრეთვე წინა სამეურნეო წელთან შედარებით ბიუჯეტში მცირე მეწარმეობიდან დამატებით მობილიზებული შემოსავლების 25%-ის განკარგვის უფლება, ნოღაიდელმა „ცენტრს“ ჯერ ჩამოაშორა და ცალკე, პირად განკარგვაში მოაქცია საინვესტიციო ფონდი. 2006 წელს კი საერთოდ გააუქმა 1999 წელს მიღებული მცირე მეწარმეობის ერთადერთი კანონი, ამ კანონთან ავტომატურად მიბმული მცირე მეწარმეობის მართვის ერთადერთი სახელმწიფო სტრუქტურა, „ცენტრი“ და საბოლოოდ დაასამარა ქართული მცირე მეწარმეობა, როგორც დე ფაქტოდ, ისე დე იურედ, რაც მსოფლიოს ნონსენსია!**

მცირე მეწარმეობისა და, შესაბამისად, მოსახლეობის დასაქმების დასამარების 6-წლიანი ნაციონალური ციკლი „წარმატებით“ გააგრძელა ნაციონალებთან მჭიდროდ კოჰაბიტირებულმა ქართულმა ოცნებამ, რომელიც ამ ეტაპზე საქართველოს ტოვებს მცირე მეწარმეობის აბსოლუტურ საკანონმდებლო ვაკუუმში და, აქედან გამომდინარე, მოსახლეობის დასაქმების პერსპექტივის გარეშე. ხელისუფლების მიერ ნაქებ „აწარმოე საქართველოში“ ჩადებულია ისეთი რეგულაციები, რომ ამ პროგრამით ვერ ისარგებლონ მცირე მეწარმეებმა. 2015 და 2016 წლების ბიუჯეტებში ფინანსთა სამინისტრომ ბანკებს გამოუყო 400 მილონი ლარი მცირე მეწარმეების სასტარტო დაფინანსებისათვის. ბანკებმა კი მცირე მეწარმეებს ისეთი პირობები წაუყენეს, რომ ამ 400-მილიონიანი ლარის საკრედიტო რესურსით ვერც ერთმა მცირე მეწარმემ ვერ ისარგებლა და ეს 400 მილიონი ლარი ბანკებმა გამოიყენეს მხოლოდ „თავისა თვისისათვის“ და არა „სიყვარულისათვის მამულისა“.

**მაშინ როდესაც სახელობითი საკომპენსაციო საგადასახადო თამასუქების ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით ჩვენს მიერ აკადემიურ დონეზე დამუშავებულ—დაპატენტებული (საქპატენტის მოწმობა №6333), ცნობილი მეცნიერ-ეკონომისტის აკადემიკოს ლეო ჩიქავას მიერ მოწონებული, 57-გვერდიანი, 64 გამოყენებული ლიტერატურით, 700-ზე მეტი პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაციითა და ინტელექტუალური საკუთრების 6 საქპატენტის მოწმობით გამყარებული სამეცნიერო-მეთოდური ნაშრომის „საქართველოს ანტიკრიზისული 5-წლიანი კომპლექსური ეკონომიკური რეფორმების კონცეფცია—პროგრამის“ სასტარტო დაფინანსებისათვის 2013, 2014, 2015 და 2016 წლების ბიუჯეტებში ვერაფრით ვერ მივაღწიეთ, რათა ფინანსთა სამინისტროს გამოეყო 1000-ჯერ უფრო ნაკლები, 0,4 მილიონი ლარი.**

ამ ერთჯერადი, 0,4 მილიონი ლარიანი სასტარტო დაფინანსებით აღდგებოდა მცირე მეწარმეობის კანონის გაუქმებამდე, ანუ 2006 წლამდე არსებული მცირე მეწარმეობის სტატუსკვო. 400 მილიონი ლარის სასტარტო დაფინანსებას „ცენტრის“ საინვესტიციო ფონდი ბანკების გვერდის ავლით პირდაპირ გაცემდა მხოლოდ მცირე მეწარმეებზე და ამოქმედდებოდა ჩვენი უნიკალური „კონცეფცია—პროგრამა“. ამ „კონცეფცია-პროგრამის“ პრაქტიკული რეალიზაცია შესაძლებელია 5 სამეურნეო წლის განმავლობაში, რაც საშუალებას მოგვცემს საქართველოში რეალურად დავიწყოთ, ძირითადად დავალაგოთ და მოვაგვაროთ, პროდუქციის მწარმოებელი მცირე მეწარმეობის (სადაცარასამეწარმეო ბიზნესებში 10 დასაქმებული ავტომატურად დამატებით ქმნის 50 ახალ სამუშაო ადგილს!) და სახელმწიფოს მიზეზით დაზარალებულთა ზარალის ანაზღაურება-კომპენსაციის ორი უდიდესი, ქართველი ხალხის სიკვდილ-სიცოცხლის ტოლფასი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა.

ქართულ ოცნებას ჩვენთვის ერთხელ მაინც რომ მოესმინა, დღეს ხელისუფლებას 11 სახის, სახელმწიფოს მიზეზით დაზარალებულთა შიდა ვალად ოფიციალურად აღიარებული მიზერული 1,2 მილიარდი ლარის ვალის (მათ შორის, 502 მილიონი ლარი დაზარალებულ მეანაბრეთა ვალია) დამალვა კი არ დაჭირდებოდა, არამედ, ამ ვალის შესაბამისი სახელობითი საკომპენსაციო საგადასახადო თამასუქები დაზარალებულებზე უკვე იქნებოდა დარიგებული და ადგილობრივ ინვესტიციებად კაპიტალიზებული გარანტირებულ მოგებაზე მომუშავე ასობით ახლადგახსნილ პროდუქციის მწარმოებელ მცირე საწარმოში, სადაც რეალურად შეიქმნებოდა ათასობით ახალი სამუშაო ადგილი. 5-ჯერ უფრო მეტი ახალი სამუშაო ადგილი კი ავტომატურად დამატებით შეიქმნებოდა არასამრეწველო ბიზნესებში. **რაც მთავარია, ჩვენი ეს უნიკალური „კონცეფცია-პროგრამა“, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზით, დიდი ხნის ამოწმედებული იქნებოდა, როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად. ამის შედეგად ათეული მილიარდობით ლარის რეალური ზარალის (მათ შორის, მეანაბრეთა უდიდესი ზარალის) აღრიცხვის, აღრიცხული ზარალის საგადასახადო თამასუქებად ტრანსფორმაციის, ტრანსფორმირებული თამასუქების მცირე სამრეწველო საწარმოთა ადგილობრივ ინვესტიციებად კაპიტალიზაციის ეს პროცესები გახდებოდა უწყვეტი მანამ, სანამ არ ამოიწურებოდა სახელმწიფოს მიზეზით მოსახლეობისათვის მთლიანად მიყენებული 11 სახის ათეულობით მილიარდი ლარის ზარალი. შესაბამისად, თანდათანობით ამ ათეული მილიარდობით ლარის კომპენსაციებს მიიღებდნენ დაზარალებულები და ასევე ამ ათეული მილიარდობით ლარის ინვესტიციები თანდათანობით ჩაიდებოდა ახლადგახსნილ მცირე სამრეწველო საწარმოებში. ეს კი საქართველოს მოსახლეობის სიდუხჭირიდან გამოყვანის საწინდარია.**

**ანზორ საკანდელიძე**
*თავისუფალ მცირე მეწარმეთა ასოციაციის თავმჯდომარე, ტექნ. მეცნ. დოქტორი*

# ქართული იდეა

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა


## ევროპული სახელმწიფოების დამოკიდებულება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ რუსეთ-თურქეთის ომების პერიოდში!

1853 წელს რუსეთს ომი გამოუცხადეს ოსმალეთმა და მისმა მოკავშირეებმა: ინგლისმა, საფრანგეთმა და იმდროინდელმა სარდინიის სამეფომ. ეს ომი ყირიმის ომად არის ცნობილი. თურქეთმა და მისმა მოკავშირეებმა საბრძოლო ოპერაციები, რეგიონში რუსეთის გავლენის შესამცირებლად, კავკასიაშიც გააჩაღეს.

1853 წლის 15 ოქტომბერს ღამით თურქთა სამხედრო რაზმი თავს დაესხა გურიის საგუშაგოს შეკვეთილთან. მათ ამოწყვიტეს შეკვეთილის გარნიზონი და გურიას შეესივნენ. თურქეთის მიზანს წარმოადგენდა ასევე ახალციხის ხელში ჩაგდება და იქ საფაშოს აღდგენა. ოსმალებმა ახალციხეში მდგომ გარნიზონსაც შეუტიეს. ახალციხისათვის ბრძოლაში თურქებს სასტიკი მარცხი აგემა გენერალ ივანე ანდრონიკაშვილის ჯარმა, რომელშიც ქართველი მოლაშქრეებიც შედიოდნენ. თურქებმა არდაგანისკენ დაიხიეს. რუსებისა და ქართველების გაერთიანებულ ლაშქარს დიდძალი ალაფი დარჩა. თურქეთმა ალექსანდროპოლის მიმართულებითაც მარცხი იგემა.

მიუხედავად მარცხისა, თურქები განაგრძობდნენ ახალი ძალების თავმოყრას სამხრეთ საქართველოსა და შავიზღვისპირა ქართული ტერიტორიების მისატაცებლად. მათ საზღვაო დესანტები გადმოსხეს ბათუმში, ქობულეთში, ანაკლიასა და სოხუმში. თურქთა მრავალრიცხოვან არმიას სელიმ ფაშა ხელმძღვანელობდა. თურქებმა ოზურგეთი დაიკავეს. ქართულმა მილიციამ მალაქია გურიელის მეთაურობით პარტიზანული ბრძოლა გააჩაღა და თურქებს მოსვენებას არ აძლევდა.

საქართველოში თურქთა შემოსევამ მოსახლეობა ფეხზე დააყენა. ქართველ მოლაშქრეებს სათავეში ედგნენ ნაცადი მხედრები დავით ჯანდიერი, ნიკო ჭავჭავაძე, დავით ვახვახიშვილი, გიორგი ერისთავი, 75 წლის ქაიხოსრო მიქელაძე მოგვარე თავადთა ასეულით და სხვები. ქართველი მოლაშქრეები რუსულ ჯარს შეუერთდნენ და ივანე ანდრონიკაშვილის სარდლობით ერთად შეუტიეს სელიმ ფაშას არმიას, ფეხდაფეხ სდიეს მას და ჩოლოქთან ივნისის ბრძოლაში სასტიკი მარცხი აგემეს. სელიმ ფაშას 33 000 კორპუსი სრულიად განადგურდა და სამხრეთ საქართველოს მიტაცების თურქული გეგმა საბოლოოდ ჩაიშალა.





ქართული საზოგადოება იმის მიუხედავად, რომ ცარიზმისადმი მტრულად იყო განწყობილი, ამ ომში რუსეთის მხარეზე დადგა.





თურქეთის, ინგლისის, საფრანგეთის და სარდინიის გაერთიანებულმა ჯარებმა ვერც სხვა მიმართულებით მიაღწიეს წარმატებას. მიუხედავად ამისა, 1854 წლის განმავლობაში აგრძელებდნენ საომარ მოქმედებას ახალ-ახალი სადესანტო ძალებით. ყარსის ციხე-სიმაგრის გადასარჩენად კოალიციურმა ძალებმა დაგეგმეს დიდი საბრძოლო ოპერაცია. გენერალ ომერ-ფაშამ სამხედრო ძალები 1855 წლის სექტემბრის დამდეგს გადმოსხა ბათუმში, სოხუმსა და შავი-ზღვის პირა სხვა ნავსადგურებში. ომერ ფაშას საქართველოს გავლით ყარსამდე უნდა ჩაეღწია და ციხის გარნიზონს ალყის გარღვევაში დახმარებოდა. აფხაზეთის ტერიტორიის დაკავების შემდეგ მდინარე ენგრუთან დაამარცხა რუს-ქართველთა შერეული ლაშქარი გენერალ ივანე მუხრან-ბატონის სარდლობით და სამეგრელოში შეიჭრა.

ომერ ფაშას ეგონა, რომ ქართველებს გადმოიბირებდა და მოთაფლულ წერილებს სწერდა სამეგრელოს მთავარ ეკატერინე დადიანს. კეთილდღეობასა და ქვეყნის დამოუკიდებლობას ალუთქვამდა. მაგრამ ქართველების მეხსიერებაში ჯერ კიდევ ცოცხლობდა თურქ დამპყრობთა გამანადგურებელი შემოსევების სისხლიანი ქრონიკები. ამიტომ იყო, რომ მთელი სამეგრელო ფეხზე დადგა და პარტიზანული ომებით მტერს დიდ ზიანს აყენებდა. სამეგრელოში ხელმოცარულმა ომერ-ფაშამ კურსი ქუთაისისკენ აიღო, მაგრამ ცხენის წყლის გადალახვა ვერ გაბედა, რადგან იქითა ნაპირზე ქართული ლაშქრის განლაგებას წააწყდა.

1855 წლის 15 ნოემბერს ყარსის ციხე-სიმაგრემ კაპიტულაცია გამოაცხადა. ეს კავკასიის ფრონტზე რუსეთისთვის უდიდესი მნიშვნელობის გამარჯვება იყო და ომის მთელ ბედიღბალს წყვეტდა. ომერ-ფაშას წინსვლას ყარსის მიმართულებით აზრი დაეკარგა. ქართველი ლაშქრის დასახმარებლად ყარსიდან დაიძრნენ რეგულარული ნაწილები. გაბოროტებული თურქები უკანდახევისას გზაზე ყველაფერს წვავდნენ და ანადგურებდნენ. მათ გაძარცვეს და დაწვეს სამეგრელოს მთავრის სასახლე. ასეთი სისასტიკე ომერ ფაშას ჯარს ძვირად დაუჯდა. ღვთის დაშვებით დაიწყო დიდი წვიმები, მდინარეები ადიდდა, ხოლო დეკემბერში ზუგდიდიდან ომერ ფაშას თავს დაესხა ქართველთა რაზმი გრიგოლ დადიანის მეთაურობით და დიდი ზიანი მიაყენა. 1856 წლის თებერვალში ომერ ფაშას შემეჩხერებულმა არმიამ მთლიანად დატოვა საქართველო.

ინგლისს, საფრანგეთსა და სარდინიის სამეფოს ავსტრიაც მიემხრო და რუსეთს ბალკანეთის დატოვება მოსთხოვა. რუსეთმა დაკარგა სტამბულისკენ გამავალი გზებიც. ამავე დროს ევროპული კოალიციის საზღვაო ფლოტი შავ ზღვაში შემოვიდა, ყირიმში დიდი არმია გადასხა და სევასტოპოლს ალყა შემოარტყა. რუსეთმა ველარ შეძლო ასეთი დიდი ძალებისთვის წინააღმდეგობის გაწევა. მიუხედავად კავკასიის ფრონტზე მიღწეული გამარჯვებებისა ყირიმის ომი რუსეთის მარცხით დასრულდა, რომელიც პარიზის საზავო ხელშეკრულებით გაფორმდა. ევროპულ-თურქული კოალიციის მიერ დამარცხებული რუსეთი იძულებული გახდა დაეთმო ყარსის ციხე, რათა ყირიმის ნახევარკუნძული შეენარჩუნებინა.

რუსეთმა დაკარგა დუნაის შესართავი და ბესარაბია, ჩამოერთვა შავ ზღვაზე სამხედრო ფლოტის ყოლის უფლება. შავ ზღვაზე რუსეთს ციხესიმაგრეები უნდა დაენგრია. შავი ზღვა ყველა გემისთვის ღია ზღვად გამოცხადდა. სერბეთი, ვლახეთი და მოლდოვა თურქულ-დასავლური კოალიციის ჰეგემონიის ქვეშ მოექცა.

### აჭარის დედასამშობლოსთან შემოერთება

1875 წელს მართლმადიდებელ ბალკანეთზე აჯანყება დაიწყო, რომლის ჩასახშობად თურქებმა უსასტიკეს სადამსჯელო ზომებს მიმართეს. ერთმორწმუნე სერბებს რუსეთის იმპერიამ თანადგომის ხელი გაუწოდა და 1877 წლის 24 აპრილს თურქეთს ომი გამოუცხადა. საბრძოლო ოპერაციები გაჩაღდა ბალკანეთისა და კავკასია-ანატოლიის ფრონტებზე. ქართული საზოგადოება იმის მიუხედავად, რომ ცარიზმისადმი მტრულად იყო განწყობილი, ამ ომში რუსეთის მხარეზე დადგა. ომში გამარჯვების შემთხვევაში ქართველი ხალხი მოელოდა თურქ დამპყრობელთაგან ადრე მიტაცებული თავისი სამხრეთ მიწა-წყლის გათავისუფლებას. აჭარის იძულებით გამაჰმადიანებული მოსახლეობაც სულითა და გულით დედასამშობლოსკენ მოისწრაფვოდა. თურქეთის მიერ მიტაცებულ ქართულ პროვინციებში ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე გაჩაღდა ანტითურქული აჯანყებები. ომის დაწყებისთანავე საქართველოში დაიწყო მოხალისე მოლაშქრეთა (მილიციის) რაზმების ჩამოყალიბება. რუსეთის ჯარმა ქართველ მოლაშქრეებთან ერთად გადალახა თურქეთის საზღვარი და ბრძოლა მის ტერიტორიაზე გადაიტანა.

1877 წლის 30 აპრილს მათ დაიკავეს ქ. ბაიაზეთი, შემდეგ ქ. არტაანი. აქ ბრძოლებში თავი ისახელეს მუსხელიშვილის და ამირეჯიბის სამხედრო ნაწილებმა. არტაანის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ არტანუჯისა და ართვინის გავლით გზა ბათუმისაკენ იხსნებოდა, მაგრამ კავკასიის რუსული არმიის სარდლობამ პირველი რიგის ამოცანად ყარსის ციხე-სიმაგრის დაკავება დაისახა და შეტევა ამ მიმართულებით განახორციელა. ბათუმზე შეტევა ოზურგეთის მხრიდან მიმდინარეობდა, აიღეს მუხაესტატე და ხუცუბანი. ივნისში დიდი ბრძოლა გაიმართა ციხისძირთან, მაგრამ აქ გამარჯვება თურქებს დარჩათ. თურქეთმა ამავე პერიოდში შავი ზღვით დესანტი გადმოსხა გუდაუთაში და სოხუმს შეუტია. ოქუმის (დღევანდელი გალის რ-ნი) მიდამოებში მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა. აქ გენერალმა ალხაზიშვილმა რუს-ქართველთა ჯარით მტერი დაამარცხა. თურქებისაგან მან მალე გაწმინდა აფხაზეთის მთელი ტერიტორია. 1877 წლის 17-18 ნოემბერს კავკასიის ფრონტის ჯარებმა თურქებს გამოსტაცეს ყარსის ციხე-სიმაგრე. ეს იყო დიდმნიშვნელოვანი გამარჯვება, რომელიც არსებითად გადაწყვეტდა ამ ფრონტის ბედ-იღბალს, მით უმეტეს, რომ შეტევა წარმოებდა ერზერუმის მიმართულებითაც.

ბათუმისათვის სამხედრო ოპერაციები ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა. დეკემბერში კავკასიის არმიის ნაწილები შეიჭრნენ შავშეთში, 16 დეკემბერს დაიკავეს არტანუჯი. ომის საბოლოო ბედი ბალკანეთის ფრონტმა გადაწყვიტა. პლევნას ციხე-სიმაგრის აღების შემდეგ რუსეთის ჯარებმა გადალახეს ბალკანეთის მთები და საომარი ოპერაციები გააჩაღეს ბულგარეთის ტერიტორიაზე. თურქთა არმიებმა სასტიკი მარცხი განიცადეს. რუსეთის არმია კონსტანტინეპოლს მიუახლოვდა. 1877 წლის 3 მარტს მეომარ მხარეთა შორის სანსტეფანოში გაფორმდა საზავო ხელშეკრულება.

13 ივლისს ხელმოწერილი ე.წ. „ბერლინის ტრაქტატით“ ევროპულმა სახელმწიფოებმა ომის დროს რუს-ქართველთა ჯარების მიერ დაკავებული ტაო-კლარჯეთის ტერიტორიებიდან რუსეთის მფლობელობაში აღიარეს მხოლოდ ბათუმი, ყარსი, და არდაგანი. დანარჩენი ქართული ისტორიული მიწები კი კვლავ თურქეთს მიაკუთვნეს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილი კვლავაც ოსმალეთს დარჩა აჭარის გათავისუფლება მაინც მოხერხდა.

ზავზე ხელმოწერის მომენტში ბათუმი ისევ თურქთა ჯარს ეკავა. გულმოდგინედ მუშაობდნენ თურქი აგენტები, რათა აჭარის მუსლიმ მოსახლეობასა და ქართველებს შორის შუღლი გაეღვივებინათ, მაგრამ ამ მცდელობამ უშედეგოდ ჩაიარა. აჭარის მოსახლეობამ განმათავისუფლებელ არმიას სრული სოლიდარობა გამოუცხადა.

**1878 წლის 25 აგვისტოს რუს-ქართველთა მოლაშქრეები ბათუმში შევიდნენ. ბათუმის ნავსადგური რუსეთის საბრძოლო ხომალდებმა დაიკავეს. ეს დღე ბათუმში დიდი ზეიმით აღინიშნა. ქართული საზოგადოება მხურვალედ მიესალმა თურქთა უღლისაგან აჭარის გათავისუფლებას. იაკობ გოგებაშვილი გაზ. „დროებაში“ სიხარულით წერდა: „ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლხორცი, ჩვენთან ერთად მებრძოლი შავი ბედისა, ჩვენი გმირების ბუდე, ჩვენის უწინდელის განათლების და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო დღეს ჩვენ შემოგვიერთდა“. ქალაქებისა თუ სოფლების მოსახლეობა არ ზოგავდა სახსრებს, რომ აჭარელ ძმებსა და დებს მიშველებოდა. თბილისსა და სხვა ქალაქებში გროვდებოდა დიდძალი შეწირულობანი. გახარებული ილია ჭავჭავაძე „ივერიის“ ფურცლებიდან მოუწოდებდა ქართველობას: – „აბა ქართველობავ, ახლა შენ იცი როგორ დაანახებ თავს შენს ახლად შემოერთებულ ძმებსა! ახლა შენ იცი, როგორ დაუმტკიცებ ქვეყანას მამა-პაპით ანდერძს: ძმა ძმისთვინა და შავი დღისთვისაო!“**

თბილისში სტუმრად ჩამოსული გათავისუფლებული აჭარის თავკაცების საზეიმო შეხვედრაზე გრიგოლ ორბელიანმა მხურვალე პატრიოტული სიტყვა წარმოთქვა.

---

*გამოყენებული მასალა: საქართველოს ისტორია XIX-XX საუკუნეებში ტომი III; აკაკი და პაატა სურგულაძეების სტატია „საქართველოს ისტორია“, გამომცემლობა „თბილისი“, 1992 წ.*

---

***P.S.* *ზემოთმოყვანილი ისტორიული ფაქტები ნათლად მიგვანიშნებს იმაზე, რომ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობები დამყარებულია მხოლოდ სტრატეგიულ ინტერესებზე, რაც თანამედროვე ქართულმა სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს.***

### ფოტომატიანე



„შუამთობა“ ზემო აჭარაში.
ისტორიული ტაო-კლარჯეთის საზღვართან



გამონათლევის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში



აქცია ბათუმში, აჭარის ოსმალთაგან გამანთავისუფლებელი მამულიშვილების მემორიალის დადგმის მოთხოვნით


**რედაქციის წევრები**: თეა პაიჭაძე, ინგა გავაშელი, მაია ფეიქრიშვილი.

ქართული იდეა ტელ.: 224-41-40

# ქუმსიშვილი: „ყველა ციფრი, რომელიც ბიძინა ივანიშვილის წერილშია მოყვანილი, ასახავს იმ რეალობას, რომელიც დღეს გვაქვს“

## როგორ გამოეხმაურნენ ივანიშვილის ღია წერილს პოლიტიკოსები

გუშინ, 30 მაისს საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, ბიძინა ივანიშვილმა თანამოქალაქეებს ღია წერილით მიმართა.

ვრცელ წერილში, ფაქტებზე და სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, მიუკერძოებლად არის გააზრებული ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა, უახლოესი წარსული, აწმყო და სამომავლო პერსპექტივები.

სად ვიყავით და საითკენ მივდივართ – ეს არის წერილის ძირითადი არსი.

წერილი ფაქტებზე დაყრდნობით გვახსენებს, რომ ნაციონალური მოძრაობის რეჟიმს არაფერი ჰქონდა საერთო დემოკრატიასთან და ის თავისი არსით ანტიევროპული, ანტიდასავლური მოვლენა იყო, რომელიც ყველა თავისი მოქმედებით ებრძოდა დასავლური სამყაროს პრინციპებს და მიმართული იყო საკუთარი მოქალაქეების უფლებების გათელვისა და განადგურებისკენ.

ყოფილი პრემიერის მიმართვას უამრავი გამოხმაურება მოჰყვა.

რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ნოდარ ჯავახიშვილმა ბიძინა ივანიშვილის წერილი ასე შეაფასა:

– სწორად არის გაკეთებული აქცენტები, რას უნდა მიაქციოს ყურადღება ამომრჩეველმა. მართლა ჩნდება საზოგადოებაში რევანშის შიში იმიტომ, რომ ვიღაცამ წაიკნავლა ორჯერ, ბოდიში მოიხადეს და ვითომ არაფერი, ამის მერე და აქეთ ხდება შეტევაზე გადმოსვლა.


დიმიტრი ქუმსიშვილი


ლადო ბოჟაძე

კითხვაზე, რა სტატუსით უნდა ჩაერთოს ივანიშვილი წინასაარჩევნო კამპანიაში, ჯავახიშვილი აცხადებს, რომ ბევრი ფაქტორია, რაც ამ კითხვას დადებით პასუხს გასცემს.

– არის თუ არა იმის აუცილებლობა, რომ ბატონმა ბიძინამ მიიღოს მონაწილეობა წინასაარჩევნო პერიოდში? ვფიქრობ, ბევრი ფაქტორია, რომელიც დადებითად გასცემს ამ კითხვას პასუხს.

ჯავახიშვილის თქმით, ივანიშვილი თავად იღებს პასუხისმგებლობას, რომ ამომრჩეველს შეხვდეს და ესაუბროს იმაზე, რასაც საწინააღმდეგო ფერებში ხატავს ნაციონალური მოძრაობა.

– დაპირებების აბსოლუტური უმრავლესობა არის შესრულებული. დარწმუნებული, ვარ, რომ „ქართული ოცნება“ მოიგებს ამ არჩევნებს, მაგრამ ბატონი ბიძინას ფაქტორი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს, რამდენად მნიშვნელოვანი იქნება გამარჯვება, – აცხადებს მინისტრი.

* * *

სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიის განვითარების ცენტრის ხელმძღვანელის ლადო ბოჟაძის განცხადებით, ბიძინა ივანიშვილის ღია წერილი დროული იყო.

8 ივნისს უკვე ოფიციალურად იწყება საარჩევნო კამპანია, გამოცხადებულია არჩევნების თარიღი და პროცესის დაწყებამდე მთელმა საზოგადოებამ გაიგო, რომ „ქართული ოცნება“ არ არის მარტო.

**ლადო ბოჟაძე:**

– „ქართულ ოცნებას“ ჰყავს ისეთი ავტორიტეტული მხარდამჭერი, როგორიც ბიძინა ივანიშვილია და ერთგვარი პარალელის გავლება შეიძლება 2011 წლის წერილთანაც. ფაქტობრივად, შინაარსს რომ მივყვეთ, იგივეა. ამ წერილშიც ასევე მიმოხილულია ის პერიოდი, რომელიც ნაციონალური მოძრაობის მმართველობას ეხებოდა საქართველოში. მნიშვნელოვანია, რომ ბიძინა ივანიშვილი წერილში იღებს პასუხისმგებლობას 2012-2016 წლებში „ქართული ოცნების“ მიერ განხორციელებულ პოლიტიკაზე.

ლადო ბოჟაძე ნიშანდობლივს უწოდებს იმ ფაქტს, რომ, როგორც 2011 წელს, ახლაც ივანიშვილი სთხოვს საქართველოს მოსახლეობას მხარდაჭერას უკვე ახალი მანდატისთვის და იმ დანაპირების შესრულებისთვის, რომლებიც ვერ შეასრულა „ქართულმა ოცნებამ“.

მისი თქმით, მნიშვნელოვანია ის აქცენტები, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებით არის ყოფილი პრემიერის ღია წერილში.

– ნათელია ეკონომიკური მდგომარეობა და წერილში მოყვანილია ციფრები, რომელთაც ძნელია, არ დაეთანხმო. საუბარია იმაზეც, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის მხრივ, მნიშვნელოვანი პროგრესი გვაქვს.

აქცენტი მინდა გავაკეთო იმაზე, რასაც საარჩევნო თემატიკა ჰქვია. ის, რომ 2012 წლის საპარლამენტო და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები იყო სამაგალითო, უნდა შევინარჩუნოთ.

* * *


ნოდარ ჯავახიშვილი

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ პოლიტიკური საბჭოს წევრი რომან კაკულია აცხადებს, რომ ეს არის წერილი, რომელმაც პასუხი გასცა ყველა იმ ძირითად შეკითხვას, რაზედაც ძირითად პოლიტიკურ მოთამაშეებს შორის დებატები მიმდინარეობს.

„ქართული ოცნების“ ახალი სახე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებაზე.

**რომან კაკულია:**

– ამ თემაზე ძალიან მკაფიო გზავნილია გაკეთებული. ნათქვამია მიზანიც, ტაქტიკაც, მოტივიც. ყველაფერი განმარტებულია. განსაკუთრებულად მათთვის, ვისაც საკუთარი პოლიტიკური აზროვნების მწვერვალი ჰგონია იმის აღმოჩენა, რომ შესაძლოა თურმე ევროკავშირისა და ნატოს კარი არ გაიღოს.

იგი ასევე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს წერილის იმ ნაწილს, სადაც ბიძინა ივანიშვილი სტატისტიკურ მონაცემებზე საუბრობს.


რომან კაკულია

– ყველა მიმართულებით მნიშვნელოვანი პროგრესია მიღწეული ამ მთავრობის პირობებში. იქ ბევრი ციფრია, თუმცა ერთ ციფრს დავასახელებ მხოლოდ – 62%-ით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა ვისაც ესმის, მგონი, ძალიან მრავლისმთქმელია. ამაზეა დამოკიდებული ყველა ის კეთილდღეობასთან დაკავშირებული საკითხი, რომელიც ჩვენთვის ასე მნიშვნელოვანია, – განმარტავს კაკულია.

ის აღნიშნავს, რომ წერილი არ ტოვებს შეკითხვებს.

– ძალიან მნიშვნელოვანია ეს წერილი პირველ რიგში იმიტომ, რომ ეს არის იმ ადამიანისგან, რომელმაც ასეთი მნიშვნელოვანი ცვლილება მოახდინა ქართულ პოლიტიკაში. ტოტალიტარული ქვეყნიდან, პრინციპში, გადაიყვანა ქვეყანა დემოკრატიული მშენებლობისაკენ, – აცხადებს რომან კაკულია.

მისი აზრით, როდესაც წინასაარჩევნო პერიოდში შევდივართ, მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანია მმართველ ძალასთან ასოცირებული ასეთი მნიშვნელობის ადამიანის დამოკიდებულება იმ ძირითად გამოწვევებთან, რომლებზედაც კონცენტრირებული იქნება ყველა პოლიტიკური ძალა.


სოზარ სუბარი

* * *

– „ქართული ოცნების“ მიმართ ნდობა დიდწილად უკავშირდებოდა თავდაპირველად სწორედ ბიძინა ივანიშვილის ფაქტორს, მის მიმართ ნდობას და დღეს ეს ფაქტორი არის განმტკიცებული იმ საქმეებით, რომლებიც 4 წლის განმავლობაში გაკეთდა.

ამის შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა სოზარ სუბარმა ბიძინა ივანიშვილის წერილთან დაკავშირებით განაცხადა.

როგორც სოზარ სუბარი აცხადებს, ბიძინა ივანიშვილის წერილი საამაყო და დროულია.

**სოზარ სუბარი:**

– ახალი არჩევნები იქნება საეტაპო ქვეყნისთვის და ამ დროს ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, რომ გაკეთებულიყო მთელი განვლილი გზის შეფასება და გარკვეული სამომავლო ხედვის ჩამოყალიბება იმ ადამიანისგან, რომელიც, გადაუჭარბებლად ვიტყვი, არის არქიტექტორი იმ ძალების, რომლებიც არის დღეს ქვეყანაში.

მინისტრმა გამოჰყო რამდენიმე პრიორიტეტი.

– ეს არის ის მკაფიო გზავნილი, რასაც პოლიტიკაში მოსვლის დღიდან იმეორებს ბიძინა ივანიშვილი და ვიმეორებთ ჩვენ – ეს არის საქართველოს დასავლური, ევროკავშირის მიმართულებით და ნატოს მიმართულებით ინტეგრაციისთვის მზადყოფნა, ეს არის ჩვენი მთავარი საგარეო პოლიტიკური კურსი და ამისგან გადახვევა არათუ არ იგეგმება, არამედ ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ საქართველო გახდეს დასავლური სამყაროს განუყოფელი ნაწილი, – განაცხადა სოზარ სუბარმა.

მისი თქმით, ნებისმიერ ადამიანს საქართველოში აქვს უფლება, გავიდეს და გამოთქვას თავისი სათქმელი, ამაში ხელს არავინ უშლის.

– ბიძინა ივანიშვილმა არაერთხელ თქვა, რომ ამ არჩევნებში ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვოს ღირსეულად. ამ შემთხვევაში მას ამის თქმის უფლებას აძლევს ნდობის მანდატი, რომელიც საზოგადოებაში არსებობს მის მიმართ, – განაცხადა მინისტრმა.

ყოფილი პრემიერი თავის მიმართვაში ხელისუფლების მიღწევად მიიჩნევს ქვეყნის გადაყვანას ვალების ეკონომიკიდან ინვესტიციების ეკონომიკაზე.

– ყველა ციფრი, რომელიც ბიძინა ივანიშვილის წერილშია მოყვანილი, ასახავს იმ რეალობას, რომელიც დღეს გვაქვს, – განაცხადა ვიცე-პრემიერმა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

მისივე თქმით, ის განვითარების ტენდენციები, რომლებიც არის ასახული წერილში, წარმოადგენს სიმართლეს.

– მთავრობა გააკეთებს ყველაფერს, რომ უფრო მეტად და დაჩქარებულად მოვახერხოთ ქვეყნის განვითარება. ამისთვის ჩვენ არაერთი ინსტრუმენტი დავნერგეთ ქვეყანაში, – განაცხადა ვიცე-პრემიერმა.

ის ფიქრობს, რომ ბიძინა ივაშვილის წინასაარჩევნო კამპანიაში ჩართვა კარგი იქნებოდა.

– მე მგონია, რომ ეს არის მისი და „ქართული ოცნების“ სურვილიც. შესაბამისად, თუ ის იქნება ჩართული საარჩევნო პროცესში, ეს იქნება მხოლოდ და მხოლოდ კარგი, იქნება სასარგებლო, როგორც თვითონ საარჩევნო პროცესისათვის, ასევე – შედეგებისთვის, – აღნიშნა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# „მთელ ჩემს რესურსს გამოვიყენებ, რომ ნაციონალებმა დროის უკან შემობრუნება ვერ შეძლონ“

დასაწყისი მე-2,3 გვერდებზე



მთავრობამ რეალური ნაბიჯები გადადგა ევროპასთან ინტეგრაციის მიმართულებით – გაფორმდა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება და შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, რითაც ქართველ მეწარმეებს ევროპის ხუთასმილიონიან ბაზარზე გასვლის შესაძლებლობა მიეცათ. გაიხსნა საქართველოში პირველი ნატო-საქართველოს ერთობლივი სასწავლო ცენტრი. მიღებულია პოლიტიკური გადაწყვეტილება და ჩვენი მოქალაქეები ძალიან მალე ევროპაში უვიზოდ მიმოსვლას შეძლებენ.

დღეს გაცილებით მყარი და სტრატეგიულ ინტერესებზე დაფუძნებული ურთიერთობები გვაქვს პარტნიორ ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

ყველა რეიტინგით და მაჩვენებლით მნიშვნელოვან პროგრესს მივაღწიეთ და არ არსებობს სფერო, რომელშიც ბევრად უკეთესი მდგომარეობა არ გვქონდეს, ვიდრე ნაციონალური მოძრაობის მმართველობისას იყო.

მოკლე დროში მოვახერხეთ და ავტორიტარული ქვეყანა დემოკრატიის რელსებზე გადავიყვანეთ; შევქმენით საფუძველი, რომელსაც წარმატების მომტანი შემდგომი რეფორმები უნდა დაეფუძნოს.

ჩვენ მუდმივად ვეძებთ, რა შეიძლება გაკეთდეს ისეთი, რაც წაახალისებს ეკონომიკას და მთავრობის მუშაობას უფრო ეფექტიანს გახდის. ამ მიზნით უკვე ჩავატარეთ შვიდი ეკონომიკური ფორუმი, სადაც მოწვეულები იყვნენ ჩვენს პოლიტიკურ ოპონენტებთან ასოცირებული ექსპერტებიც, თუმცა, მათგანაც ვერ მოვისმინეთ რაიმე შემოთავაზება, რეალურად კიდევ რისი გაკეთება შეეძლო მთავრობას და არ გააკეთა.

ნებისმიერი მთავრობის მუშაობა ფასდება რეალური შესაძლებლობების ეფექტიანი გამოყენებით. ამ კრიტერიუმით საქართველოს მთავრობამ მაქსიმალურ შედეგს მიაღწია. ცხადია, 3-4 წელიწადში ის ვერ შეძლებდა იმის გაკეთებას, რასაც 15 წელი სჭირდება, მაგრამ ნამდვილად მყარი საფუძველი მოამზადა მდგრადი განვითარებისთვის.

ეს არ არის მხოლოდ ჩვენი შეფასება, ასე აფასებენ საქართველოს მთავრობას ყველაზე ავტორიტეტული საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაციები.

## საით მივდივართ

საქართველო უმნიშვნელოვანესი გამოწვევის წინაშე დგას – ჩვენ თავიდან ვსწავლობთ დამოუკიდებელ სახელმწიფოში ცხოვრებას, ვეჩვევით დემოკრატიას და საბაზრო ეკონომიკას, ზოგადად თავისუფლებას.

ძალიან დიდი პასუხისმგებლობა გვაკისრია მომავლის წინაშე და დღეს, ისე როგორც არასდროს, გვჭირდება სიფრთხილე, რათა არ დავუშვათ შეცდომა, რომელიც იმ ტირანიაში დაგვაბრუნებს, დიდი გაჭირვებით რომ დავაღწიეთ თავი. ამიტომ ვალდებულნი ვართ, ვუპასუხოთ დროის მოთხოვნებს, მართებულად შევაფასოთ მოვლენები და მივიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილებები, რათა წყალში არ ჩაგვეყაროს ის მიღწევები, რაც ამჟამად გვაქვს და რაც სამომავლოდ უკეთეს პერსპექტივას გვპირდება.

მართებული კი მხოლოდ ის გადაწყვეტილებაა, რომელიც გვაახლოებს ჩვენი ქვეყნის უმთავრეს სტრატეგიულ მიზანს – თავისუფლებას, უსაფრთხოებას, თვითმყოფადობას, კეთილდღეობას და მსოფლიო პროგრესის პროცესში ჩართულობას!

დროის და ცხოვრების მკაცრი მოთხოვნებიდან გამომდინარე ჩვენ ჩამორჩენის უფლება არ გვაქვს. სწორედ ეს ამოცანა უდგათ ჩვენს მოქალაქეებს, რომლებიც, მიუხედავად ათასი პრობლემისა, გულს არ იტეხენ და შრომობენ საკუთარი ოჯახების, მომავლის და ქვეყნის საკეთილდღეოდ. ამაში სჭირდებათ მათ ხელშეწყობა და დახმარება.

ყველა ვხედავთ, როგორი დაძაბულობაა დღეს მთელ მსოფლიოში და მათ შორის, ჩვენს გარშემო – უახლოეს და არც თუ შორეულ სამეზობლოში. ულმობელი ტერაქტები, დაუსრულებელი საბრძოლო მოქმედებები, ეკონომიკური კრიზისი, რელიგიური კონფლიქტები და ცივილიზაციათა დაპირისპირება ის სახიფათო აისბერგებია, რომლებიც ჩვენს შორიახლო დაცურავენ და კატასტროფებით გვემუქრებიან. ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა სწორედ ის არის, რომ ამ აისბერგებს შორის ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოდ გატარება შევძელით და მშვიდობა და სტაბილურობა შევინარჩუნეთ.

რამდენად მივაღწევთ მიზანს, დამოკიდებულია ორ ფაქტორზე – როგორი ტიპის სახელმწიფოს ავაშენებთ და რა საგარეო ორიენტირები ექნება ჩვენს ქვეყანას.

## როგორ სახელმწიფოს ვაშენებთ

ყველა ერს აქვს რაღაც განსაკუთრებული თვისება, გამორჩეული შესაძლებლობა, რისი მეოხებითაც იგი წარმატებას აღწევს. ეს შეიძლება იყოს – ხელსაყრელი ადგილმდებარეობა, ბუნებრივი წიაღისეული, ადამიანური რესურსი, შრომისმოყვარეობა, ტექნოლოგიური მიღწევები და ა.შ.

საქართველოსთვის ასეთ საყრდენ ფენომენად მესახება მრავალსაუკუნოვანი უწყვეტი კულტურა და ევროპისა და აზიის გზაშესაყარზე დიდ იმპერიებს შორის ცხოვრების უნიკალური გამოცდილება, რომლის წყალობითაც თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და პროგრესისკენ სწრაფვის უნარ-ჩვევები ლამის გენეტიკურ კოდში გვაქვს ჩაწერილი.

ალბათ ბევრს ახსოვს სკოლაში ნასწავლი საზეპირო მერვე საუკუნეში დაწერილი აბო თბილელის ცხოვრებიდან, რომელიც ქართველებმა წმინდანად და თბილისის მფარველად შერაცხეს – ბევრი გაჭირვება გვადგას ქართველებს, ვირხევით, როგორც ლერწამი ძლიერ ქარში, მაგრამ ცხოვრების წესს მაინც არ ვიცვლით და ვაგრძელებთ „ჩვეულებისაებრ მამულისა სლვასო“.

ქარი გვარხევს, მაგრამ ურთულეს რეგიონში ცხოვრებით შეძენილი გამჭრიახობის წყალობით, ვერც გვტეხს და ვერც ადგილიდან გვძრავს. კომპრომისის ძიება, როცა საჭიროა – დათმობა, როცა საჭიროა – მტკიცედ დგომა, ჩვენი ცხოვრების წესად და გეოპოლიტიკურ ლაბირინთებში საიმედო გზამკვლევად იქცა.

ამის თვალსაჩინო გამოხატულებაა თბილისის ისტორიულ ცენტრში გვერდიგვერდ მდგარი ტაძრები, რომლებიც ოთხ დიდ რელიგიას – ქრისტიანობას, ისლამს, იუდაიზმს და ზოროასტრიზმს განასახიერებენ და ერთმანეთს კი არ უპირისპირდებიან, არამედ ქვეყანას აძლიერებენ.

საქართველოში გვაქვს სკოლები, რომლებშიც ქრისტიანი და მუსლიმი ბავშვები ერთად სწავლობენ, გვერდიგვერდ ლოცულობენ და განსხვავებული სარწმუნოება უფრო საინტერესოს ხდის მათ ურთიერთობას.

სამაგალითოა ქართველების და ებრაელების ოცდაექვსსაუკუნოვანი ძმობა და თანაარსებობა და ამაზე მხოლოდ ჩვენ არ ვლაპარაკობთ.

საყოველთაოდ ცნობილია ერთი ძალიან ნიშანდობლივი ამბავი – 1913 წელს მაინის ფრაკფურტში მიმდინარე ებრაელთა მსოფლიო კონგრესზე გამოდიოდნენ წარმომადგენლები სხვადასხვა ქვეყნებიდან და აღნიშნავდნენ, რომ მაშინდელ მსოფლიოში არ არსებობდა ქვეყანა, სადაც ანტისემიტიზმი არ მძლავრობდა, რის პასუხადაც საქართველოდან წარგზავნილმა რაბინმა დავით ბააზოვმა, ძალიან დიდმა პიროვნებამ და საზოგადო მოღვაწემ, განაცხადა: მეგობრებო, ასეთი ქვეყანა არსებობს, პატარა ქრისტიანული საქართველო. ქართველებს შორის ვცხოვრობთ ებრაელები უკვე 2.500 წელია და არასდროს განგვიცდია დამცირება ან ჩვენი უფლებების დარღვევა. საქართველოში არასდროს ყოფილა გეტოები, „პოგრომები“ ან დისკრიმინაცია და ქართულ ენაში „პოგრომის“ შესატყვისი სიტყვაც კი არ არსებობსო. ფეხზე ამდგარი დარბაზი ტაშით მიესალმა ამ ფაქტს.

ჩვენი ხასიათისთვის სრულიად უცხოა და მიუღებელი სხვისი სიწმინდეების შეურაცხყოფა, რელიგიური შეუწყნარებლობა და ადამიანის ეთნიკური ნიშნით დამცირება. ამ მხრივ საქართველო არის სხვადასხვა ეთნოსის თუ რელიგიური ჯგუფის მეგობრულად და კეთილგანწყობით თანაარსებობის მისაბაძი მოდელი.

კარგად უნდა ვიცოდეთ, რომ მცდელობები, თავს მოგვახვიონ პოლიტიკური თუ რელიგიური რადიკალიზმი, აგრესია განსხვავებული აზრისა თუ ცხოვრების წესის გამო, განადგურებით ემუქრება ჩვენი არსებობის საფუძვლებს. ამიტომ ნებისმიერი ასეთი გამოვლინების მიმართ განსაკუთრებული სიფხიზლე და შეურიგებლობა გვმართებს.

სწორედ გულწრფელი ტოლერანტობა წარმოადგენს დღევანდელ მსოფლიოში არსებული ბევრი მწვავე პრობლემის გასაღებს და იმ ოქროს საწმისს, რითაც ჩვენ საინტერესოები გამოვჩნდებით მსოფლიოსთვის.

* * *

ამ ოთხი წლის განმავლობაში სწორედ ამ მიმართულებით ვითარდებოდა ქვეყანა – შევძელით, გვერდი აგვევლო გეოპოლიტიკური საფრთხეებისთვის, გავაღრმავეთ ურთიერთობა მეგობრებთან და სტრატეგიულ პარტნიორებთან და ამ დაბალანსებული და მშვიდი პოლიტიკის შედეგია, რომ მიუხედავად რეგიონში არსებული მწვავე კრიზისისა, საქართველოში იზრდება ტურიზმიც და მთლიანად ეკონომიკაც.

როდესაც ქართულ ფენომენზე ვლაპარაკობთ, აუცილებლად უნდა შევეხოთ ვაზის კულტურას, რაც ასევე ჩვენი ცხოვრების წესის და ჩვენი მსოფლმხედველობის ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანთაგანია. შემთხვევით არ არის, რომ საქართველოში სწორედ ვაზის ჯვრით შემოვიდა ქრისტიანობა, რაც ჩვენი იდენტობის უმნიშვნელოვანესი განმსაზღვრელია.

ნახევრად ხუმრობით ვიტყვი, თუმცა, შეიძლება, ეს არც ისე შორს იყოს სიმართლისგან – სადაც კი ადამიანმა ნავი გათალა, მაშინვე სხვა ქვეყნებს მიაშურა. ნავმა მხოლოდ ქართველი მიაჯაჭვა საკუთარ მიწა-წყალს, რადგან ჩვენი წინაპრისთვის ნავი საწნახელი იყო, რაშიც ღვინოს წურავდა და სხვაგან წასვლას, შინ სტუმრის ლოდინს ამჯობინებდა.

ჩვენ მსოფლიო გვიცნობს როგორც ოქროს საწმისის მხარეს და როგორც ღვინის სამშობლოს; ღვინო ქართული სიტყვაა, რომელიც მსოფლიოში გავრცელდა. ქართული ხასიათი და ქართველი ადამიანის ცხოვრებისადმი დამოკიდებულება ღვინის კულტურამ ჩამოაყალიბა.

ვაზს უკავშირდება ქართული სუფრის უნიკალური ფენომენი, რომელიც ზუსტად გამოხატავს ქართველი კაცის დამოკიდებულებას ცხოვრების რაობის მიმართ, სადაც სიცოცხლის აზრად დასახულია თვით სიცოცხლისვე სიყვარული და მისი ყველაზე დიდი გამოვლინება – სხვა ადამიანისთვის ბედნიერების მინიჭების სურვილი, მრავალხმიანი სიმღერა, ცეკვა, ლექსი, რაც საკუთარ თავს გვამსგავსებს, რაშიც ყველაზე მეტად ვლინდება ჩვენი მეობა და კულტურის თვითმყოფადობა და რაც უდავოდ კაცობრიობის შენაძენია.

ღვინის კულტურა და ქართული სუფრის ფილოსოფია თავისი არსით და სულისკვეთებით ადამიანთა ტოლერანტობას ეფუძნება. სწორედ ამიტომაც, ქართველებისთვის ტოლერანტობა საუკუნეების განმავლობაში შეთვისებულ ცხოვრების და აზროვნების წესს, ძვალსა და რბილში გამჯდარ მსოფლმხედველობას წარმოადგენს და დღეს იმ ცივილიზაციის განუყოფელ ნაწილად გვხდის, რომელშიც ყველაზე დიდ ღირებულებად პიროვნების ღირსება და თავისუფლება მიაჩნიათ. პიროვნების პატივისცემაზე დაფუძნებული ევროპული ღირებულებები იგივე ვაჟა-ფშაველას ღირებულებებია და სრულად შეესაბამება ჩვენს მენტალიტეტს.

ნამდვილად შეგვიძლია, რომ ევროპისა და აზიის გზაშესაყარზე მდებარე საქართველო ძალიან მალე გადავაქციოთ კულტურათა და ცივილიზაციათა თავშეყრის და მშვიდობიანი თანაარსებობის ადგილად, რომლის მოდელიც არის ძველი თბილისი და რისი გამოცდილებაც ათეულობით საუკუნის განმავლობაში გამოვიმუშავეთ.

* * *

დღეს ჩვენი ეკონომიკა ექვსჯერ ჩამორჩება საშუალოევროპულს და ამით გამოწვეული პრობლემების გამო ხშირად მიჩქმალულია და მტვერდადებულია საუკუნეების წრთობით ჩამოყალიბებული ქართული ხასიათის მთავარი საზრისი, გაიხაროს სხვისთვის ბედნიერების მინიჭებით.

ეჭვი არ მეპარება, რომ სულ რაღაც 10-15 წელიწადში ჩვენი ეკონომიკა ევროპულის მსგავსი იქნება. სწორედ ამას ვგულისხმობ, როდესაც ორიენტირად 2030 წელი ავიღე და საზოგადოება „2030“ დავაფუძნე, რადგან ჩვენი და საერთაშორისო ორგანიზაციების გათვლებით საქართველოს ეკონომიკა 2030 წლისთვის საბოლოოდ გაიმართება ფეხზე და განვითარებული ქვეყნების რიგში ჩავდგებით.

ეკონომიკური გათვლების გარდა, ამის იმედს მაძლევს ჩვენი ხალხის ნიჭიერება, შრომისმოყვარეობა, სწრაფვა სიახლის შეცნობისკენ და, რასაკვირველია, ჩვენი ახალგაზრდების გონიერება, დიდი შემართება, თვითორგანიზების უნარი და საკუთარი ქვეყნის სიყვარული, რაც, თუნდაც, თბილისში დატრიალებული სტიქიური უბედურების დროსაც გამომჟღავნდა.

როცა ამას მოვახერხებთ და სიდუხჭირეს თავს დავაღწევთ, მაშინ ქართულ ფენომენსაც ოქროს ხანა დაუდგება და ყველასთვის მიმზიდველი გახდება ჩვენი ლამაზი და ნიჭიერი ადამიანებით დასახლებული ქვეყანა.

აქვე უნდა ვთქვათ ისიც, რომ ქვეყნის გამთლიანების პერსპექტივა რეალური გახდება მხოლოდ და მხოლოდ მაღალ ღირებულებებზე დაფუძნებულ და ძლიერი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოში, რომელიც მიმზიდველი და საინტერესო უპირველესად ჩვენი აფხაზი და ოსი ძმებისთვის უნდა იყოს.

* * *

ჩვენი სტრატეგიული კაპიტალია გეოპოლიტიკური მდებარეობა და კულტურათა მშვიდობიანად შეხვედრისა და ჰარმონიული თანაარსებობის გამოცდილება.

ავტორიტარიზმში დაბრუნება ჩვენთვის მხოლოდ პოლიტიკური კი არა, კულტურული და მენტალური ტრაგედიაც იქნება, ვინაიდან ავტორიტარიზმი ძალადობას ეფუძნება, მისთვის მიუღებელია პოლიტიკური, რელიგიური და საზოგადოებრივი მრავალფეროვნება და ნულოვან ტოლერანტიზმს ამკვიდრებს.

ნულოვან ტოლერანტობასა და ავტორიტარიზმში დაბრუნება გამოიწვევს იმას, რომ ჩვენი ქვეყანა კულტურათა მშვიდობიანი გზაშესაყარის ნაცვლად, ცივილიზაციათა გზაგასაყარად და ინტერესთა შეჯახების პოლიგონად გადაიქცევა, რაც დაგვანგრევს და განვითარების ყოველგვარ პერსპექტივას მოგვისპობს.

საქართველოს განვითარების და კეთილდღეობის ერთადერთი საფუძველი თავისუფლება, დემოკრატია და ტოლერანტობაა და ჩვენი ყველა გადაწყვეტილება ამ აქსიომას უნდა ეფუძნებოდეს!

## ქვეყნის საგარეო კურსი და ორიენტირები

ვინაიდან ჩვენი კეთილდღეობა მხოლოდ დემოკრატიას და თავისუფალ გარემოს უკავშირდება, ცხადია ისიც, რომ ევროკავშირთან და ევროატლანტიკურ სივრცესთან ინტეგრაცია, ნატოს წევრობა, საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიული პრიორიტეტია და ამ მიმართულებით ჩვენთვის კითხვები არ არსებობს.

ჩვენი სახელმწიფოს საგარეო კურსი წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეთა თავისუფალ არჩევანს, რომელიც ემყარება ისტორიულ და ფასეულობრივ კავშირს დასავლურ სამყაროსთან და ეს არაერთხელ იქნა დადასტურებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებით და, მათ შორის, პლებისციტითაც.



შესაბამისად, საქართველოს მთავრობა აქტიურად მუშაობს სწორედ ამ არჩევანის განხორციელებისთვის – ატარებს რეფორმებს, რათა კიდევ უფრო დავუახლოვდეთ ევროპას და საქართველო რეალურად გახდეს ევროპული ეკონომიკის და ევროპული მოწყობის ქვეყანა.

დღეს საქართველო რეგიონში ლიდერი ქვეყანაა დემოკრატიის განვითარებისა და ევროკავშირთან დაახლოების მიმართულებით. საქართველოს ბიზნესგარემო საუკეთესოა და თავისუფალი სავაჭრო სივრცის მოთხოვნებსაც ყველაზე უკეთ ჩვენ ვაკმაყოფილებთ.

საგარეო ორიენტირებზე საუბრისას საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ურთიერთობებს ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორთან, რომელიც არის საქართველოს დამოუკიდებლობის უმნიშვნელოვანესი გარანტი და მხარდამჭერი. ძნელბედობის ჟამს სწორედ ამერიკამ გაუწია ჩვენს ქვეყანას ყველაზე დიდი ფინანსური, სამხედრო-პოლიტიკური და მორალური მხარდაჭერა.

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრობა ძალიან მაღალ ხარისხში ავიდა და ყველამ კარგად უნდა გავაცნობიეროთ, რომ მომავალში საქართველოს უსაფრთხოება და პოლიტიკურ-ეკონომიკური წარმატებები მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული სწორედ ჩვენს მთავარ პარტნიორთან ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებასა და მჭიდრო თანამშრომლობაზე.

კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ევროკავშირში საქართველოს მიღების საკითხი უახლოეს დღის წესრიგში არ დგას. ასევე გარკვეული ლოდინი დაგვჭირდება, ვიდრე ნატოს წევრები გავხდებით, რადგან ეს რთული გეოპოლიტიკური პროცესის ნაწილია და მხოლოდ ჩვენს სურვილსა და მზადყოფნაზე არ არის დამოკიდებული, თუმცა, ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქცეს სპეკულირების და, მით უმეტეს, იმედგაცრუების საბაბად.

საქართველოს საგარეო კურსი და ორიენტირი ერთმნიშვნელოვნად არის ევროატლანტიკური მიმართულება! ჩვენ მოთმინებით დაველოდებით ხელსაყრელ დროს, მზად ვიქნებით და ევროატლანტიკური სტრუქტურებში შევალთ მაშინვე, როგორც კი ჩვენი მეგობრები და პარტნიორები კარის გაღებას შეძლებენ.

დასავლური კურსი არ ნიშნავს, რომ პატივისცემით არ მოვექცევით მეზობლებს და არ გავითვალისწინებთ მათ ინტერესებს, პირიქით, ჩვენი სტრატეგია გულისხმობს მეგობრული ურთიერთობების დამყარებას ყველა მეზობელ და არამეზობელ ქვეყანასთან.

ყველაფერს გავაკეთებთ, რათა საქართველოს ინტერესების შეულახავად შევძლოთ ურთიერთობის ნორმალიზება რუსეთთან, გავაღრმავებთ კავშირებს მნიშვნელოვან პარტნიორებთან და მეგობრებთან – თურქეთთან, აზერბაიჯანთან, სომხეთთან; საინტერესო თანამშრომლობას ვიწყებთ ირანთან; საქართველო აქტიურად მონაწილეობს უზარმაზარი ეკონომიკური და პოლიტიკური პოტენციალის მქონე აბრეშუმის გზის პროექტში.

რამდენიმე დღის წინ გაფორმდა კონტრაქტი, რომლის მიხედვითაც, გერმანიის რკინიგზა, საქართველოს გავლით, ჩინეთს დაუკავშირდება. ამით კიდევ უფრო გამოიკვეთება ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური და ეკონომიკური ფუნქცია, იყოს სატრანსპორტო დერეფანი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის.

## ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔ

შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელ საქართველოში პოლიტიკურ პრობლემებს მნიშვნელოვანწილად ქმნის ის, რომ, ერთი მხრივ, გვაქვს მაღალი ხარისხის დემოკრატია და, მეორე მხრივ, მას მნიშვნელოვნად ჩამორჩება ეკონომიკის განვითარება. ასეთი განსხვავება დემოკრატიისა და ეკონომიკის დონეებს შორის იშვიათია და ძნელად თუ სადმე მოიძებნება. როგორც წესი, დემოკრატიის ხარისხი შეესაბამება ეკონომიკის განვითარებას.

დღეს არსებული ეკონომიკური მდგომარეობა ავტორიტარიზმში დაბრუნების ნიადაგს ქმნის, ხოლო ქვეყნის მომავალი დემოკრატიის განუხრელად განვითარებას მოითხოვს. რასაკვირველია, ჩვენ მომავლის ინტერესებიდან გამომდინარე უნდა ვიმოქმედოთ.

სააკაშვილს ხელისუფლების იდეოლოგები ღიად ასაბუთებდნენ, რომ საქართველოს – ეკონომიკის სწრაფი წინსვლისა და მოდერნიზაციისთვის – აუცილებლად სჭირდებოდა ავტორიტარული რეჟიმი და რკინის ხელი – პოლიტიკურად ჩამორჩენილი ხალხი პატარა ჯგუფს უნდა ემართა. ამაში არწმუნებდნენ უცხოელებსაც და ამ შთაბეჭდილების შესაქმნელად დადგმულ სპექტაკლებს და უხეშ პროვაკაციებსაც არ ერიდებოდნენ. თუმცა, ვითომდა ქვეყნის საკეთილდღეოდ გამიზნული ამგვარი ქმედებები საბოლოოდ დასრულდა ერთი ჯგუფის მიერ ძალაუფლების უზურპირებით და ელიტური კორუფციით.

აუცილებელია, მთელმა საზოგადოებამ გავაცნობიეროთ ის ხიფათი, რომელიც დემოკრატიისა და ეკონომიკის დონეებს შორის სხვაობას ახლავს. ავტორიტარიზმის პირობებში ხელისუფლება მართავს საზოგადოებრივ აზრს – ერთი მხრივ, ხელოვნურად ნერგავს ოპტიმიზმს და ცხოვრებას საამურად წარმოაჩენს, ამასთან ერთად კი ძალადობით ახშობს უკმაყოფილების გამოვლინებებს. დემოკრატიის პირობებში კი ეკონომიკური სიდუხჭირით გამოწვეული განწყობების გამომზეურებას ხელს არაფერი უშლის.

სწორედ აქ უნდა მოვუხმოთ გონიერებას და კარგად გავიაზროთ, რომ არავითარ შემთხვევაში არ გვაქვს უკან, ტირანიისკენ მიბრუნების უფლება. უნდა შევინარჩუნოთ დემოკრატიის მაღალი ხარისხი და მას დავაწიოთ ეკონომიკა. მხოლოდ ეს მოგვიტანს მშვიდობას და კეთილდღეობას!

დღეს ნამდვილად გვაქვს თავისუფალი არჩევანის საშუალება, ვერც დაგვაშინებს ვინმე და ვერც ხმებს მოგვპარავენ, თუმცა, ეს საკმარისი არ არის, რადგან სწორი არჩევანი მხოლოდ ინფორმირებულ ამომრჩეველს შეუძლია, ამ მიმართულებით კი სერიოზული პრობლემებია.

ქვეყანაში ფიზიკური ძალადობა დასრულდა, მაგრამ გრძელდება პროპაგანდით და სიცრუით ძალადობა, რაც, შეიძლება, გაცილებით მეტადაც კი აზიანებდეს საზოგადოებას.

პოლიტიკური ძალა, რომელიც ცოტა ხნის წინ ტერორით მართავდა ქვეყანას, ადამიანის უფლებებს აბუჩად იგდებდა და თავისუფალ სიტყვას დევნიდა, დღეს სრულად სარგებლობს ქვეყანაში არსებული თავისუფალი გარემოთი, ძველებურად ამუშავებს სიცრუის მანქანას, აფრქვევს ცილისწამების კორიანტელს და მის დღის წესრიგს ხშირად დანარჩენი მედიაც მიჰყვება, რადგან მთავრობის ლანძღვა მოდაშია და კარგ ტონად ითვლება.

მოქალაქეებს მიზანმიმართულად და განუწყვეტლივ მიეწოდებათ ქვეყანაში არსებული ვითარების განზრახ დამახინჯებული სურათი, რაც ბევრში გულგატეხილობისა და სასოწარკვეთის განცდას იწვევს. ეს ყველაფერი რევანშის მიზნით კეთდება, რათა სააკაშვილის კლანმა ქვეყანა ისევ დააბრუნოს ძალმომრეობის ჭაობში, რომელსაც ძლივს დავაღწიეთ თავი.

მედიამ ხელისუფლება უნდა აკრიტიკოს და, რასაკვირველია, მეც ამის მომხრე ვარ, მაგრამ არა იმ პოლიტიკური ჯგუფის პოზიციიდან და ინტერესებიდან, რომელმაც ამდენი ტანჯვა მოუტანა საკუთარ ხალხს და რომელსაც დღეს რევანში სწადია.

ამ პარტიის ვითომდა განახლებული ლიდერებიც კი დღესაც საკუთარი პოლიტიკური წარსულის ქებით არიან დაკავებულნი და მხოლოდ გაკვრით თუ ახსენებენ შეცდომებს, რომელთა შესახებაც ნაციონალურ მოძრაობაში თითქოს არავინ იცოდა.

რასაკვირველია, ჩვენ შევინარჩუნებთ თავისუფალ მედიაგარემოს, სადაც ნებისმიერ მედიასაშუალებას იმის შესაძლებლობაც ექნება, იყოს არაობიექტური, ტენდენციური, პოლიტიკურად ანგაჟირებული და გაავრცელოს არასწორი და ცილისმწამებლური ინფორმაციები, რისი მოწმენიც, სამწუხაროდ, ყოველდღიურად ვართ.

თუმცა, ისიც აუცილებლად უნდა ითქვას, რომ თავისუფლება მედიას მხოლოდ საკუთარი ძალისხმევით არ მოუპოვებია. ყველას გვახსოვს რამდენიმე წლის წინ მიწაზე დაყრილი და იარაღმიბჯენილი ჟურნალისტები, ერთი და იმავე ტექსტებით მოსაუბრე ტელევიზიები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ იმ ქვეყანაში, რომელშიც ასიათასობით ადამიანმა ციხე იწვნია, ხოლო დანარჩენები იგივეს ელოდნენ, ცხოვრება მშვენიერი იყო.

საქართველოში მედია სწორედ ტირანიის დამარცხების შემდეგ გათავისუფლდა და როგორ დაუნდობლადაც არ უნდა აკრიტიკებდეს ხელისუფლებას, რომელსაც არცთუ მცირე წვლილი მიუძღვის ამ თავისუფალი გარემოს შექმნაში, თავად მედიის უფლებებს არავინ შეეხება.

ადრე მედია ამბობდა მხოლოდ იმას, რაც ხელისუფლებას სურდა და, შესაბამისად, ხელისუფლებისთვისაც ადვილი იყო საზოგადოებრივი აზრით მანიპულირება. ნაციონალების ესოდენ ნაქები პიარი სინამდვილეში იმით გამოიხატებოდა, რომ ყველა არხზე მხოლოდ სააკაშვილი იჯდა დილიდან საღამომდე და ხან სახურავებიდან გვესაუბრებოდა და ხან – მღვიმეებიდან. ყველა სხვა ინფორმაცია დახშული იყო.

დღეს მედია გახსნილია, ადამიანებმა თავად უნდა გამოიტანონ დასკვნები, რასაც სათანადო გამოცდილება სჭირდება და რაც ჯერ აკლია ჩვენს საზოგადოებას. მიუხედავად ამისა, სააკაშვილის პროპაგანდას და ცილისწამებას ჩვენ ძალადობით და აკრძალვით კი არ ვუპასუხებთ, არამედ – ანალიზით და მოვლენებისათვის სახელის დარქმევით. როდესაც მედია სრულიად თავისუფალია, საზოგადოებასაც და მთავრობასაც აქვთ უფლება, რომ გააკრიტიკონ იგი და ამხილონ კიდეც, თუკი არაკეთილსინდისიერ ქმედებებს შეამჩნევენ.

## ᲠᲐ ᲛᲘᲖᲐᲜᲘ ᲛᲐᲥᲕᲡ

როცა პოლიტიკში მოვედი, მე იმედი მქონდა, რომ ჩვენი ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, ალღო არ გვიღალატებდა, არ დავიბნეოდით და სწორი არჩევანით ვუპასუხებდით მოძალადე მთავრობას. სინამდვილეში ასეც მოხდა და ქართულმა ოცნებამ გაიმარჯვა.

ხელისუფლებას ჩამოვაშორეთ სწორედ ის ჯგუფი, რომელიც ცხრა წლის განმავლობაში ბოროტი დაჟინებით ცდილობდა მოესპო და გაენადგურებინა ათეულობით საუკუნის განმავლობაში ჩამოყალიბებული ქართული ფენომენი, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ.

ცდილობდნენ, მთელი მსოფლიო დაერწმუნებინათ, რომ ქართველები ვართ მართლმადიდებლური ფანატიზმით შეპყრობილი ველური ხალხი, რომელიც აგრესიულად არის განწყობილი ყველას და ყველაფრის მიმართ და ამიტომ აუცილებელი იყო ჩვენი მათრახით მართვა. მაშინ როდესაც მართლმადიდებლობა, რაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ჩვენს მსოფლმხედველობას, სწორედ ჰუმანიზმს და შემწყნარებლობას გვასწავლის და ამასვე ქადაგებდა საუკუნეების განმავლობაში საქართველოს ეკლესია, ქვეყნის სულიერი ფარი, რომელსაც განუზომელი წვლილი მიუძღვის ჩვენი თვითმყოფადობის შენარჩუნებაში.

წელს მთელი საზოგადოება პოლიტიკური სიმწიფის გამოცდას ვაბარებთ. ადრე თეთრსა და შავს შორის ვირჩევდით, დღეს უკვე ბევრი ფერია, გაჩნდა არჩევანის თავისუფლება – ყველა საკუთარ სიმართლეს ამტკიცებს, ყველა საკუთარი ინტერესების გატარებას ცდილობს. ამიტომ, გაცილებით რთულია მართებული არჩევანის გაკეთება.

სიცრუის მანქანა ათასგვარ ცილისწამებას ავრცელებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ და პირად ჩემ მიმართაც. ამის მიზეზი, მხოლოდ ის კი არ არის, რომ მნიშვნელოვანი წვლილი მიმიძღვის მათ დამარცხებაში, სააკაშვილის გუნდის გაღიზიანებას კიდევ უფრო მეტად იმიტომ ვიწვევ, რომ ძალაუფლების დაბრუნებისთვის ბრძოლაში მათთვის სერიოზულ დაბრკოლებას წარმოვადგენ, რაშიც ნამდვილად არ ცდებიან. აუცილებლად გამოვიყენებ მთელ ჩემს რესურსს, რათა დროის უკან შემობრუნება ვერ შეძლონ და ქვეყანა ისევ საკუთარი სადისტური ექსპერიმენტების ლაბორატორიად არ გადააქციონ.

არასდროს მიტრაბახია საქველმოქმედო პროექტებით თუ წამოწყებებით, მაგრამ, ვინაიდან, ამდენი ცილისწამება მოედინება, იმისთვის, რომ ჩემს თანამოქალაქეებს ზუსტი ინფორმაცია და შესაბამისად მართებული გადაწყვეტილებების მიღების საშუალება ჰქონდეთ, კიდევ ერთხელ სრული პასუხისმგებლობით მინდა ვთქვა, რომ არანაირი ბიზნესინტერესი საქართველოში არ მაქვს.

ყველა ის პროექტი, რომელსაც ვახორციელებ, მხოლოდ იმას ემსახურება, რომ ჩვენი ქვეყანა უფრო სანდო და საინტერესო გახდეს ინვესტორებისთვის, უფრო მიმზიდველი – ტურისტებისთვის, ეს ყველაფერი ძალიან ადვილად შესამოწმებელია.

ყველა ბიზნესში ჩახედულმა იცის, რომ უცხოელი ინვესტორი გაცილებით სწრაფად იღებს გადაწყვეტილებას და უფრო გაბედულად იწყებს საქმიანობას, როდესაც მას ადგილობრივი პარტნიორი ხვდება და ფინანსურ თანამონაწილეობას სთავაზობს. სწორედ ინვესტორთა დამატებითი სტიმულირებისთვის ჩემი ინიციატივით დაფუძნდა თანაინვესტირების ფონდი, რომელმაც გაცხადებული 5 მილიარდი დოლარის დიდი ნაწილი უკვე აითვისა, რითაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით და ბევრ ინვესტორს გაუხდა პარტნიორად ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში – დაწყებული სოფლის მეურნეობიდან, დამთავრებული ჰესების მშენებლობით.

გარდა ამისა, თავად ფონდი, ყოველგვარი პარტნიორის გარეშე, აშენებს რვა სასტუმროს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ტურიზმის განვითარების თვალსაზრით. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ეს პროექტი სრულად იცავს არქიტექტურულ და გარემოსდაცვით ყველა ნორმას და, ამასთანავე, მიმდებარე ტერიტორიების მოვლას და გამწვანებასაც ითვალისწინებს, ჩვენი ოპონენტები, საკუთარი პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, განზრახ დამახინჯებული ინფორმაციების გავრცელებით საზოგადოების გარკვეული ნაწილის შეცდომაში შეყვანას ცდილობენ.

მათ სურთ, საქმის ვითარება ისე წარმოაჩინონ, თითქოს მე პოლიტიკაში ფინანსური ინტერესების გამო მოვედი. სწორედ ამიტომ, ადრეც ვთქვი და მინდა, კიდევ ერთხელ გავიმეორო, რომ თუ ვინმე გამოჩნდება, ვისაც ამ პროექტების დასრულების სურვილი და შესაძლებლობა ექნება, თანაინვესტირების ფონდი მნიშვნელოვანი ფასდაკლებით დაუთმობს საკუთრებას და ყოველმხრივ დახმარებასაც აღმოუჩენს.

* * *

ჩვენ ახლა ვიმყოფებით განვითარების მნიშვნელოვან ეტაპზე, როდესაც თითოეულმა მოქალაქემ დამოუკიდებლად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე უნდა გააკეთოს არჩევანი. ეს კი ძალიან დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს.

ჩემი ეს წერილიც და სატელევიზიო გამოსვლებიც, რომლებსაც წინასაარჩევნოდ ვგეგმავ, იმ მიზანს ემსახურება, რომ ვიდრე საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებენ, თანამოქალაქეებს შევთავაზო მოვლენების ჩემეული ანალიზი, თუ რატომ უნდა დავუჭიროთ მხარი „ქართულ ოცნებას“ და ამ პარტიის თავმჯდომარეს გიორგი კვირიკაშვილს, რომელიც ნამდვილად გამოირჩევა ერუდიციით, წესიერებით, შრომისმოყვარეობით და სწორედ ისეთი ევროპული ყაიდის, გაწონასწორებული და პრინციპული ლიდერია, როგორიც დღეს სჭირდება საქართველოს.

ცხადია, გაჩნდება შეკითხვა – რატომ უნდა აღმოჩნდეს ვინმესთვის საინტერესო ჩემი ხედვა და რჩევა?! ამ შეკითხვას ასე ვუპასუხებდი – ყველა ადამიანს უყვარს თავისი სამშობლო და არც მე ვარ გამონაკლისი. შეძლებისდაგვარად მეც ვემსახურები ქვეყანას, ამასთანავე, ვფიქრობ, ცხოვრებისეული გამოცდილების შედეგად მაქვს მოვლენების მართებული ანალიზის უნარი, რითაც წარმატებას მივაღწიე როგორც ბიზნესში, ასევე – ქვეყნის ტირანიისგან გათავისუფლებისთვის ბრძოლაში და რაც შეიძლება მომავალშიც გამოადგეს ჩემს ქვეყანას.

ჩემი ხედვა, რომელიც ამ წერილში გადმოვეცი და რომელსაც კიდევ უფრო დეტალური და გაშლილი სახით სექტემბერში შემოგთავაზებთ, განპირობებულია მხოლოდ ჩვენი ქვეყნის წარმატების სურვილით. არავითარი სხვა მოტივი არ მამოძრავებს – არც ხელისუფლებაში მოსვლისთვის ვიბრძვი, რაც დავამტკიცე კიდეც, არც რაიმე თანამდებობა მიზიდავს და არც მატერიალურ გამორჩენას ველი.

მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით არანაირი პირადული გეგმები ან მიზნები არ გამაჩნია. ჩემი ერთადერთი ფიქრი ის არის, რომ უახლოეს 10-15 წელიწადში კეთილად დავაგვირგვინოთ ის საქმე, რომელსაც ჩვენი წინაპრები საძირკველს საუკუნეების განმავლობაში უყრიდნენ და თქვენთან ერთად მეც და ჩემს ოჯახსაც გვიხაროდეს საქართველოში ცხოვრება.

სწორი არჩევანის შედეგად 2012 წელს ჩვენ მოვიპოვეთ თავისუფლება! სწორ არჩევანს დღესაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის! დღესაც ჩვენი ისტორიული გამოცდილების და ალღოს იმედი მაქვს!

ამიტომ დავწერე ეს წერილი. ამიტომაც ვგეგმავ წინასაარჩევნო პერიოდში ყველა რეგიონში ჩასვლას და ტელევიზიით გამოსვლებს. შევხვდები საზოგადოებას, ვისაუბრებ ქვეყნის წინაშე არსებულ კონკრეტულ ამოცანებზე, ვუპასუხებ ჟურნალისტების და ფეისბუქმომხმარებლთა დასმულ კითხვებს მთავრობის საქმიანობის, ეკონომიკის მდგომარეობის, პოლიტიკურ პარტიების, მედიის და ყველა იმ მთავარი საკითხის შესახებ, რისი გათვალისწინებითაც უნდა გავაკეთოთ პოლიტიკური არჩევანი.

დარწმუნებული ვარ, ამჯერადაც გავიმარჯვებთ!

ხუთშაბათს, 2 ივნისს, ამ თემებზე დამატებით კითხვებს ვუპასუხებ საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში, გადაცემა „ინტერვიუში“.

**30 მაისი, 2016 წელი**

# ვახტანგ გომელაური: „რისკის ან საფრთხის შემცველი ნებისმიერი კერა და ობიექტი კონტროლდება“

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა ვახტანგ გომელაურმა „ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული (ქბრბ) მეცნიერებისა და შედეგების მართვის მსოფლიო კონგრესი“ გახსნა.

გახსნის ცერემონიალზე ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში იან კელი, შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი მღებრიშვილი, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი დავით სერგეენკო, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე ლევან იზორია, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიგი გიგიაძე, თავდაცვის მინისტრის მოადგილე დავით ებრალიძე, გარემოს და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილე მაია ბითაძე, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე დავით გალეგაშვილი და აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტის საფრთხეების შემცირების სააგენტოს ოპერაციების დეპარტამენტის J3/7 დირექტორი გარი ბლორი გამოვიდნენ.

ვახტანგ გომელაურმა სიტყვით გამოსვლისას ისაუბრა ქბრბ რისკების მიმართულებით რეგიონში არსებულ ვითარებასა და საქართველოს წინაშე არსებულ გამოწვევებზე. მისი თქმით, არსებული მდგომარეობის შეფასების შედეგად სახელმწიფოს მხრიდან შემუშავდა სტრატეგიული, მეთოდური გეგმა უსაფრთხოების მკაცრი ზომების გატარების თვალსაზრისით.

– რისკის ან საფრთხის შემცველი ნებისმიერი კერა და ობიექტი სახელმწიფოს მხრიდან ექვემდებარება მუდმივ კონტროლს და მონიტორინგს. საქართველოს მთავრობა სრულად აცნობიერებს, რომ ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციის და კონფლიქტის კერებთან სიახლოვის გამო სახელმწიფოში არსებობს აღნიშნული მასალების უკანონო შემოტანის, ასევე ქვეყნის ტერიტორიის ტრანზიტისთვის გამოყენების რისკიც.

ამ კუთხით ხელსაყრელ გარემოს ქმნის ოკუპირებული ტერიტორიების არსებობაც, სადაც დღემდე ვერ ხერხდება – არადა, აუცილებელი და უაღრესად მნიშვნელოვანია უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების შექმნა.



სირიასა და ერაყში საბრძოლო მოქმედებების ფონზე, ჩვენი პარტნიორი ქვეყნების სადაზვერვო და უსაფრთხოების სტრუქტურები ხშირად საუბრობენ ისლამისტების მიერ ქიმიური, ბიოლოგიური, ბირთვული ტერორიზმის შესაძლებლობასა და ალბათობაზე. ეს არის გამოწვევები, რომელთა საპასუხოდ აუცილებელია როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო ძალისხმევა შესაბამის საფრთხეების პრევენციისა და გამოვლენის, მათზე მზადყოფნისა და რეაგირების მიზნით, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

მისი თქმით, CBRN-ის უსაფრთხოების სფეროში საქართველომ გადადგა ქმედითი ნაბიჯები და მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებას. მთავრობის მიერ ჩამოყალიბდა ერთიანი მიდგომა.

შეიქმნა უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, რომელსაც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ხელმძღვანელობს. ამერიკელი და ევროპელი პარტნიორების მხარდაჭერით შემუშავდა შესაბამისი ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. როგორც ვახტანგ გომელაურმა აღნიშნა, საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესის ერთ-ერთი მთავარი პირობა სწორედ აღნიშნული ინსტიტუციური მექანიზმი, სამოქმედო გეგმაში გაწერილი პრიორიტეტები, გაუმჯობესებული უწყებათაშორისი კოორდინაცია და საერთაშორისო თანამშრომლობაა. მისი თქმით, ბირთვული უსაფრთხოების სამიტზე ვაშინგტონში, საქართველოს მხრიდან ხაზგასმით აღინიშნა, რომ მხარს ვუჭერთ ბირთვული უსაფრთხოების არქიტექტურის კიდევ უფრო გაძლიერებას.

ვახტანგ გომელაურმა პარტნიორ ქვეყნებს და ორგანიზაციებს მადლობა გადაუხადა საქართველოს შესაბამისი უწყებების შესაძლებლობების განვითარებაში განსაკუთრებული წვლილის შეტანისთვის.

აშშ-ს ელჩმა იან კელიმ მადლობა გადაუხადა კონფერენციის ორგანიზატორებს და საქართველოს მთავრობას დაუღალავი შრომისა და საქმისადმი ერთგულებისთვის, ასევე ამ მნიშვნელოვანი ღონისძიების უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მეორედ გამართვისთვის. ელჩის თქმით, ძალიან მნიშვნლოვანია, რომ საქართველო იჩენს ლიდერობას რეგიონში ქბრბ საფრთხეების დადგენასა და სტრატეგიების შემუშავებაში.

– ქბრბ სტრატეგიული გეგმის შემუშავება და მზაობა წარმოადგენს მზარდი აუცილებლობის სფეროს, რომლის წინაშეც საერთაშორისო თანამეგობრობა დგას. მთავარ ქბრბ საფრთხეებთან ბრძოლის პროცესში საჭიროა თანამშრომლობა და კოორდინაცია ყველა დონეზე, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს მოქალაქეთა უსაფრთხოება. იმისათვის რომ ეფექტიურად მოვემზადოთ და ვუპასუხოთ საფრთხეებს, ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვიმუშაოთ. აშშ მხარს უჭერს მთავრობის გლობალურ მიდგომას ამ გამოწვევისადმი.

აშშ-ს საელჩოში ჩვენ გვაქვს ბევრი სააგენტო, რომლებიც კოორდინაციას უწევენ გარკვეულ სამუშაოებს ამ სფეროში. მათ შორის არის სახელმწიფო, თავდაცვისა და იუსტიციის დეპარტამენტი და ბევრი სხვა. საქართველოსა და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა წარმოადგენს უმთავრეს პრიორიტეტს ჩვენი მისიისთვის, ქბრბ საფრთხეებზე რეაგირების გეგმების შევქმნის მიზნით.

ეს ღონისძიება წარმოადგენს უნიკალურ შესაძლებლობას სამეცნიერო, ტექნიკური, სამედიცინო და საკანონმდებლო სფეროებისთვის, რათა გაიცვალოს იდეები და აწარმოონ კვლევები ქბრბ საფრთხეების კუთხით და შეიმუშავონ სტრატეგიები, რაც ემსახურება ერთ მიზანს – დაიცვას ადამიანები ქბრბ საფრთხეებისგან.

კონგრესი 2016 წლის 30 მაისიდან 2 ივნისის ჩათვლით, თბილისში, სასტუმრო „რედისონში“ ტარდება. აღნიშნული ღონისძიება საქართველოში პირველად 2014 წლის 1-5 ივნისს გაიმართა.

კონგრესი ორ ათწლეულზე მეტია, ძირითადად ხორვატიასა და შვეიცარიაში იმართებოდა. კონგრესის თბილისში გამართვის გადაწყვეტილება ქიმიური, ბილოგიური, რადიაციული და ბირთვული უსაფრთხოების სფეროში საქართველოს მიერ მიღწეულ პროგრესს უკავშირდება. ღონისძიებას საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მასპინძლობს და მისი მხარდამჭერია აშშ-ის მთავრობა.

კონგრესში მსოფლიოს 30 ქვეყნისა და საერთაშორისო ორგანიზაციის მაღალი რანგის ოფიციალური პირები, ქბრბ სფეროს ექსპერტები და მეცნიერები მონაწილეობენ. მასზე განიხილება ისეთი საკითხები, როგორებიცაა ბირთვული და რადიოლოგიური უსაფრთხოება, მასობრივი განადგურების იარაღისა და მასალების გაუვრცელებლობა, ბიოდაცულობა და ბიოუსაფრთხოება, ქიმიური უსაფრთხოების ასპექტები და ა.შ. კონგრესის ფარგლებში დაგეგმილია რადიოაქტიური ნივთიერების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ საჩვენებელი საველე ვარჯიშის მოწყობა.

# ჯონდი ბაღათურია: „კორცხელში ივანიშვილმა და სააკაშვილმა სპექტაკლი დადგეს“

## „ნაციონალებს და „ქართულ ოცნებას“ ერთმანეთი სჭირდებათ“

ნონა ცაბაძე

გუშინ, 30 მაისს, ქართული დასის ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ პრესკონფერენცია გამართა და მისი მოსკოვში ვიზიტი და ქვეყანაში მიმდინარე პროცესები შეაფასა.

***– ბატონო ჯონდი, იმ მძიმე სიტუაციაში, როდესაც საზღვარზე საქართველოს მოქალაქე დაგვიხვრიტეს, რამდენად გამართლებული იყო თქვენი ვიზიტი მოსკოვში?***

– ყველა ჩემს წასვლას დიდი ჟივილ-ხივილი მოჰყვება ხოლმე. საზოგადოების უდიდეს ნაწილში საკმაოდ დადებითი გამოხმაურება მოჰყვა ჩემს ვიზიტს. აგრესიულად განწყობილები კი გრანტებზე გაყიდული პოლიტიკოსები არიან. სწორედ ისინი ცდილობენ ასეთი ნეგატიური ფონის შექმნას. ქართველ საზოგადოებაში 70%-ზე მეტი პოზიტიურად აფასებს რუსეთთან ურთიერთობის აღდგენას.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ ამ ეტაპზე ეს შესაძლებელია?***

– სავსებით შესაძლებელია პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში. ვგულისხმობ ქართულ მხარეს. რუსულ მხარეს ურთიერთობის დარეგულირების სურვილი აქვს. კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენა საქართველოს ხელისუფლების კეთილგონიერებაზეა დამოკიდებული.

***– შეხვედრაზე არ განიხილეთ ის საზარელი ფაქტი, რაც ხურჩაში მოხდა?***

– არაფორმალური შეხვედრების დროს, რასაკვირველია, საკითხი შეეხო იმ საზარელ და ცინიზმით განხორციელებულ მკვლელობას, რომელიც განჯინ ოღლიმ ჩაიდინა. ჩვენი რუსი კოლეგები ამ ფაქტით ძალიან შეწუხებულები არიან. მათ აქვთ ერთგვარი ჩიხური მდგომარეობა, რადგან აღიარებული აქვთ აფხაზეთი და შიდა საქმეებში ჩარევა ასე ხმამაღლა არ გამოსდით.

არ ვიცი, რამდენად უნდა ვთქვა ეს, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ რუსეთმა განახორციელა ზეწოლა აფხაზეთის ხელისუფლებაზე და აფხაზეთის პროკურატურას აღძრული აქვს სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის





მუხლით. დამნაშავე დაკავებული არ არის, თუმცა არის კიდევ გარკვეული დეტალები, რომლებზეც დღეს ვერ ვისაუბრებ.

ჩვენ უნდა ვეცადოთ, კეთილმეზობლური ურთიერთობები აღვადგინოთ, ეს მდგომარეობა ისევ ჩვენ გვაზიანებს. თუმცა ამერიკის შიშით ჩვენი ხელისუფლება პირში წყალჩაგუბებულია და დირექტივებს იქიდან ელის. სერიოზული პროვოკაციებია მოსალოდნელი.

***– რა პროვოკაციებზე საუბრობთ?***

– როდესაც ახალ სამხედრო ალიანსებზე მიდის საუბარი, ეს ჩვენ გვაწყობს?! ორი მეზობელი ერთმანეთს უპირისპირდება და როდესაც შენ ერთ-ერთთან სამხედრო ალიანსის შექმნას გეგმავ, გამოდის, რომ მეორეს უპირისპირდები. გვჭირდება დღეს ასეთი დაპირისპირებები?! ვინ აგებს მერე ამაზე პასუხს?! ხიდაშელს რა ენაღვლება, ის გაიქცევა ვაშინგტონში და სადღაც დაასაქმებენ, ჩვენი ქვეყანა კი გაიჭყლიტება და კიდევ რამდენიმე რეგიონს დავკარგავთ. ჩვენ ბევრ საინტერესო საკითხზე ვისაუბრეთ ჩვენს რუს კოლეგებთან.

***– აქ გავრცელდა ინფორმაცია, რომ საარჩევნოდ თანხების მოსაზიდად წახვედით. ასეა?***

– ეს ხომ სტანდარტია. ეს მოდის გრანტებზე გაყიდული პოლიტიკოსების მხრიდან. თუკი ვინმე ქვეყნისთვის მუშაობს და თუკი ვინმე წინააღმდეგობას უწევს მათ, ცდილობენ დაასაბუთონ, თითქოს ფინანსების მოსაზიდად დავდივარ მე მოსკოვში. ეს სიცრუეა!

***– ახლოვდება არჩევნები, როგორია თქვენი პოლიტიკური გეგმები?***

– ივანიშვილი და სააკაშვილი ცდილობენ, რომ თეატრალიზებული საშუალებით გადაფარონ ქვეყანაში არსებული რეალური მოვლენები და, ივანიშვილის ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, შუა გაკრიფონ. ჩვენი ენით კი მოახდინონ ამომრჩევლის პოლარიზაცია. ჩვენ არჩევნებში მონაწილეობას ვღებულობთ.

***– ვისთან ერთად?***

– ჩვენს მოკავშირეებთან ერთად. დღეს მიმდინარეობს კონკრეტიზაცია დეტალების. ჩვენ 2014 წელს შევქმენით კოალიცია – ერთიანი ოპოზიცია და მაშინვე განვაცხადეთ, რომ ამ კოალიციას ვქმნით არა ადგილობრივი არჩევნებისთვის, არამედ საპარლამენტო არჩევნებისთვის. თუმცა შიგნით ისეთი მოცემულობაა, რომ საჭიროა გარკვეული დეტალების დაზუსტება.

***– უფრო კონკრეტულად?***

– ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, საზოგადოებას შევთავაზოთ ისეთი გუნდი, რომელიც ახალ სიტყვას ამბობს ქართულ პოლიტიკაში. ძველი, გახუნებული, სიყვითლე რომ შეეპარათ, ასეთი სახეები აღარ უნდა იყვნენ პოლიტიკაში. მათ თავის თავი ამოწურეს და ასეთი სახეებისგან ჩვენ თავისუფალი უნდა ვიყოთ.

***– რას ფიქრობთ პაატა ბურჭულაძის პოლიტიკურ საქმიანობაზე, რომელიც ახლახან გამოჩნდა პოლიტიკურ არენაზე?***

– მე პაატა ბურჭულაძის შეფასებისგან თავს შევიკავებ. ყოფილ პარტნიორებზე ნეგატიურ შეფასებებს არ ვაკეთებ. დადებითი შეფასებების საშუალებას თუ მომცემს პაატა, მაშინ დიდი სიხარულით გავაკეთებდი ამ კომენტარს. ერთადერთი, რაც შემიძლია გითხრათ, პაატას პოზიციებით გაოცებული ვარ.

***– რატომ, რამ გაგაოცათ?***

– მაშინ, როდესაც მე და პაატა ვიყავით პარტნიორები და ჩვენ დიალოგს ვაწარმოებდით ქვეყნის ჩიხიდან გამოყვანაზე, მაშინ ჩემი და პაატას პოზიციები მთლიანად ემთხვეოდა ერთმანეთს. ჩემი პოზიციები დღესაც იგივეა, ხოლო პაატას პოზიციები დიამეტრულად განსხვავდება. ის სრულიად შეიცვალა. რამ განაპირობა ასეთი ფერისცვალება პაატას შეხედულების, მე ამის შესახებ ინფორმაცია არ მაქვს. დასკვნების გაკეთება შემიძლია, მაგრამ თავს ვიკავებ.

***– საუბარია, რომ ნაციონალები პროვოკაციისთვის ემზადებიან და მაგალითად ყველას კორცხელის ინციდენტი მოჰყავთ. თქვენ რას ელოდებით ამ არჩევნებზე?***

– მე უფრო ზუსტ სახელს დავარქმევდი კორცხელის შემთხვევას. ნაცვლად იმისა, რომ ნაციონალების პროვოკაცია დავარქვათ, უმჯობესია უფრო ზუსტი სახელი ვუწოდოთ. ეს სახელი არის ნაციონალების და „ქართული ოცნების“ მიერ დადგმული სპექტაკლი.

***– რაში სჭირდებოდათ მათ ასეთი სპექტაკლი?***

– ეს ემსახურება ამომრჩევლის პოლარიზაციას. მათი მიზანია, ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი ფონი და ტრაგიკული პროცესები გადაფარონ. სააკაშვილს და ივანიშვილს შორის არსებობს ფარული მოლაპარაკება აღნიშნულ პროცესებთან დაკავშირებით. სულაც არ არის საჭირო ამ დეტალების შესახებ „ოცნების“ წევრებმა ან და მელიამ და მისნაირებმა რამე იცოდნენ. პირიქით, რაც ნაკლებად არიან ინფორმირებულები, მით უფრო ბუნებრივად გამოდის ყველაფერი.

***– ანუ, ეს ყველაფერი დადგმული იყო?***

– რასაკვირველია! მერე რა, თუ იქ ვიღაცის სისხლი დაიღვრება. ეს შედის მათ გეგმებში. ჩვენ სააკაშვილის ჩანაწერიც ხომ გვახსოვს, სისხლი უნდა დაიღვაროს, გვამი თუ იქნება, უკეთესიო. პოლიტიკაში ასეთი სიბინძურეები ხდება, თუკი ამას პოლიტიკური ინტერესი აქვს.

***– და ეს შეთანხმება ივანიშვილსა და სააკაშვილს შორის შედგა?***

– რა თქმა უნდა! ნაციონალური მოძრაობის და „ქართული ოცნების“ უფროსობას შორის არსებობს შეთანხმება, გარიგება, იმ მიზნით, რომ ტემპერატურა მაქსიმალურად მაღლა ასწიონ და მხოლოდ ამ პარტიების დაპირისპირების ჩვენება იყოს ტელეეკრანებზე. ამით გადაფარავენ ოპონენტებსაც და რეალურ ოპოზიციასაც დაჩრდილავენ.

***– წავა „ოცნება“ ამაზე?***

– რასაკვირველია, წავა. მიდის კიდეც. „ქართული ოცნება“ რასაც ფიქრობს და აპირებს, ეს ძალიან კარგად გამოჩნდა კოღუაშვილის განცხადებებში. მას გულუბრყვილოდ წამოსცდა, რომ არჩევნების შემდეგ მერაბიშვილსაც გამოუშვებენ და უგულავასაც. რომ პარლამენტში ოპონენტებად მხოლოდ ნაცები აწყობთ. მანამდე კი ასეთ ქუჩის სპექტაკლებს გამართავენ. მერე რა, რომ ვიღაცას თუ ცხვრიდან სისხლი წამოუვა, მერე რა, ვიღაცას თუ თავი გაუტყდება. სამაგიეროდ, გადაიფარება მნიშვნელოვანი პროცესები.

# მამუკა გიორგაძე: „ქართულ ოცნებაში“ ნახევარი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელია“

## „გარკვეულ ძალებს უნდათ, მთელი საზოგადოება დრამატულ სპექტაკლებში ჩართონ“

მარიამ მჭედლიშვილი

**ბოლო დროს საქართველოს პოლიტიკაში ბევრი რამ ხდება. ზოგიერთი ინციდენტი და ფაქტი სკანდალური და ხმაურიანია. სახალხო პარტიის ლიდერი მამუკა გიორგაძე „ახალ თაობასთან" ინტერვიუში აღნიშნავს, რომ მომხდარმა და მიმდინარე მოვლენებმა გამოააშკარავა ის, რაც წინა წლებში ფართო საზოგადოებისთვის დაფარული იყო.**

**მამუკა გიორგაძე:**

– დღეს ძალიან თვალსაჩინო გახდა ის, რაც 5 ან 15 წლის წინ ხალხისთვის დაფარული იყო და რაზეც სულ რამდენიმე კაცი ვსაუბრობდით. პოლიტიკაში აქტიურობის უფლება ყველას არ ეძლევა. წინა პლანზე არიან დაშვებული რუსეთიდან მართული ჯგუფები. ამ დაშვებული ძალებიდან ზოგს პროდასავლური ლოზუნგები აქვს, ზოგს პრორუსული და ზოგსაც – ნეიტრალიტეტის მხარდამჭერი. ისინი იბრძვიან ძალაუფლებისთვის. ბუნებრივია, რომ ამ ძალებს არ აინტერესებთ ქართული სახელმწიფოს გაძლიერება. როცა საჭიროდ ჩაითვლება, აქტიურ პოლიტიკაში უშვებენ სხვა, დამატებით ძალებს. ასეთი პროცესები წლებია მიმდინარეობს. ამ პროცესებში უნდათ მოსახლეობის ჩართვა.

***– ანუ, „ქართული ოცნება“ და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა დაშვებული პოლიტიკური ძალებია?***

– რა თქმა უნდა! მათ ერთმანეთში მცირე კონკურენცია აქვთ, თორემ „ქართული ოცნებისა“ და ნაცმოძრაობის ბუნება ერთნაირია. ამ მსგავსებაში ბოლო დროს ძალიან ბევრი დარწმუნდა. 2012 წელს, როცა „ქართული ოცნება“ გამოჩნდა, მაშინ მისი ნახევარი ნაცმოძრაობის წარმომადგენელი იყო. ისევე, როგორც 2003 წელს ნაციონალური მოძრაობის ნახევარს შეადგენდა მოქალაქეთა კავშირი. მრგვალ მაგიდასა და მის მოწინააღმდეგეს შორის დაპირისპირებაში მთავარი აღმოჩნდა ბრძოლა ქობალიასა და კიტოვანს შორის.

***– რისთვისაა საჭირო ხელჩართული ბრძოლა ნაცმოძრაობასა და „ოცნებას“ შორის?***

– უნდათ, საზოგადოება დრამატულ სპექტაკლებში ჩართონ. საზოგადოების ყურადღება ამაზე გადავა. მთავარი ძალები წინა პლანზე უნდა იყვნენ. ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ არ იხილებოდეს ქართული სახელმწიფოსათვის მთავარი პრობლემები. უნდა შენარჩუნდეს არსებული პრაქტიკა. ამ პრაქტიკის გამოყენებით სააკაშვილმა თავის დროზე გადაარჩინა შევარდნაძე. დაჭერებზე სააკაშვილმა ბევრი იყვირა, მაგრამ სულ 2 თუ 3 კაცი დააკავეს და მალე გამოუშვეს.

ყველამ ვნახეთ, როგორ გადაარჩინა „ქართულმა ოცნებამ“ ნაციონალური მოძრაობა. დღეს რომ ნაციონალური მოძრაობა ბედავს და აცხადებს, შემოდგომაზე ხელისუფლებაში ვბრუნდებიო, ეს ივანიშვილის ბრალია. ხელჩართული და სისხლიანი ჩხუბი, რომელიც შუალედური არჩევნების დღეს კორცხელში გაიმართა, ასევე ამა თუ იმ პარტიის ყრილობა, ამ პროცესების მაჩვენებელია.

***– პაატა ბურჭულაძის პარტიის ყრილობა დამფუძნებელი იყო. ის სიახლეებს ჰპირდება ხალხს.***

– მერედა რა სიახლე მოვისმინეთ? უფრო სამართლიანი და კეთილშობილი მინდა ვიყოო, ესაა მისი განცხადება. სადაა პოლიტიკური პრინციპები! ჩვენ ისევ არ ვმსჯელობთ სახელმწიფოებრივ საკითხებზე, პროგრამებზე, ტერიტორიულ მთლიანობაზე, საქართველოს განვითარებაზე. გამოვიდნენ ლიდერები და გვითხრან, უნდა არსებობდეს თუ არა საქართველოს ტერიტორიაზე ისეთი სახელმწიფოებრივი ერთეული, როგორიცაა სამხრეთ ოსეთი! გაგვაგებინონ, რა გეგმა აქვთ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების თაობაზე! რა ღირებულებათა სისტემა აქვთ!

***– აღნიშნეთ, რომ დაშვებულ პარტიებს სხვადასხვა ორიენტაცია აქვთ. სად ჩანს მათი საქმიანობა?***

– საუბედუროდ, რუსეთი ისეთი დასუსტებული არ არის, რომ არაფერი ილონოს. ამბობენ, რუსეთი არაფერს წარმოადგენსო. თუ არაფერს წარმოადგენს, მაშინ რატომ ვართ ამ დღეში? რუსეთს 100 ათასი აგენტი რომ ჰყავდა, ეს ადამიანები სად გაქრნენ? ისინი არსად გამქრალან. ზოგიერთი მათგანი ენერგიულად აფრიალებს პროდასავლურ დროშას და უზრუნველყოფს საბაბს, რომ რუსეთმა საქართველო გალახოს.



### „ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ქართული სახელმწიფოსათვის მთავარი პრობლემები არ იხილებოდეს“

ნაციონალებისა და რესპუბლიკელების ყალბმა დასავლურობამ მიგვიყვანა იქამდე, რომ საზოგადოებაში შემცირდა დასავლეთის იმედი. არადა, 1990-იან წლებში ასეთი იმედი ხალხის 90%-ზე მეტს ჰქონდა! ბოლოდროინდელი სისხლიანი დრამებით და სხვა მოქმედებებითაც ხდება დასავლეთთან დაახლოების შეფერხება და საზოგადოებაში დასავლეთისადმი იმედის კიდევ უფრო კლება.

***– პრორუსული პარტიები ღიად მოქმედებენ?***

– რა თქმა უნდა. ზოგიერთ პარტიას რელიგიური საბურველიც აქვს. ასეთი ლიდერები ლაპარაკობენ რუსეთთან ერთმორწმუნეობაზე. საქართველოში რუსეთიდან სხვადასხვა იდეა და მიმართულება შემოდიოდა. მათ შორის, ლიბერალური. საშინელება ისაა, რომ რუსეთის ადრინდელი ლიბერალები, მაგალითად, დეკაბრისტები, კავკასიის მიმართ ისევე დამპყრობლურად იყვნენ განწყობილი, როგორც „დერჟავნიკები“.

***– თქვენს პარტიასაც ხომ აქვს კავშირი ევროპასთან? თქვენ რატომ ვერაფერს ახერხებთ?***

– სახალხო პარტიას ნამდვილად გვაქვს კავშირები ევროსტრუქტურებთან, მათ შორის, ევროპის სახალხო პარტიასთან. ჩვენ კონტაქტებს არ ვწყვეტთ და იმ დოზით ვახერხებთ დასავლური და სახელმწიფოებრივი იდეების პოპულარიზაციას, ევროინტეგრაციის ხელშეწყობას, რა დოზითაც გვეძლევა ამის საშუალება. ევროპელ პოლიტიკოსებთან ურთიერთობისათვის სტატუსი არ გვჭირდებოდა, რაც არ აღმოჩნდა მოსაწონი სააკაშვილისათვის, რომელმაც ჩვენ ბრძოლა გამოგვიცხადა. ახლაც არა ვართ აქტიურ სივრცეში.

მადლობა „ახალ თაობას“ და კიდევ რამდენიმე მედიასაშუალებას, რომლებიც ჩვენთან თანამშრომლობენ. პარლამენტში როცა ვიყავით, მაშინ პარლამენტს არც ერთი ანტისახელმწიფოებრივი გადაწყვეტილება და კანონი არ მიუღია. ასეთები სხვა მოწვევების შემადგენლობებმა მიიღეს. საზოგადოებამ ბევრი ნახა. ხალხმა ისიც უნდა გააანალიზოს, რომ საქართველოს ხელისუფლებაში არ უნდა იყვნენ გარედან მართული ძალები. საქართველოს პოლიტიკა შიდა დუღილის პროდუქტი უნდა გახდეს.



# მარიო ბალოტელის ძმა აფხაზეთში მიმდინარე „მსოფლიო ჩემპიონატში“ მონაწილეობს

## იაპონიის კორეის ნაკრებში შოთა აიბა აღმოაჩინეს

შორენა მარსაგიშვილი

აფხაზეთში მიმდინარე არაღიარებულთა მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატზე დიდი ამბები ტრიალებს. ამ ჩემპიონატის წყალობით ხალხმა ისეთი ქვეყნების შესახებ გაიგო, რომლებიც რუკაზეც კი არ არსებობენ.

ტურნირის სენსაცია აფხაზებისთვის იაპონიის კორეის ნაკრებში მოთამაშე შოთა აიბა აღმოჩნდა. აფხაზები სიხარულით გადაირივნენ და გაიძახოდნენ, ნახეთ, ჩვენებური ბიჭი სად წასულაო.

როგორც აფხაზური მედია იუწყება, მათ კორეელი ნათესავი მატჩის დაწყების წინ აღმოაჩინეს.

აფხაზებმა კორეელ აიბას ამცნეს, რომ მისი გვარი და სახელი – შოთა აფხაზეთში ძალიან გავრცელებულია. ამაზე კორეელს ბევრი უცინია და უთქვამს, რომ ეს სასიამოვნო დამთხვევაა.

სოხუმში განსაკუთრებით იმით არიან აღფრთოვანებული, რომ ამ შოთას პირობა დაუდია, აფხაზურს ვისწავლიო.

– სამწუხაროა, რომ აფხაზი არ ვარ, მაგრამ სასიამოვნოა, რომ ჩემი გვარი და სახელი ძალიან ჰგავს აფხაზეთში გავრცელებულ სახელსა და გვარს. აქამდე არასდროს არაფერი მსმენია აფხაზების და აფხაზეთის შესახებ. როგორც კი დროს გამოვნახავ, აუცილებლად შევისწავლი აფხაზურ ენას და აიბას გვარის ისტორიას, – განაცხადა კორეელმა აიბამ.

ტურნირის საერთაშორისო სენსაციად კი ცნობილი ფეხბურთელის მარიო ბალოტელის ძმა აღმოჩნდა. ის ბრიტანული გაზეთ „თაიმსის“ ჟურნალისტმა ტომ პარაფიტიმ აღმოაჩინა.

პარაფიტის ინფორმაციით, მარიო ბალოტელის ძმა ენოკი პადანიის ნაკრებში თამაშობს.

ბრიტანელმა ჟურნალისტმა გამოაქვეყნა ფოტოც, სადაც გამოსახულები არიან ფეხბურთელი ძმები ენოკ და მარიო ბალოტელები. ცნობისათვის, მარიო საფეხბურთო კლუბ „მილანისა“ და იტალიის ეროვნული ნაკრების თავდამსხმელია.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბალოტელის ძმის გუნდი ანუ პადანიის ნაკრები ტურნირის ფავორიტად ითვლება. ამ გუნდმა პირველ მატჩში რეციის ნაკრები ანგარიშით 6:0 დაამარცხა.

ყველაზე დაუნდობლად მეტოქეს აფხაზები მოექცნენ. მათმა ნაკრებმა ჩაგოსის ნაკრები 9:0 გაანადგურა. ამავე ქვეჯგუფში ასპარეზობს დასავლეთ სომხეთის ნაკრებიც. რომელიც, როგორც ამბობენ, აფხაზეთში და რუსეთში მცხოვრები სომხებით არის დაკომპლექტებული.

მატჩები სოხუმსა და გაგრაში იმართება. აფხაზებმა ძლივს მოასწრეს სტადიონების შელამაზება. სტუმრების მოსაზიდად მათ საიტებზე თბილისის დინამოს სტადიონის ფოტო განათავსეს და სოხუმის სტადიონად გაასაღეს.



**მკურნალობა მამაკაცებისთვის!**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.

**კონსულტაცია უფასოა!**

☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# ტრამპსა და ჰილარის ოფიციალური კონკურენტი გამოუჩნდა



აშშ-ს ლიბერტარიანულმა პარტიამ თავის ყრილობაზე პრეზიდენტობის კანდიდატი აირჩია. ეს პატივი ნიუ მექსიკოს შტატის ყოფილ გუბერნატორ ჰარი ჯონსონს (დაბ. 1953 წ.) ერგო.

ლიბერტარიანული პარტია 1917 წელს შეიქმნა. მისი იდეოლოგია რესპუბლიკური პარტიის იდეოლოგიას წააგავს. ლიბერტარიანელები მშვიდობის დაცვის, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის, სიტყვის თავისუფლების იდეებით გამოდიან.

# ვიტოლდ ვაშჩიკოვსკი: „ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა რუსეთს საფრთხეს არ უქმნის“



პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვიტოლდ ვაშჩიკოვსკიმ განაცხადა, რომ მის ქვეყანაში ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის განთავსება რუსეთის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი არაა.

– ეს ახლო აღმოსავლეთიდან მომავალი საფრთხის წინააღმდეგაა მიმართული, – აცხადებს ვაშჩიკოვსკი.

პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ რუსეთის აგრესიის შემაკავებელ ფაქტორად პოლონეთში ნატოს ჯარების განლაგებაც საკმარისია.

– ნატო რუსეთზე ბევრად ძლიერია და ეს მოსკოვის აგრესიის შესაკავებლად სავსებით საკმარისია, – ამბობს ვაშჩიკოვსკი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# მკურნალი მცენარე

**ასკილი** – ვარდისებრთა ოჯახის ეს წარმომადგენელი 1-3 მ სიმაღლის ბუჩქია. გავრცელებულია მთელ საქართველოში. ტოტები კაუჭა ეკლებითაა აღჭურვილი, ყლორტები მწვა-



ნეკანიანია, ღერო – ნაცრისფერქერქიანი. ყვავის მაის ივნისში. აქვს თეთრი ან მოვარდისფრო სურნელოვანი ყვავილები. ნაყოფი მწიფდება აგვისტო სექტემბერში. ნაყოფი შეიცავს ვიტამინებს, ფლავონოლურ გლიკოზიდებს, შაქარს, პექტინს, ლიმონის, ვაშლისა და სხვა მჟავებს, კაროტინს, ლიკოპონს და რუბიქსანტინს. ფოთლები და ფესვები მდიდარია მთრიმლავი ნივთიერებებითაც. ასკილის ნაყოფი გამოიყენება ავიტამინოზების, ჰემორაგიული დიათეზის, არტერიოსკლეროზის, ჭრილობების და ძვლების შეხორცების დასაჩქარებლად, ინფიცირებული ჭრილობებისა და საშვილოსნოდან სისხლდენისას. ნაყოფში შემავალი ვიტამინი გამოიყენება ჰიპოვიტამინოზის (ქათმის სიბრმავე, ქსეროფტალმია), აგრეთვე თირკმლების და ნაღვლის ბუშტის კენჭოვანი დაავადებების დროს. ასკილის ნაყოფის ექსტრაქტი გამოიყენება, როგორც ნაღვლის დენის გამაძლიერებელი საშუალება ქოლეცისტიტის და ჰეპატიტების დროს.

ასკილის ფოთლებსა და ფესვებს კუჭის დაავადებების დროს იყენებენ, მათ შორის, კუჭაშლილობის სამკურნალოდაც. ასკილის ნაყოფებს კუჭის, ნერვების, გულისა და თვალის, აგრეთვე სისხლის დაავადებების დროს იყენებენ. ფოთლების ჩაი კარგად მოქმედებს კუჭის მოტორულ ფუნქციაზე. მისი ფოთლების ნახარში ხალხში მიჩნეულია საუკეთესო საშუალებად ორგანიზმში ყოველგვარი ქვის დასაშლელად. ასკილის ნაყოფის რბილობისგან მიღებული პრეპარატები გამოიყენება კანის სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ.

* * *

**ევკალიპტი** – სწრაფმზარდი მარადმწვანე 50-70 (100) მ სიმაღლის ხეა მძლავრი ფესვთა სისტემითა და მკვრივი მერქნით. ღეროსა და ტოტების ქერქი მოთეთრო რუხია (ნაცრისფერი), რომელიც გრძელ ფილებად სძვრება ყოველწლიურად. ყლორტები ოთხწიბოიანია და ისე, როგორც ფოთლები, ნაცრისფერი ნაფიფქითაა დაფარული. მისთვის დამახასიათებელია ნაირფოთლიანობა. ბუნებრივად გავრცელებულია ავსტრალიასა და კუნძულ ტასმანიაზე. კულტივირებულია შავი ზღვის სანაპირო ზოლში, უმთავრესად აჭარასა და აფხაზეთში. ლურჯი, ანუ სფერული ევკალიპტი, სხვა სახეობის ევკალიპტებთან შედარებით, რამდენადმე უფრო ყინვაგამძლეა.



ევკალიპტის ზეთი და ფოთლების ნაყენი ანტისეპტიკური თვისებების გამო ფართოდ გამოიყენება, როგორც საინჰალაციო საშუალება სასუნთქი გზების დაავადების, ლარინგიტის, ტრაქეიტის, კატარალური და ჩირქოვანი ბრონქიტის, აბსცესისა და ფილტვის განგრენის დროს, აგრეთვე ინფიცირებული ჭრილობების, კანზე გამონაყარისა და წყლულების მოსაბანად. ნაყენი კუჭ ნაწლავის მწვავე დაავადებების დროს გამოიყენება, მასვე ხმარობენ კანის ზოგიერთი ჩირქოვანი დაავადების სამკურნალოდ. დიდი გამოყენება აქვს ევკალიპტის ზეთს სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ.

ევკალიპტის ფოთლები ცხელი ნაყენის სახით გამოიყენება (5 გრამი ფოთოლი ერთ ჭიქა წყალზე) ბრონქიტისა და ბრონქიალური ასთმის დროს. ამავე დაავადებების დროს უფრო ეფექტურად მოქმედებს ევკალიპტის ეთერზეთი ინჰალაციის წესით გამოყენებისას. მზესუმზირას ზეთში გახსნილი ეთერზეთი კარგი საშუალებაა ცხვირის ლორწოვანი გარსის ანთებისას (ზეთს ისხამენ ცხვირის ნესტოებში გრიპისა და რესპირატორული დაავადების დროს); ევკალიპტის ეთერზეთი, სხვა ეთერზეთებთან ერთად (ქაფურის, ქაფურის სპირტთან და სხვ.), ეფექტურად მოქმედებს გაციებით გამოწვეული დაავადებების და რევმატიზმის წინააღმდეგ, იზელენ მტკივნეულ ადგილს.

# რამდენი მარილი უნდა მიიღოს ბავშვმა

უმარილო კერძს რომ გემოს ვერ ჩაატან, ეს ქართული სუფრის მოყვარულებმა კარგად იციან. თუმცა, მის დოზასაც გაკონტროლება სჭირდება ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად, განსაკუთრებით ბავშვთა ასაკში. ალბათ ბევრმა არც კი იცის, რომ ფენოვანი ხაჭაპური დაახლოებით 3 გრამ მარილს შეიცავს. მოზარდთათვის არანაკლებ საყვარელი კარტოფილის ფრი კი – 0,9 გრამ მარილს. თუ ამ ციფრებს შევკრებთ, 3,9 გრამს მივიღებთ. ეს დოზა კი 6 წლის ასაკში დასაშვებ დღიურ დოზას აღემატება.





მარილის მსოფლიო კვირეულს კრაგა ხანია აღნიშნავენ ევრპაში, აზიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში. წელს ამ კვირეულს საქართველოც შეუერთდა. მსოფლიო კვირეულის დევიზი „მარილი და ბავშვები“ გახლავთ. კვირეულის მთავარ მიზანს, ბავშვებში მარილის მოხმარების შემცირება წარმოადგენს. ასევეა მარილის მოხმარების დღიური ნორმატივების დადგენა ბავშვთა ასაკში, აღნიშნულის შესახებ მშობლებისა და აღმზრდელების ინფორმირება.

როგორც სპეციალისტები ამბობენ, ბავშვების რაციონში მოზრდილებთან შედარებით, მარილი ნაკლებად უნდა იყოს გამოყენებული. დღიური მოხმარების ლიმიტი, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, ასეთია – 7-12 თვის ბავშვმა დღე ღამეში მხოლოდ ერთი გრამი მარილი უნდა მიიღოს. 1-3 წლის ბავშვმა – ორი გრამი; 4-6 წლის ასაკისათვის 3 გრამის მიღებაა მიზანშეწონილი, 7-10 წლის ბაშვები დღეში 5 გრამს უნდა დასჯერდნენ; 11-14 წლის მოზარდები კი – 6 გრამ მარილს.

რადგან მარილის ჭარბად მოხმარება ზრდის ინსულტის განვითარების რისკს (ასევე წამყვანი რისკ ფაქტორია გულ სისხლძარღვთა დაავადებების განვითარებისა), ბავშვთა ასაკიდანვე უნდა მიექცეს ყურადღება სათანადო დოზების დაცვას. როგორც კარდიოლოგები ამბობენ, მოზარდ ასაში იწყება გულ სისხლძარღვთა დაზიანება ჭარბად მოხმარებული მარილის გამო, რომელიც უსიმპტომოდ მიმდინარეობს. მოზარდობის ასაკიდან ორგანიზმი უკვე დაზიანებული სისხლძარღვებით გამოდის. ამასვე ემატება მოზრდილობის მავნე ჩვევები და იზრდება ინფარქტისა და ინსულტის განვითარების რისკი.

# საუდის არაბეთში კატებთან სელფი აკრძალეს

ცნობილმა არაბმა ღვთისმსახურმა შეიხ სალახ ბინ ფაუზან ალ-ფაუზანმა განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ კატებთან ერთად გადაღებული ფოტოსურათების გამოქვეყნება აკრძალულია.

მისი თქმით, საუდის არაბეთის მოქალაქეები ამგვარად ბაძავენ დასავლურ კულტურას. ამასთან სელფიზე აკრძალვა მოქმედებს არა მხოლოდ კატებთან მიმართებაში, არამედ ძაღლებზე, მგლებზე და სხვა ნებისმიერ ცხოველზე.

გარდა ამისა, აკრძალვა შეეხო იმ მაგიდის თამაშებს, რომლებიც მულტფილმ „პოკემონის“ მოტივებზეა შექმნილი. სასულიერო პირმა ასევე განაცხადა, რომ მულტსერიალის გმირი მისი ქვეყნის მოქალაქეებს აზარტისკენ უბიძგებს და ეს ისლამის კანონებს ეწინააღმდეგება.



**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# განცხადებები

### იყიდება

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 593 50-16-08.

### მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ხანგრძლივი პრაქტიკული და კლინიკური გამოცდილების ექიმი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სასქესო ორგანოების დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ ყველა სნეულებას, უშვილობას მამაკაცებში. გვაქვს საიმედო „ერექტორები“. კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გალიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# საქართველო ოკეანეთისთვის დაირაზმა



საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები ივნისში ტურნეს ოკეანეთში გამართავს და ტესტ-მატჩებში სამოას, ტონგასა და ფიჯის დაუპირისპირდება. თამაშები შესაბამისად, 11, 18 და 24 ივნისს ჩატარდება.

ბორჯღალოსნების მთავარმა მწვრთნელმა მილტონ ჰეიგმა ისტორიული ტესტ-მატჩებისთვის ნაკრებში გამოძახებულ მორაგბეთა სია გამოაქვეყნა, რომელიც დიდად არ განსხვავდება ბოლო ევროპის ერთა თასზე მოასპარეზე შემადგენლობისგან. ახალზელანდიელმა მთავარმა მწვრთნელმა გუნდში ამჯერად ორ ახალწვეულს უხმო – გიორგი მჭედლიშვილსა (ჯიქი) და ანზორ სიჭინავას (აკადემია).

**საქართველოს ნაკრების შემადგენლობა სადღეისოდ ასეთია:**

**უკანა ხაზი:** მერაბ კვირიკაშვილი, ბექა წიკლაური, სანდრო თოდუა, გიორგი ფრუიძე, ანზორ სიჭინავა, დავით კაჭარავა, მერაბ შარიქაძე, თამაზ მჭედლიძე, ლაშა მალაღურაძე, ლაშა ხმალაძე, რევაზ ჯინჭველაშვილი, გიორგი ბეგაძე, ვაჟა ხუციშვილი;

**წინა ხაზი:** ზურაბ ჟვანია, კახა ასიეშვილი, შალვა მამუკაშვილი, ჯაბა ბრეგვაძე, ანტონ ფეიქრიშვილი, ირაკლი მირცხულავა, ნიკა ხატიაშვილი, გიორგი ჩხაიძე, გიორგი ნემსაძე, ნოდარ ჭეიშვილი, შალვა სუთიაშვილი, გიორგი თხილაიშვილი, ლაშა ლომიძე, ბექა ბიწაძე, საბა შუბითიძე, გიორგი მჭედლიშვილი.

# ზუგდიდი უმაღლესში დარჩა



**ზუგდიდი – კოლხეთი (ხ) 2:1**

**ფოთი.** პარკი არენა

0:1 ჭანტურიძე (29), 1:1 ლ.წურწუმია (45), 2:1 გ.სამუშია (51)

**ზუგდიდი:** ჯომიდავა, ქანთარია, ჩუკურა, გაგოშიძე, ჯავაშვილი, ჭანტურია (ჩანადირი 89), მალანია (თიბილაშვილი 48), სიხარულია, გ.სამუშია, ლ.წურწუმია, თუთბერიძე (ც.სამუშია 72)

**კოლხეთი:** გელაშვილი, ფიფია, ონიანი, ვართაგავა, ლოლუა, ჭანტურიძე (აკა 81), მეფიშვილი, ჭედია (თევზაძე 50), ლომაია (არქანია 85), ბაკურაძე, გ.წურწუმია

**გაძევება:** გ.სამუშია (58), გ.წურწუმია (74)

ფოთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის პლეი-ოფის მატჩი გაიმართა. „პარკი არენაზე" ერთმანეთს ზუგდიდი და ხობის კოლხეთი დაუპირისპირდნენ.

მატჩმა მოსალოდნელზე მეტი დაძაბულობა და ინტრიგა შეიძინა – უმოტივაციოდ მიჩნეულმა პირველლიგელმა კოლხეთმა (უმაღლესი ლიგის საგზური რომ მოეპოვებინა, ელიტაში ვერ აღზევდებოდა) ბოლომდე იბრძოლა, განსაკუთრებით პირველ ტაიმში, რომელშიც ინიციატივას ფლობდა.

29-ე წუთზე კოლხეთმა ანგარიშიც გახსნა: ზუგდიდელთა მცველებმა მიუტევებელი შეცდომა დაუშვეს – რაფაელ ჩუკურა ბურთის გატარებას ცდილობდა, მას ჭედიამ აჯობა, რომლის პასის შემდეგ, ჭანტურიძემ ბურთი ცარიელ კარში შეაგორა.

მოვლენათა ასეთი განვითარება, ზუგდიდელთათვის არასასიამოვნო იყო და აქცენტი შეტევებზე გააკეთეს. ხობელები პირველი ტაიმის სასურველი შედეგით დასრულებას ლამობდნენ, თუმცა მათ მცდელობას ცივი წყალი ლევან წურწუმიამ გადაასხა. ტაიმის ბოლო წუთზე, ხობელთა საჯარიმოს სიახლოვეს ჯარიმა დაინიშნა, სტანდარტული კი ლევან წურწუმიამ უზადოდ შეასრულა და გელაშვილს აუღებელი დაურტყა.

მეორე ტაიმი ზუგდიდელთა შეტევებით განახლდა. აქტიურობამ შედეგი 51-ე წუთზე გამოიღო, გურამ სამუშიამ საჯარიმოს მისადგომებთან რამდენიმე მოწინააღმდეგე მოატყუა და მეკარესთან პირისპირ დარჩენილს გატანა აღარ გასჭირვებია.

58-ე წუთზე ფეხბურთელებს შორის შეხლა-შემოხლა მოხდა და თამაში რამდენიმე წუთით დაიძაბა. საბოლოოდ, ვადაჭკორიამ რამდენიმე ფეხბურთელს გაფრთხილება მისცა, რომელიც ზუგდიდელთა კაპიტნისთვის და მე-2 გოლის ავტორ სამუშიასთვის მე-2 (პირველი გაფრთხილება გოლის გატანის შემდეგ მაისურის გახდისთვის მიიღო) აღმოჩნდა და მოედნის დატოვება მოუხდა.

ამ მომენტში ვადაჭკორიამ გიგა წურწუმიაც გააფრთხილა, რომელსაც 74-ე წუთზე მეორე ყვითელი ბარათი აუფრიალეს და მოედანზე თანაფარდობა აღდგა.

ბოლო წუთებზე დაძაბულობამ იმატა და ხობელები უტევდნენ, თუმცა შედეგი არ შეცვლილა და ზუგდიდმა შეხვედრა სასურველ დასასრულამდე მიიყვანა, რითაც უმაღლეს ლიგაში დარჩენა გაინაღდა.

# ბარსელონა მცველებს ეძებს



ბარსელონა ევერტონის ცენტრალური მცველის, ჯონ სთოუნზის შეძენას აპირებს. ამ ინფორმაციას ინგლისური მედია ავრცელებს.

ინგლისური წყაროს ცნობით, კატალონიური კლუბი 22 წლის ფეხბურთელში 33 მილიონი ევროს გადასახდელად მზადაა, თუმცა მერსისაიდელები 59 მილიონს ითხოვენ.

ბარსელონას ახალგაზრდა ინგლისელის ყიდვა მასკერანოს შესაძლო წასვლის გამო სურს. კატალონიელები, მისი ვერშეძენის შემთხვევაში, პსჟ-ს მცველის, მარკინიოსის გადმობირებას შეეცდებიან.

ინგლისის ჩემპიონატის გასულ სეზონში ჯონ სთოუნზმა 33 მატჩი ჩაატარა. მისი შეძენის სურვილს, ბარსელონასთან ერთად, მანჩესტერული კლუბები, იუნაიტედი და სიტი გამოთქვამენ.

კატალონიური მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად კი, ბარსელონა ლას პალმასთან ურუგვაელი ცენტრალური მცველის, მაურისიო ლემოსის ტრანსფერზე აწარმოებს მოლაპარაკებებს.

20 წლის ურუგვაელი ლას პალმასს იანვარში შეუერთდა. მან ესპანეთის ჩემპიონატის გასულ გათამაშებაში 10 მატჩი ჩაატარა და იმდენად კარგად ითამაშა, რომ ბარსელონას ყურადღება მიიქცია.

კატალონიურმა კლუბმა ლას პალმასთან მოლაპარაკებები უკვე დაიწყო. ამჟამად, ბარსელონა ლემოსში ლას პალმასს 8 მილიონ ევროს სთავაზობს, მაგრამ კანარიული კლუბის ხელმძღვანელობას ეს არ აკმაყოფილებს.

# ერაყში რეალის ფანები ჩაცხრილეს



საფეხბურთო კლუბ მადრიდის რეალის ფანები ერაყში კვლავ დახოცეს. ტერაქტი ერაყის დედაქალაქ ბაღდადიდან 60 კილომეტრში ქალაქ ბააქუბაში მოხდა. უეფას ჩემპიონთა ლიგის ფინალის მატჩის დროს, რომელშიც ერთმანეთს მადრიდული კლუბები რეალი და ატლეტიკო ხვდებოდნენ, 4 ტერორისტი შენობაში შევარდა, სადაც რეალის გულშემატკივრები იყვნენ და მხეცურად გაუსწორდნენ.

ფეხბურთელები უკვე პენალტების დასარტყმელად ემზადებოდნენ, როდესაც შენობაში ავტომატიანი ადამიანები შეიჭრნენ და უმისამართო ცეცხლი გახსნეს.

ტერაქტის შედეგად 18-დან 30 წლამდე 12 ადამიანი დაიღუპა და 8 დაიჭრა, რომელთა მდგომარეობა ჯერ უცნობია.

გეტყვით იმასაც, რომ ერაყში ტერორისტები რეალის ქომაგებს 13 მაისსაც დაესხნენ. ეს ქალაქ ბალადში მოხდა და მაშინ 16 ადამიანი გარდაიცვალა, ხოლო 20 დაშავდა.

ერაყის ხელისუფლებამ მომხდარზე პასუხისმგებლობა ისლამურ სახელმწიფოს დააკისრა.

# შედეგები

**29 მაისი**

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ლაოსი-ნეპალი | 1:1 |
| კენია-ტანზანია | 1:1 |
| მაკედონია-აზერბაიჯანი | 3:1 |
| ალბანეთი-ყატარი | 3:1 |
| გერმანია-სლოვაკეთი | 1:3 |
| ესპანეთი-ბოსნია | 3:1 |
| რუმინეთი-უკრაინა | 3:4 |
| თურქეთი-ჩერნოგორია | 1:0 |
| იტალია-შოტლანდია | 1:0 |
| პორტუგალია-ნორვეგია | 3:0 |
| კოლუმბია-ჰაიტი | 3:1 |
| ბრაზილია-ჰაიტი | 2:0 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ალავესი-ნუმანსია | 2:0 |
| ალბასეტე-ბილბაო ბ | 2:1 |
| ალმერია-მირანდესი | 2:1 |
| ხირონა-ალკორკონი | 2:0 |
| ლეგანესი-ლიაგოსტერა | 2:0 |
| ლუგო-ხიმნასტიკი | 0:3 |
| მალიორკა-კორდობა | 0:1 |
| ოსასუნა-უესკა | 2:3 |
| სარაგოსა-ოვიედო | 1:0 |
| ტენერიფე-პონფერადინა | 1:1 |
| ელჩე-ვალიადოლიდი | 2:2 |

**იტალია. სერია ბ**

**პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| ნოვარა-პესკარა | 0:2 |

**შვეიცარია. თასი**

**ფინალი**

| | |
|---|---|
| ციურიხი-ლუგანო | 1:0 |

**ბელგია. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| გენკი-შარლერუა | 5:1 |

**დანია. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ბრონდბიუ-სონდერიისკე | 1:2 |
| ვიბორგი-ჰობრო | 1:0 |
| მიდტიულანდი-ნორდსიელანდი | 4:1 |
| ოდენსე-ოლბორგი | 3:2 |
| რანდერსი-ესბიერგი | 3:1 |
| კოპენჰაგენი-ორხუსი | 2:1 |

**შვედეთი. ალსვენსკა**

| | |
|---|---|
| ფალკენბერგი-კალმარი | 1:2 |
| ჰამარბი-გეფლე | 2:1 |
| ჰელსინბორგი-გიოტებორგი | 1:3 |
| ნორჩიოპინგი-ელფსბორგი | 0:0 |
| ჰაკენი-დიურგარდენი | 3:1 |

**ნორვეგია. ტიპელიგა**

| | |
|---|---|
| სონგდალი-ლილესტრიომი | 2:2 |
| ოდ გრელანდი-სტრომგოდსეტი | 2:1 |
| ბრანი-ჰაუგესუნდი | 1:0 |
| ვიკინგი-ბოდო გლიმტი | 2:0 |
| სტარტი-სტაბეკი | 0:5 |

*სტაბეკის მე-2 გოლი გიორგი გოროზიამ გაიტანა*

| | |
|---|---|
| ალესუნდი-ვალერენგა | 2:2 |

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

| | |
|---|---|
| მარიეჰამნი-ვაასა | 2:2 |
| კუუპიო-ჰიკი | 0:0 |
| ჰიფკი-ილვესი | 0:1 |

**ჩოგბურთი**

**როლან გაროსი**

**კაცები**

| | |
|---|---|
| რაონიჩი-მარტინი | 7:6,6:2,6:3 |
| რამოსი-სოკი | 6:7,6:4,6:4,4:6,6:4 |
| ტროიცკი-სიმონი | 6:4,6:2,6:2 |
| ვავრინკა-შარდი | 6:4,6:3,7:5 |
| ნიშიკორი-ვერდასკო | 6:3,6:4,3:6,2:6,6:4 |
| გასკე-კირგიოსი | 6:2,7:6(7),6:2 |
| ისნერი-გაბაშვილი | 7:6,4:6,2:6,6:4,6:2 |
| მარეი-კარლოვიჩი | 6:1,6:4,7:6 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| ბეგუ-ბეკი | 6:4,2:6,6:1 |
| როჯერსი-კვიტოვა | 6:0,6:7,6:0 |
| კუზნეცოვა-პავლიუჩენკოვა | 6:1,6:4 |
| მუგურუსა-ვიკმაიერი | 6:3,6:0 |
| ჰალეპი-ოსაკა | 4:6,6:2,6:3 |
| სტოსური-საფაროვა | 6:3,6:7,7:5 |
| პირონკოვა-სტივენსი | 6:2,6:1 |
| ა.რადვანსკა-სტრიკოვა | 6:2,6:7,6:2 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# მარკუს რეშფორდმა მანჩესტერ იუნაიტედთან ახალი კონტრაქტი გააფორმა



წლევანდელი საფეხბურთო სეზონის ერთ-ერთმა მთავარმა აღმოჩენამ მანჩესტერ იუნაიტედის ფორვარდმა მარკუს რეშფორდმა თავის გუნდთან ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი.

რეშფორდმა მანჩესტერის პირველ გუნდში თამაში თებერვლიდან დაიწყო და რამდენიმე ძალიან ლამაზი გოლი გაიტანა, რის შემდეგაც ის ინგლისის ნაკრებშიც მიიწვიეს. ახალი კონტრაქტის თანახმად, რეშფორდი მანჩესტერში 2020 წლის ჩათვლით ითამაშებს და მისი ანაზღაურებაც საგრძნობლად გაიზრდება.

მარკუსი ჯერ მხოლოდ 18 წლის არის და ინგლისში მასზე უკვე დიდ იმედებს ამყარებენ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის განწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

## ძაღლი-ფოტოგრაფი ინტერნეტის ვარსკვლავად იქცა



ძაღლი-ფოტოგრაფი სახელად ტულა ინტერნეტის ვარსკვლავი გახდა. ამერიკული გამოცემები მას ნიჭიერ არსებად მოიხსენიებენ და წერენ: „შესაძლოა მისი ინსტაგრამი თქვენსაზე უკეთესიც იყოს“.

ოთხი წლის ფოტოგრაფი სურათებს კამერა გოპროს დახმარებით იღებს, რომელიც საშუალებას იძლევა, ძაღლები ძაღლის თვალით დავინახოთ. ტულას მიერ გადაღებული ფოტოები ქვეყნდება ინსტაგრამში, ტვიტერსა და ფეისბუქში.

ძაღლის ფოტოგრაფად გადაქცევის პროექტის ავტორები მინესოტელი ოჯახის წევრები არიან.

– ყოველთვის მიყვარდა ფოტოგრაფია და ყოველთვის მიყვარდა ძაღლები, – განაცხადა 17 წლის სიუზი კიკსმელერმა. მისი თქმით, თავდაპირველად ის ცდილობდა თავად გადაეღო სურათები, მაგრამ ყოველი მიახლოებისას ძაღლები თამაშს წყვეტდნენ. ამის შემდეგ გადაწყვიტეს, რომ სურათებზე პასუხისმგებლობა ტულასთვის დაეკისრებინათ და მათი აზრით, სურათები მართლაც შესანიშნავები გამოდის.

## ყვავმა-რეციდივისტმა დანაშაულის ადგილიდან ნივთმტკიცება გაიტაცა

ყვავი, სახელად კენაკი, რომელიც კანადაში ბინადრობს და ხშირად აქვს კონფლიქტი ვანკუვერის პოლიციასთან, ვინაიდან იპარავდა დანებს, გასაღებებს და პოლიციის მანქანების მოწყობილობებსაც კი, კვლავ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა სამიზნედ იქცა.



– კენაკმა დანაშაულის ადგილიდან დანის გატაცება სცადა. ის შეეცადა დანით გაფრენილიყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც მას პოლიციელები გამოეკიდნენ, მხოლოდ 8-9 მეტრი იფრინა და შემდეგ დანა დააგდო, – ნათქვამია ვანკუვერის პოლიციის დეპარტამენტის მოხსენებაში.

აღსანიშნავია, რომ სამართალდამცავების მისი იდენტიფიცირება არ გასჭირვებიათ ერთ-ერთ ფეხზე შებმული ნარინჯისფერი რგოლის წყალობით.

– ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც ვანკუვერის პოლიციას ეს ფრინველი პრობლემებს უქმნის, – ნათქვამია სამართალდამცავი ორგანოების განცხადებაში.

## ბრიტანელი მსუქანი ზღარბი დიეტაზე დასვეს

ბრიტანეთის ბაკინგემშირში მსუქან ზღარბს დიეტა დაუნიშნეს. ცხოველი ერთ-ერთ ადგილობრივ ბაღში ნახეს და გარეული ცხოველებისთვის განკუთვნილ სამკურნალო დაწესებულებაში მოათავსეს, ვინაიდან ბუნებრივ პირობებში ცხოვრებისთვის ის მეტისმეტად მსუქნად ჩათვალეს. მისი წონა თითქმის 2 კილოგრამს აღწევდა, რაც საერთო ნორმას ორჯერ აღემატება.

სამკურნალო დაწესებულებაში ზღარბი იმ დრომდე დარჩება, სანამ წონაში არ დაიკლებს.

– ეს დიდი ბიჭი ახლა დიეტაზეა. ჯერჯერობით მხოლოდ 281 გრამი დაიკლო წონაში და მას კიდევ საკმაო მანძილის გავლა მოუწევს იმისთვის, რათა იდეალურ წონას – 1000 გრამს მიაღწიოს, – განაცხადა დაწესებულების დამფუძნებელმა ლეს სტოკერმა.



თუ რატომ გასუქდა ზღარბი, უცნობია. სტოკერის ვარაუდით, შესაძლოა, ცხოველი ძაღლის საკვებით იკვებებოდა. მან იქვე განმარტა, რომ კეთილი ადამიანები ძაღლის საკვებს ხშირად უტოვებენ ზღარბებს. მისი თქმით, დატვირთვისა და სწორი კვების წყალობით ზღარბს ველურ ბუნებაში დაბრუნება შეეძლება.

## წვეროსანთა შორის მსოფლიოს ჩემპიონი თმის საფარველს დაემშვიდობა



წვეროსანთა და ულვაშოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატის გამარჯვებული დევინ კარა თავის თმის საფარველს მკერდზე, ზურგსა და სახეზე, რომელმაც მას მრავალი გამარჯვება მოუტანა როგორც ადგილობრივ, ისე ფედერალურ და საერთაშორისო კონკურსებზე, დაემშვიდობა.

ამერიკელმა გამოაქვეყნა 33 წუთიანი ვიდეო, რომელზეც ნაჩვენებია, თუ როგორ გადაიტანა თმის საფარველის მოშორების პროცედურა. ვიდეორგოლი მისმა მეუღლემ კელიმ გადაიღო, რომელმაც ქმარი შინაურ ცხოველს შეადარა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კარამ ასეთი ნაბიჯის გადადგმის გადაწყვეტილება ბოდიბილდინგის კონკურსში მონაწილეობისთვის მიიღო.

აღსანიშნავია, რომ ის პირს სკოლის ასაკიდან მოყოლებული აღარ იპარსავდა. კარას თქმით, ის ყოველდღე მხოლოდ თავს იპარსავდა.

## ტურისტებს ღამის გათევას პრინცესა დიანას ბავშვობის სახლში სთავაზობენ

ტურისტებს ბრიტანეთის პრინცესა დიანას ბავშვობის სახლში დაბინავებას სთავაზობენ. საუბარია სპენსერების საგვარეულო მამულზე ნორთჰემპტონშირში. დასვენების დღეების ელტორპეში გატარება სტუმრების წყვილს 17 ათასი ფუნტი სტერლინგი დაუჯდება, 18 კაცისგან შემდგარ ჯგუფს – 170 ათასი. იქ ღამის გათევას კონკურსის გამარჯვებულებიც შეძლებენ.

ასეთი განცხადება პრინცესას ძმამ ჩარლზ სპენსერმა და მისმა მეუღლემ კარენმა ერთ-ერთი ბრიტანული ტელეარხის ეთერში გააკეთეს. მათი თქმით, ეს აქცია საშუალებას მისცემთ გარკვეული თანხები შეაგროვონ არაკომერციული ორგანიზაციისთვის.

აღსანიშნავია, რომ სტუმრებს საშუალება ექნებათ, ისეთ ადგილებთან ჰქონდეთ შეხება, სადაც შესვლა



ჩვეულებრივ აკრძალულია. მათ ასევე დიანას ოთახში ღამის გათევასაც შესთავაზებენ.

ელტორპი 1508 წელს აიგო. სპენსერების ოჯახის მფლობელობაში ის კი ნახევარი საუკუნეა. მასში არსებული 90 ოთახიდან დამთვალიერებლებისთვის გახსნილი მხოლოდ 19 ოთახია. დიანას დაღუპვის შემდეგ ელტორპში მუზეუმი დაარსდა.

## იაპონიაში ყველაზე ხანდაზმული სპილო მოკვდა



იაპონიაში მოკვდა სპილო, რომელიც ტოკიოს ზოოპარკის ბინადარი 1949 წლიდან იყო.

ცხოველი, სახელად ჰანაკო, ტოკიოს ზოოპარკს ტაილანდის ხელისუფლებამ აჩუქა. სპილო მომცრო ზომის ბეტონის ვოლიერში ცხოვრობდა. გარკვეული დროის წინ გამოჩნდა პეტიცია, რომელიც ცხოველის უკან ტაილანდში დაბრუნებას მოითხოვდა, მაგრამ მსჯელობის შემდეგ გადაწყდა, რომ სპილო მეტისმეტად ბებერი იყო მგზავრობისთვის.

სპილოს სახელი ჰანაკო იაპონურად „ყვავილების პირმშოს“ ნიშნავს. ის 69 წლის იყო, რაც რეკორდულ ასაკად ითვლება აზიური სპილოებისთვის, რომლებიც ტყვეობაში იმყოფებიან.

## შრი-ლანკაში კანალიზაციაში ჩავარდნილი სპლიყვი გადაარჩინეს

შრი-ლანკის სამხრეთ სანაპიროზე მდებარე ქალაქ ხამბანტოტში კანალიზაციაში პატარა სპილო ჩავარდა და გაიჭედა. ცხოველის გადარჩენის ოპერაციაში ცხოველთა დაცვის ორგანიზაციის წევრების გარდა მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმაც.



მაშ შემდეგ, რაც მაშველების გარჯამ შედეგი გამოიღო და სპლიყვი კანალიზაციიდან ამოიყვანეს, გადაწყდა, რომ ის სამკურნალოდ გაეგზავნათ, ვინაიდან სავარაუდოდ ცხოველს ფეხი აქვს მოტეხილი. ხოლო თუ როგორ მოხვდა პატარა სპილო კანალიზაციაში, უცნობია.

## „კატაპლაჟი“ იტალიაში ტურისტულ ჰიტად იქცა



იტალიის კუნძულ სარდინიაზე „კატაპლაჟი“ ტურისტულ ჰიტად იქცა. საუბარია თავშესაფარზე, რომელიც ერთ-ერთ ასოციაციას ეკუთვნის. ის პატარა მეთევზეთა დასახლების სუ-პალოზუს მახლობლად მდებარეობს.

აღნიშნული ცენტრი ისეთი პოპულარობით სარგებლობს, რომ ტურისტულმა სერვისმა ტრიპედვიზორმა „კატაპლაჟი“ სარდინიაში ერთ-ერთ საუკეთესო ტურისტულ მიმართულებად აღიარა.

– ადამიანებს უყვართ კატები და ასევე პლაჟიც, ასე რომ, სწორედ ეს არის წარმატების რეცეპტი, – განაცხადა ანდრეა ატცორიმ, მეუღლესთან ერთად 2011 წელს აღნიშნული თავშესაფრის დამფუძნებელმა. მისივე თქმით, ბოლო სამი წლის მანძილზე „კატაპლაჟს 11 ათასამდე ადამიანი სტუმრობდა და მათგან 20 პროცენტი უცხოელია.

ამჟამად თავშესაფარში დაახლოებით 60 კატა ბინადრობს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი
### 31 მაისისთვის



**ვერძი** – მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გიუმჯობესდებათ. ადრე დადებული საქმიანი გარიგებები საკმაოდ დიდ მოგებას მოგიტანთ. **კურო** – ნუ აჩქარდებით. აუცილებელი არ არის, ყველაფერი დღესვე მოასწროთ. აქტიურობასა და ფიზიკურ დატვირთვას ვარსკვლავები არ გირჩევენ. **ტყუპები** – თუ ნებისმიერ სიტუაციაში სიმშვიდეს შეინარჩუნებთ, ყველაფერი იდეალურად გამოგივათ. ემოციები მოთოკეთ და ეცადეთ, დამოკიდებული არავისზე იყოთ. **კირჩხიბი** – ნერვებს გაუფრთხილდით. ყველა საქმე მშვიდად და აუჩქარებლად აკეთეთ. გელით კონფლიქტი ნათესავებთან და მეგობრებთან. **ლომი** – ძალზე დაძაბული პერიოდი გეწყებათ. საქმიანი კონტაქტები წარმატებით დამთავრდება, თუმცა საამისოდ დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ. **ქალწული** – საკუთარი მოვალეობები დიდი პასუხისმგებლობით შეასრულეთ. შანსს ნუ გაუშვებთ, პირადი ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალოთ. პრობლემების მოგვარებაში ახალი ნაცნობები დაგეხმარებიან. **სასწორი** – საკუთარი შეცდომები გააანალიზეთ და გამოასწორეთ. კონფლიქტის მოგვარება მხოლოდ მშვიდი და გულითადი საუბრის შედეგად მოხერხდება. **მორიელი** – ემოციური განახლებისა და გამოცდის დროა. წარმატებისკენ დაუოკებელი სწრაფვა სასურველ შედეგს გამოიღებს. გარშემომყოფებთან ურთიერთობისას მეტი თავშეკავება და წინდახედულობა გამოიჩინეთ. **მშვილდოსანი** – ენერგიულობა და მიზანდასახულობა თქვენს საქმიანობაზე დადებითად აისახება. გელით საინტერესო მოგზაურობა და სასიამოვნო ნაცნობობა. **თხის რქა** – პარტნიორებთან და ხელმძღვანელობასთან ურთიერთობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები გელით. თქვენი დიპლომატია და შორსმჭვრეტელობა დღეს უთუოდ წაგადგებათ. **მერწყული** – მძიმე დღეა, განსაკუთრებით – მამაკაცებისათვის. დაწყებული საქმე აუცილებლად დაამთავრეთ. გარკვეულ შემთხვევებში სიმტკიცისა და პრინციპულობის გამოჩენა გმართებთ. **თევზები** – ბიზნესის სფეროში მომუშავე ადამიანებს დღეს განსაკუთრებული წინდახედულობა და შორსმჭვრეტელობა გმართებთ. ოჯახში სრული იდილია სუფევს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. კალატოზის ძველი ქართული სახელწოდება; 2. კახეთის კულტურულ-ადმინისტრაციული ცენტრი მეათე საუკუნეში; 3. ცოლიკაურისგან დამზადებული, თეთრი ფერის, ნახევრად ტკბილი ქართული სამარკო ღვინო; 4. ახირებული სურვილი, ჭირვეულობა; 5. უფოთლო, ეკლებიანი ღეროს მქონე ტროპიკული მცენარე; 10. შვედი კინორეჟისორი; 11. მეცნიერება საზოგადოებრივი განვითარების ზოგადი კანონების შესახებ; 12. საპატიო თანხლება; 15. ზოგიერთი მოლუსკის სხეულში წარმოქმნილი ძვირფასი თვალი; 16. ბელგიის ფეხბურთელთა გუნდი; 17. იტალიელი მხატვარი, ლეონარდო და ვინჩის მასწავლებელი; 20. პირველი გერმანული ოპერა.

**თარაზულად:** 6. ოქტომბრის თვის ქართული სახელწოდება; 7. ბასრკბილებიანი, ძველებური ქართული სატყორცნი, საბრძოლო იარაღი; 8. ამერიკული ფარმაცევტული კომპანია; 9. აზერბაიჯანული ხალხური მუსიკის ჟანრი; 13. გამარჯვების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 14. დამატებითი ჯილდო-პრემია; 18. ქალის სასიმღერო ხმა; 19. ბალჩეული ხილი; 21. სატირულ-იუმორისტული ნახატი; 22. სახელმწიფო ევროპაში; 23. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 24. ჩეჩნებისა და ინგუშების სახელწოდება ძველად საქართველოში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. ფასადი; 4. კანტორა; 7. მაიორი; 9 მაკაკი; 11. ტერიერი; 12. კამპუჩია; 13. იქედნე; 17 სელაპი; 18 ბოლი; 19 ანტიკვარი; 20. დირიჟორი.

**შვეულად:** 1. ფონი; 2. დაირა; 3. სტიგმა; 5. ავაზა; 6. რადიაცია; 8. ფლექსატონი; 10. არაქისი; 12. კანკანი; 14. პლევრა; 15. ფიზიკა; 16. კრივი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. ანოა; 2. მანდოლინა; 3. ნოტა; 4. სეკანსი; 5. ას; 6. ოშკი; 7. მატლი; 8. ლატარია; 9. ივ; 10. სამაია; 11. გარანტია; 12. პაპა; 13. პაბლისიტი; 14. პლატო; 15. კომბლე; 16. ბუ; 17. იმა; 18. ელი; 19. ლამპიონი; 20. მერილ; 21. თერმოსი; 22. ატამი; 23. ესტამპი; 24. მეკონგი; 25. პიერ; 26. ლიბერია; 27. ბი; 28. სამოსელი; 29. სი; 30. იოტა; 31. კრიზისი.

**სურათებზე:** რებეკა რომეინ სტამოსი; ფრენკ რიბერი.

# უსინათლოებისთვის აუდიოწიგნები გამოიცემა



თანამედროვე ქართველი მწერალი ეკატერინე ტოგონიძე უსინათლოებისთვის აუდიოწიგნებს გამოსცემს.

აუდიოწიგნებთან ერთად მწერლის მოთხრობების კრებულის „მომისმინე“ და მცირე რომანის „ს-ხ-ვ-ა გ-ზ-ა“ წარდგინებაც გაიმართა. ორივე კრებული ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ გამოსცა. საღამოს მწერალი თეონა დოლენჯაშვილი უძღვებოდა.

ეკატერინე ტოგონიძის ლიტერატურულ ტექსტებს აერთიანებს მწვავე სოციალური თემატიკა. თანამედროვე სამყაროს პრობლემების სიღრმისეული ანალიზი ისეთ ხელშესახებ შრეებამდეა დაყვანილი, რომ მკითხველს ყველა ამბავს საკუთარ თავგადასავლად აღაქმევინებს.

მწერალი პროფესიით ჟურნალისტია. 10 წლის განმავლობაში იგი საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო პროგრამა „მოამბისა“ და დილის გადაცემა „ალიონის“ წამყვანად მუშაობდა.

მისი მოთხრობები წლებია იბეჭდება ქართულ და უცხოურ პერიოდიკაში. ნაწარმოებები ნათარგმნია ინგლისურ, რუსულ და გერმანულ ენებზე, შესულია არაერთ კრებულში და მიღებული აქვს სხვადასხვა ლიტერატურული პრემია, მათ შორის „საბა“. ამ ეტაპზე გამოცემულია ეკატერინე ტოგონიძის 4 წიგნი.

# „ვეფხისტყაოსანი“ ბერძნულად გამოიცემა



2016 წელი იუნესკომ შოთა რუსთაველის წლად გამოაცხადა. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის 850 წლის საიუბილეოდ მთელი წლის განმავლობაში სხვადასხვა ღონისძიებებია დაგეგმილი.

ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა გიორგი კეკელიძემ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანთან“ დაკავშირებით უმნიშვნელოვანესი ამბავი გაავრცელა:

— უმნიშვნელოვანესი ამბავი: ბერძნულად „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა გადაწყდა. აქამდე საბერძნეთში არასდროს გამოცემულა. დეტალებს მოგვიანებით გაგაგებინებთ.

# ვახტანგ კუციას ნამუშევრები სამებაში გამოიფინება



საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში?31 მაისს ცნობილი ქართველი კარიკატურისტის ვახტანგ კუციას ნამუშევრები გამოიფინება.

„კუციების ოჯახი“ — ასე ეწოდება ექსპოზიციას, რომელზეც ვახტანგ კუციას ნამუშევრებთან ერთად, მისი შვილების ეკა და ნატალია კუციების ნამუშევრები გამოიფინება.

დამთვალიერებელი იხილავს როგორც იუმორისტულ, ასევე ფერწერულ და გრაფიკულ ნამუშევრებს და დოკუმენტურ მასალას ოჯახის შესახებ.

სამებაში გამართული ექსპოზიცია 5 ივნისის ჩათვლით გაგრძელდება და მასზე დასწრება თავისუფალია.

# საქართველოს დამოუკიდებლობის დღე იტალიაშიც აღინიშნა



რომში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, ბრამანტეს მიერ დაპროექტებული უნიკალურ „პალაცო დელა კანჩელერიაში“ გაიმართა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი კონცერტი და ოფიციალური მიღება.

კონცერტში მონაწილეობას იღებდა მსოფლიოში ცნობილი ქართველი ვარსკვლავი, უნიჭიერესი მეცო-სოპრანო ქეთევან ქემოკლიძე, რომელიც პარალელურად რომის ოპერაში მღერის დონიცეტის „ლინდა დინშამუნიში“. მას აკომპანიმენტს უწევდა საოცარი პროფესიონალიზმით გამორჩეული პიანისტი, იტალიაში საქართველოს ელჩის კახა სიხარულიძის მეუღლე, ეკა მეტრეველი.

კონცერტზე, რომელსაც იტალიის რესპუბლიკის მთავრობისა და პარლამენტის წარმომადგენლები, იტალიაში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსი, ბიზნესის, კულტურისა და სამეცნიერო წრეების, ასევე იტალიური პრესისა და ქართული დიასპორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ, გაჟღერდა ქართველი და იტალიელი კომპოზიტორების ნაწარმოებები, მათ შორის არიები ოთარ თაქთაქიშვილის, ჯუზეპე ვერდის, დიმიტრი არაყიშვილის, ჯოაკინო როსინის, რევაზ ლაღიძისა და ფრანჩესკო ჩილეას ოპერებიდან.

დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა იტალიის რესპუბლიკაში, კახა სიხარულიძემ. კონცერტის შემდეგ გაიმართა ოფიციალური მიღება, რომელზეც დამსწრე საზოგადოებას საშუალება მიეცა დაეგემოვნებინა ქართული კერძები და ღვინო.

ღონისძიების ფარგლებში თანამედროვე ქართული ხატების გამოფენაც გაიმართა.

# ოთარ თაქთაქიშვილის ოპერის პრემიერა ქუთაისში გაიმართება



მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრში 3 ივნისს ოთარ თაქთაქიშვილის ლირიკულ-კომიკური ოპერის „პირველი სიყვარულის“ პრემიერა გაიმართება.

ეს არის დირიჟორ მალხაზ კობახიძის, რეჟისორ ლერი პაქსაშვილის, მხატვარ თემურ არსენიძის, ქორეოგრაფ ასლან იუსუპოვის მიერ დადგმული სპექტაკლის აღდგენილი და განახლებული ვერსია, რომელზეც ამჯერად იმუშავა შემოქმედებითმა ჯგუფმა დირიჟორ რევაზ ჯავახიშვილის, რეჟისორ მაია გაჩეჩილაძის, მხატვარ თემურ არსენიძის და ქორეოგრაფ ვახტანგ უშვერიძის შემადგენლობით.

„პირველი სიყვარულის“ საპრემიერო შესრულებაში თეატრის მთავარი დირიჟორის რევაზ ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით მონაწილეობას მიიღებენ სოლისტები და ორკესტრი.

ოთარ თაქთაქიშვილის ოპერას „პირველი სიყვარული“ საფუძვლად დაედო რეზო გაბრიაძის ლიბრეტო და შექმნილია მისივე მოთხრობის „უცხო ჩიტის“ მიხედვით. მანამდე ეს მოთხრობა საფუძვლად დაედო ელდარ შენგელაიას გახმაურებული ფილმის „შერეკილების“ კინოსცენარს.

თავად კომპოზიტორი თავის ოპერას ასე აფასებდა:

— ოპერა ეძღვნება მათ, ვინც ისწრაფვის თავი დააღწიოს მდაბალ გრძნობათა ობივატელურ სამყაროს, ვინც მიისწრაფვის მშვენიერებისა და ამაღლებულისაკენ. ოპერა დასცინის დღემოკლე, მწირი მიზნებით გატაცებულ ადამიანებს, ცდილობს დიდების კვარცხლბეკზე აიყვანოს პიროვნებები, რომელთათვისაც გატაცება, ოცნება და ნათელი სიყვარულია უპირველესი.

# მოზარდ მაყურებელთა თეატრი გაჭირვებულებს დაეხმარება

ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრი გაჭირვებულებს დაეხმარება. თეატრი მაკდონალდსთან ერთად იწყებს აქციას სახელწოდებით „ბავშვები ბავშვებისთვის“!

20 ივნისის ჩათვლით თეატრი ყველა იმ საჭირო ნივთს შეაგროვებს, რომელიც აუცილებელია გორისა და მიმდებარე სოფლების სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის.

— გახდი აქციის მონაწილე, 20 ივნისის ჩათვლით, თეატრის შენობაში მოიტანე ტანსაცმელი, სათამაშოები, საკანცელარიო ნივთები და წიგნები, რათა დაეხმარო მათ, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება, — ნათქვამია თეატრის ადმინისტრაციის განცხადებაში.

მოზარდ მაყურებელთა თეატრი თხოვნით მიმართავს მის ერთგულ მაყურებელს ყველა იმ საჭირო ნივთის შესაგროვებლად, რომელიც აუცილებელია გორისა და მიმდებარე სოფლების სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის. თეატრის ფოიეში დაიდგმება სკივრი, რომელშიც მოთავსდება ბავშვების მიერ თანატოლებისთვის მოტანილი საჩუქრები. რესტორნების ქსელი მაკდონალდსი ჰეპი მილის უფასო ვაუჩერით დაასაჩუქრებს ყველა იმ ბავშვს, რომლებიც საქველმოქმედო აქციაში ჩაერთვებიან.

— ორგანიზაცია „სოსიეტი ბილიკი“ ამ ოჯახებზე 1997 წლიდან ზრუნავს. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციის ბენეფიციარები სახელმწიფო ვაუჩერით ფინანსდებიან, გამოყოფილი თანხა არ არის საკმარისი სრულად უზრუნველყონ ბავშვების ყველა საჭიროება. ამიტომ მათთვის თითოეული ჩვენგანის დახმარება მნიშვნელოვანია! — აცხადებენ თეატრში.

# შვედეთის პრინცი ოსკარი მონათლეს



შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმში პრინცი ოსკარი მონათლეს. სამი თვის ოსკარი პრინცესა ვიქტორიას და მისი მეუღლის, პრინც დანიელის შვილია. მათ ასევე ჰყავთ მეორე შვილიც, გოგონა ესტელი.

ნათლობის ცერემონიას ესწრებოდნენ ვიქტორიას და დანიელის ნათესავები, ასევე მთელი რიგი თანამდებობის პირები. ქვეყნის საზოგადოებრივი ტელევიზია ცერემონიის პირდაპირ ტრანსლიაციას აწარმოებდა.

აღსანიშნავია, რომ ოსკარს ემოსა ნათლობის პერანგი, რომელშიც 1906 წლიდან მოყოლებული სამეფო ოჯახის ყველა წევრი იქნა მონათლული.

ნათლობის დასრულების შემდეგ ტრადიციული ფეიერვერკი გაიმართა. ოსკარის პატივსაცემად 21 გასროლა განხორციელდა. ღონისძიების პროგრამაში ასევე შედიოდა საზეიმო მიღება და ვახშამი სტუმრებისთვის, რომელთა შორისაც დანიისა და ნორვეგიის სამეფო ოჯახების წარმომადგენლებიც იყვნენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## TV პროგრამა

**სამშაბათი**
**31 მაისი**

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.00 "მოამბე" 07.05, 09.15 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00, 23.00 ტ/სერ. "**ბანქოს სახლი**" 12.30 "გურმანია" (შაბ/გ/ჩვ) 13.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 14.05 "დღე მუზეუმში" 14.30 ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" 15.00 დ/ფ "ენტონი ბურდეინი – წინასწარი შეკვეთის გარეშე" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. "**ქესლი**" 19.00 "ტელებლოგი" 19.30 "სიტყვების თამაში" 20.40 "ცხოვრება ციფრებში" 21.10 "რეალური სივრცე" 22.00 დ/ფ "თოფგიარი" 00.00 "კომუნიკატორი" 01.10 მხ/ფ "**კეთილი იყოს შენი დაბრუნება როსკო ჯენკინს**"

08.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 10.00 "გეოფაქტორი" 10.10 "აფხაზეთი" 11.00 დ/ფ "ქვეყანა ბავშვების გარეშე" 13.00 დ/ფ "ინკების მარილი" 14.00, 16.00 დ/ფ "ბერლინი 1885 წელი იერიში აფრიკაზე" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 21.30 "არგუმენტების დრო" 23.00 "ნამდვილი დრო"

06.00, 14.40 სერ. "**თანხმობა**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.00, 04.00 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**ბამბის ველი**" 11.20 სერ. "**დახურული სკოლა**" 12.30 დღის შოუ 17.35, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ელიფი**" 22.00 ცოდნა ფულია 23.20 გრიფით საიდუმლო 00.00 ილო ბეროშვილის შოუ 01.00 სერ. "**ვენდეტა**" 4 სერ. 02.00 მხ/ფ "**სხვა ცხოვრების დასაწყისი**" 04.15 მხ/ფ "**მრბოლელი**"

06.30 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.30, 14.05 "შუა დღე" 15.55 სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" 16.55 სერ."**ინდური საგა**" 18.45 სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" 19.45, 20.05 სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" 20.50 ლოტო 22.00 არჩევანი 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

GDS 8.00 ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" 9.00, 19.30 სერ. "**მენტალისტი**" 10.00, 18.30 სერ. "**კარგი ცოლი**" 11.00 სერ. "**გრეის ანატომია**" 13.00 სერ. "**ძვლები**" 15.00 შუადღე 17.30 ცოლები და ქმრები 18.00 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები 20.30 20.30 22.30 სერ. "**სამეფო კარის თამაშები**" 23.40 სერ. "**ჯოჯოხეთი ბორბლებზე**" 0.40 მხ/ფ 2.30 URBAN STORIES

06.10 სპექტაკლი "**კავკასიური ცარცის წრე**" I, II 07.55 საქართველოს სამართლის ისტორია 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 სპექტაკლი "**კავკასიური ცარცის წრე**" III, IV 11.40 საეკლესიო აღმშენებლობა 12.10 მხ/ფ "**თუში მეცხვარე**" 1 სერ. 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა "პუანტესია" 15.10 ქართული ან/ფ 15.20 კონცერტი 16.15 დ/ფ "ზღვარი" 17.15 მგზავრები წუთისოფლისა 17.45 სიბრძნისმეტყველება 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მოკ. მხ/ფ "**აღდგომის ზატკანი**" 20.00 ღია აუდიტორია 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ერთიანი მშვიდობიანი კავკასია 22.25 ჩვენი ფონდი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.30 წმინდა ნინოს საფარებელი 00.30 ერთსულოვნების სალონი 01.00 "შუადღე ერთსულოვნებაზე"

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) 7.55 "საქმიანი დილა" 10.05 სერ. "**ტატიანა**" 11.05 სერ. "**სიყვარულის იმპერია**" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30, 0.00 "ბიზნეს კონტაქტი" 13.30, 14.05, 15.30, 1.00 სერ. "**მფარველი ანგელოზი**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 16.05, 17.05, 2.30 სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05 სერ. "**ქალთა ექიმი**" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45 სერ. "**ფართოა მდინარე**" 21.30 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 22.30 სერ. "**უცხო**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**31 მაისისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1461 |
| ევრო | 2.3985 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.1438 |
| 100 რუსული რუბლი | 3.2531 |

## ამინდის პროგნოზი 31 მაისისთვის





# ყურადღება!

მათთვის, ვინც ვერ მოახერხა წიგნის შეძენა!

**27 მაისიდან**

ჰარიეტ ბიჩერ სტოუ

**ბიძია თომას ქოხი**

ოქროს ბიბლიოთეკა. ტომი 1

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**



**30 მაისიდან**



ფენიმორ კუპერი

**უკანასკნელი მოჰიკანი**

ფანტასტიკა, თავგადასავალი

ტომი 2

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**


## იუმორი



მოსამართლე მომჩივანს ეკითხება:

– დაზარალებულო, თქვენ ცნობთ იმ ადამიანს, რომელმაც მანქანა წაგართვათ?

– ბატონო მოსამართლე, მისი ადვოკატის სიტყვის შემდეგ ეჭვი მეპარება, საერთოდ მყავდა თუ არა მანქანა.

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ზოდიაქოთი, რომელი ქვა გიცავს?

– რომელსაც პირველს ვტაცებ ხელს...

•••

გამოჩნდა ქართველი სუპერგმირი, სახელად ხვალემენი!

ის გააკეთებს ყველაფერს... ოღონდ, ხვალ!

•••

ფილოსოფიის გამოცდაზე პროფესორმა ერთადერთი კითხვა დასვა:

– რატომ?

უმაღლესი შეფასება დაიმსახურა პასუხმა:

– რატომაც არა?

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– როგორები არიან ქალები?

– ქალები რობინ ჰუდივით არიან, მხოლოდ პირიქით.

– ეგ როგორ?

– მდიდრებს აძლევენ...

•••

საბავშვო ბაღში ბავშვებს ეკითხებიან, თუ საიდან გაჩნდნენ.

– მე წერომ მომიყვანა, – უპასუხა ერთმა ბავშვმა.

– მე მაღაზიაში მიყიდეს, – ამბობს მეორე.

მესამე ბავშვი კი პასუხობს:

– ჩემი მშობლები მდიდრები არ არიან და ამიტომ მამიკო ყველაფერს თავად აკეთებს.

•••

ფსიქოლოგი პაციენტს ურჩევს:

– მისწერე წერილი იმ ადამიანს, რომელსაც ვერ იტან და მერე დაწვი.

– კარგი, და წერილს რაღა ვუყო?

•••

შვილი მამას ეუბნება:

– მამა, იცი, დედიკო შენზე მაგრად ატარებს მანქანას!

– არა მგონია!

– შენ ხომ ამბობდი, რომ ამოწეული ხელის მუხრუჭით ერთ მეტრსაც კი ვერ გაივლი.

– ჰო, მერე?

– დედამ კი 12 კილომეტრი გაიარა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


**31 მაისიდან**

სომერსეტ მოემი

**მთვარე და ექვსპენიანი**

ოქროს ბიბლიოთეკა. ტომი 5

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**




## მამადუ საჰოს დისკვალიფიკაცია მოუხსნეს



ლივერპულის ფრანგი ფეხბურთელი მამადუ საჰო აპრილის ბოლოს დოპინგ სკანდალში გაეხვა, რადგან მას ორგანიზმში აკრძალული პრეპარატი აღმოუჩინეს.

უეფამ საჰოს 30 დღიანი დისკვალიფიკაცია მისცა, რის გამოც მას ევრო 2016-ის გამოტოვება მოუწევს. მიუხედავად ამისა, მამადუსთვის კარგი ამბავი ის არის, რომ მისმა ადვოკატებმა დაამტკიცეს, რომ აკრძალული პრეპარატი საჰოს ორგანიზმში ცხიმის დამწველ წამალთან ერთად მოხვდა, ამიტომ ლივერპულის ფეხბურთელს დისკვალიფიკაცია მოეხსნა და მომავალი სეზონიდან ის ჩვეულებრივად გააგრძელებს თამაშს.

კლოპის მოსვლის შემდეგ საჰო ლივერპულის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა გახდა და გერმანელი სპეციალისტი მასზე დიდ იმედებს ამყარებს.

## დანი კარვახალი სამ კვირას გამოტოვებს



მადრიდის რეალის მცველმა დანი კარვახალმა ჩემპიონთა ლიგის ფინალურ შეხვედრაში ტრავმა მიიღო და მოედანი დროზე ადრე დატოვა. როგორც აღმოჩნდა, კარვახალს საკმაოდ მძიმე დაზიანება აქვს და მას მინიმუმ 3 კვირა მოუწევს უქმად ყოფნა.

ამის გამო კარვახალი ევროპის ჩემპიონატს გამოტოვებს და მის ადგილს ლონდონის არსენალის მცველი ექტორ ბელერინი დაიკავებს.

კარვახალი სეზონის მანძილზე ხშირად იღებდა ტრავმებს და მისთვის ეს უჩვეულო არ არის, თუმცა ამჯერად ტრავმა კარვახალს ევროპის ჩემპიონატის გამოტოვებად დაუჯდა. რაც შეეხება ბელერინს, მისთვის ეს ესპანეთის ნაკრებში დამკვიდრების კარგი შანსია.

## დალასში ნიუ ორლეან პელიკანსის კალათბურთელი მოკლეს



დალასში მეტად სამწუხარო ამბავი მოხდა, 23 წლის კალათბურთელი ბრაის დეჟან-ჯონსი ცეცხლსასროლი იარაღიდან სიცოცხლეს გამოასალმეს.

ეს ინციდენტი ნაწილობრივ თვითონ კალათბურთელის ბრალია, რადგან ის უცხო სახლში შეიჭრა, სახლის მეპატრონეს ის მძარცველი ეგონა და ერთი გასროლით ჯონსი მუცელში მძიმედ დაჭრა, რის შემდეგაც ის საავადმყოფოში გარდაიცვალა. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ ჯონსს სხვა ბინაში შესვლა სურდა, მაგრამ კარი აერია. კალათბურთელი თავისი ყოფილი ცოლის ნახვას აპირებდა, თუმცა მისი ღამით გასეირნება საბედისწერო აღმოჩნდა.

## დანიელ სტარიჯმა ტრავმა მოიშუშა



ინგლისის ნაკრების და ლივერპულის ფორვარდმა დანიელ სტარიჯმა რამდენიმე დღის წინ ტრავმა მიიღო, რომელსაც შესაძლოა მისთვის ევროპის ჩემპიონატზე თამაშში ხელი შეეშალა. სტარიჯი ხშირად იღებს ხოლმე ტრავმებს, მაგრამ ამჯერად მან ტრავმა მალე მოიშუშა და ის თითქმის 100%-ით მზად არის სათამაშოდ.

სტარიჯმა ბოლო თვეებში შთამბეჭდავი ფეხბურთი აჩვენა და ის ინგლისში ერთ-ერთ საუკეთესო ფორვარდად ითვლება. ნაკრების მწვრთნელს როი ჰოჯსონს მისი დიდი იმედი აქვს, ამიტომ სავარაუდოდ სტარიჯი ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს.

ევრო 2016 სტარტს 10 ივნისს აიღებს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იორკის პრინცესებს კეიტის კაბის შეშურდათ



იორკის პრინცესებმა, ბეატრისმა და ევგენიამ, თავიანთი ცივი დამოკიდებულება კემბრიჯის ჰერცოგინია კეტრინის მიმართ, ბუკინჰემის სასახლის ბაღში გამართული მიღების დროს, არ დამალეს.

ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა აქვეყნებს ფოტოსურათებს, რომელზეც ჩანს, რომ პრინცესები რაღაცაზე მსჯელობენ და არცთუ კარგი თვალით უყურებენ კეიტს. გამოცემის აზრით, დებს ჰერცოგინიას კაბის დიზაინი და მისი ბუნებრივი ელეგანტურობის შეშურდათ.

ღონისძიებაზე კემბრიჯის ჰერცოგინიას ბრიტანელი დიზაინერის ალექსანდრა მაკუინის კრემისფერი კაბა ეცვა. აღსანიშნავია, რომ მან აშკარად დაჩრდილა იორკის პრინცესების სამოსი, რომლებიც ბარბერისა და ალისე-ოქტავიას კაბებში იყვნენ გამოწყობილნი. მათი ფასი კი შესაბამისად 1,7 ათასი და 300 ფუნტი იყო.

## ლონდონში კაფე ჰელოუ კიტი იხსნება



თემატური კაფე ჰელოუ კიტი იხსნება ლონდონში. დაწესებულებაში სტუმრობა, რომელიც სახელგანთქმულ გამოგონილ კატას ეძღვნება, მიმდინარე წლის ივნისის დასაწყისიდან აგვისტოს ბოლომდე იქნება შესაძლებელი.

კლიენტებს აქ შესთავაზებენ ჩაის და ცხელ შოკოლადს, დესერტებს და სენდვიჩებს. ასევე სუვენირებს, მათ შორის ჭიქებს, ხელჩანთებს და წიგნებს.

კაფეში ჩაის სმა დაწესებულების სტუმრებს 40 ფუნტი დაუჯდებათ, ხოლო რვა წლის ასაკზე უმცროსი ბავშვებისთვის ჩაი 20 ფუნტი ეღირება.

შეგახსენებთ, რომ ჰელოუ კიტი – თეთრი კატაა, რომელიც იაპონურმა კომპანია სანრიომ 1974 წელს გამოიგონა და ის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პერსონაჟია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. თანამედროვე ქართველი ფოტოხელოვანი; 2. დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ხორბლის უძველესი ქართული ჯიში; 3. ოსური ცეკვა; 4. ოპერა „დაისის“ პერსონაჟი; 5. აჭარული ხის სახლი; 10. მსხლის ქართული ჯიში; 11. ქართველი მევიოლინე ქალი; 12. წინასწარ დამუშავებული გეგმა; 15. ერთკუზიანი აქლემი; 16. კაზინოს თანამშრომელი; 17. უელსის ადმინისტრაციული ცენტრი; 20. ტრაგედია „ოტელოს“ პერსონაჟი.

**თარაზულად:** 6. პოლიციის ქვედანაყოფი საფრანგეთში; 7. ქალთა ჯგუფური ცეკვა, რომელიც კაბარეში, ვარიეტეში სრულდება; 8. მსუბუქი, ერთ ან ორადგილიანი სპორტული ნავი; 9. ფულის ერთეული ერაყში; 13. ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონას“ ფეხბურთელი; 14. ქართული ხალხური შრომის სიმღერა; 18. დელტაპლანის სახელწოდება ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში; 19. ქალაქი ესტონეთში; 21. ყველაზე გრძელი მდინარე აზიაში; 22. ქართველთა სათვისტომო მამული საფრანგეთში; 23. ქართველ მწერალ ეგნატე ინგოროყვას ლიტერატურული ფსევდონიმი; 24. თბილისთან დამეგობრებული ბრიტანული ქალაქი.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**





ლურჯი წითელი ყვითელი შავი